პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ № 68. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. მონპარელის სტრიქონი. ტექსტის წინით—1 მ. 60 კ. საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; გარდა განცხადების ფასისა იღება 10% საქალაქო გადასახადი. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 28 იანვარი 1928 წ.   ყოველდღიური გაზეთი   ფასი 5 კაპ. № 23 (2066)

დღიური

— პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები მოსკოვში.
— შტრეზემან—ვოლდემარასის თათბირი.
— ლიტველ ემიგრანტების ყრილობა ბერლინში.
— იაპონიის მთავრობის რეპრესიები არჩევნების წინ.
— ლეონ დოდესთან ერთად გაქცეულ მონარქისტ დელესტის დაპატიმრება საფრანგეთში.
— რუმინეთის პოლიციამ დარბია ნაც.-გლეხური პარტიის კრება კაშინიოვში.
— პოლონეთ-ავღანისტანის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ.

კომუნისტი
მიიღება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

აპარატის რაციონალიზაციის წინასწარი პირობა

აპარატის რაციონალიზაცია ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ იმისათვის, რომ აპარატის რაციონალიზაცია წარმატებით მიმდინარეობდეს, საჭიროა ჩვენს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოებში დაცული იქნეს საამისო წინასწარი პირობები. ერთ ასეთ პირობათაგანს უთუოდ წარმოადგენს შრომის დისციპლინის დაცვა.

თუ ასეთი საზომით მივუდგებით ჩვენს დაწესებულება-წარმოებებს, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სამსახურში დაგვიანება ან სრულიად არ გამოცხადება, სამუშაო საათების გაცდენა, სამსახურიდან დანიშნულ დროზე ადრე წასვლით, სამუშაოზე მთვრალი გამოსვლა, უსაქმური მასლაათი და პირად საქმეზე მუშაობა სამუშაო საათებში და სხვა, — ყოველივე ეს იმდენათ ნაცნობი და გავრცელებული მოვლენაა, რომ თითქმის ყველა ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში შევხვდებით მათ. რომ ეს ასეა, ამას, სხვათა შორის, ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად მოწმობს ის გამოკვლევა, რომელიც საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა რამდენიმე ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებში.

რას გვეუბნება ჩვენ ეს გამოკვლევა? ირკვევა, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში სამსახურში დაგვიანება დაკანონებულ უკანონობათ გადაიქცა. არ არის დღე, რომ თანამშრომელთა საერთო რიცხვის 5—50 პროცენტი სისტემატიურად არ იგვიანებდეს სამუშაოზე 5 წუთიდან 1 საათამდე. ყველაზე უფრო საგულისხმო ისაა, რომ დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელები იმის ნაცვლად, რომ პირადი მაგალითით თავიანთ ხელქვეითებს შრომის დისციპლინის დაცვისაკენ მოუწოდებდენ, ხშირათ თვითონვე ქმნიან საბაბს ასეთი დისციპლინის შესუსტებისათვის. რაც უფრო მაღლა ავიწევთ ჩვენ თანამდებობის მხრივ შრომის დისციპლინის შემოწმების დროს, მით უფრო იზრდება სამსახურში დაგვიანების და სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევათა რიცხვი. ცხადია, რომ ამას თავისი [illegible] მიზეზები აქვს. დაწესებულებათა ხელმძღვანელთ და პასუხისმგებელ თანამდებობის პირთ თითქმის ყოველთვის უხდებათ არა სამუშაო საათებში მუშაობაც. გარდა ამისა ისინი ხშირათ ეწევიან საზოგადოებრივ მუშაობასაც. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება. დაწესებულებათა ხელმძღვანელების და პასუხისმგებელ მუშაკთა სამსახურში დაგვიანებას, მათ მიერ სამუშაო საათების გაცდენას დეზორგანიზაცია შეაქვს მთელ დაწესებულების მუშაობაში.

ჩვენ ვიცით, რომ შრომის დისციპლინის დაცემა საქმის გაჭიანურების, „ვოლოკიტის“ და სხვა ბიუროკრატიულ დამახინჯებათა სათავეს წარმოადგენს. მარტო ეს მდგომარეობაც საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ საქმისადმი უგულებელყოფილობას და სამუშაო დროის არაპატივსადებ მიზეზების გამო გაცდენას.

ამას გარდა შრომის დისციპლინის სისუსტე დიდ ზედმეტ ხარჯებს აწვება სახელმწიფო სალაროს. გარდა იმისა, რომ წარმოება-დაწესებულება იხდის გაცდენილ სამუშაო დროის ხელფასს, შრომის დისციპლინის დაცემას შედეგათ მოსდევს პროდუქციის გამომუშავების შემცირება და ამასთან ერთად მისი თვისობრივი გაუარესებაც. ყოველივე ეს ერთად აღებული განუსაზღვრელ ზარალს აყენებს საბჭოთა მეურნეობას და ქვეყნის გამგეობის საქმეს. ამნაირათ შრომის დისციპლინის განმტკიცება არის არა მარტო ჩვეულებრივი მომჭირნეობის ამოცანა, არამედ ერთ და იმავე დროს ის არის აუცილებელი წინასწარი პირობა საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციისა და, მაშასადამე, იმ სნეულებათა დაძლევისათვის, რომელნიც მემკვიდრეობით დარჩა ძველ წესწყობილებიდან ჩვენს წარმოება-დაწესებულებებს ბიუროკრატიზმის სახით ძველი მისი მახინჯი თვისებებით.

საქმეც ცხადია. რამდენათ ენერგიული და სისტემატიური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ შრომის დისციპლინის სათანადო სიმაღლეზე ასაყვანათ. ამ საქმეს ხელი უნდა მოკიდოს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციამ. არ კმარა იმის ჩვეულებრივი დეკლარატიული აღიარება, რომ შრომის დისციპლინა უნდა დაცულ იქნას წარმოება-დაწესებულებებში. საჭიროა პრაქტიკული, კონკრეტიული მუშაობა ამ მიმართულებით, საჭიროა ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა შეამოწმონ თავიანთი წარმოებები და დაწესებულებანი შრომის დისციპლინის დაცვის მხრივ. ამ საკითხის გარშემო უნდა ამუშავდეს საზოგადოებრივი ინიციატივა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის სისტემატიურ თვითშემოწმების გზით არის თვითკრიტიკის, საკუთარ ნაკლულევანებათა გამოაშკარავების და გაკურნების ერთ-ერთი საუკეთესო სახე.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია პროფესიონალურ კავშირებში გაერთიანებულ მასის შეგნებაზე და საზოგადოებრივ აქტივობაზე. პარტია და ხელისუფლება ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მშრომელთა საზოგადოებრივ ინიციატივის გაშლას შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

მუშათა საკონტროლო კომისიები

გასულ წელს საბჭოთა კავშირის რამდენიმე მსხვილ წარმოებაში ცდის სახით, მოწყობილი იყო საწარმოო თათბირების საკონტროლო კომისიები. ამ ცდამ დადებითი შედეგი მოიტანა და წელს საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით ფართოვდება იმ წარმოებათა რიცხვი, სადაც შეიძლება მოეწყოს ეს კომისიები. ამ წარმოებათა რიცხვში შედის საქართველოს შვიდი მსხვილი წარმოება (თბილისის რკ.-გზ. მთავარი სახელოსნოები, ტყიბულის ქვანახშირის წარმოება, 26 კომუნარის სახელობის ლითონის ქარხანა, პირველი თამბაქოს ქარხანა და ფეხსაცმელების და ტყავის ქარხანა).

საკონტროლო კომისიების მოწყობას მიზნათ აქვს დასახული მასების აღზრდა და სამეურნეო მუშაობისათვის მომზადება. კომისიების ამოცანებს შეადგენს საწარმოო თათბირების მუშაობის გაღრმავება, მათი წარმოების მართვა-გამგეობის საქმესთან დაახლოვება, საწარმოო გეგმების, ფინანსების, მართვა-გამგეობის მეთოდების, აპარატის აგებულების და სახსრების რაციონალური გამოყენების გაცნობა-შემოწმება და აგრეთვე იმის გამორკვევა, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში საწარმოო თათბირების დადგენილებები.

თუმცა ამამდისაც ყველა ზევით დასახელებული საკითხები და სხვა საკითხები, რომელნიც დაკავშირებული არიან წარმოების მუშაობასთან, საწარმოო თათბირებზე ირჩეოდენ. მაგრამ მათი გარჩევა არ ხდებოდა წინასწარი შემოწმებით და გამოკვლევით. ამას გარდა მუშების უმრავლესობა ვერ ერკვეოდა ყველა იმ მასალებში, რომლებსაც ადმინისტრაცია თავის მოხსენების დროს უდგენდა საწარმოო თათბირს, არ ხდებოდა აგრეთვე იმის შემოწმება, თუ რამდენათ საფუძვლიანი იყო ადმინისტრაციის განცხადება თათბირზე ამა თუ იმ წინადადებების გატარებლობის შესახებ. თათბირის უფლება არ ჰქონდა კონტროლი გაეწია ადმინისტრაციისათვის. თათბირის ამორჩეულ საკონტროლო კომისიას კი შეუძლია შეისწავლოს, შეამოწმოს, განიხილოს ყველა საჭირო და ასეთ შესწავლილ მოხსენებით გამოვიდეს საწარმოო თათბირზე.

საკონტროლო კომისიებს მინიჭებული აქვთ საკონტროლო ფუნქციები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ კომისიებს ადმინისტრატიული ფუნქციები ჰქონდეთ. ამის შესახებ საკავშირო პროფკავშირების მეშვიდე ყრილობამ აღნიშნა: „დროებითი საკონტროლო კომისიების დაარსების ცდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ცდა უშუალო ჩარევისა წარმოების ადმინისტრატიული სამეურნეო გამგებლობის ფუნქციებში, ან როგორც წარმოების მართვა-გამგებლობის ერთ მთლიანობის დარღვევა, რაც მხოლოდ ზიანს მიაყენებდა წარმოების სწორ და ნორმალურ მსვლელობას. ეს ცდა უნდა გავიგოთ, როგორც საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება და მათი მეტი დაახლოვება წარმოების საქმეებთან და მუშაობასთან“.

საკონტროლო კომისიების მოწყობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზნათ აქვს მუშათა მასების აღზრდა. ამიტომ, როგორც ამ კომისიების მოწყობა, ისე მათი მუშაობა იმნაირად უნდა იქნეს ჩატარებული, რომ მათ მასების ყურადღება მიიქციოს და დააინტერესოს მუშები საწარმოო საკითხების გარჩევით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხის შერჩევას, რომლისთვისაც უნდა იქნეს არჩეული საკონტროლო კომისია (კომისიები არ ირჩევიან მუდმივათ, არამედ დროებით ცალკე საკითხის შესასწავლად. საკითხის დამუშავების და საწარმოო თათბირზე განხილვის შემდეგ კომისია იშლება, ახალი საკითხისათვის ახალი კომისია უნდა იქნეს გამოყოფილი) შერჩეული უნდა იქნეს ისეთი საწარმოო საკითხები, რომელნიც აღებულ წარმოების მუშებისათვის საინტერესო არის და მიიქცევს მუშათა უმრავლესობის ყურადღებას. კომისიის შემადგენლობის ამორჩევა უნდა ხდებოდეს საწარმოო თათბირებზე ან წარმოების ფართო საწარმოო კონფერენციაზე. კომისიის შემადგენლობა მუშებისაგან უნდა ირჩეოდეს. მიზანშეწონილია კომისიაში ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალიდანაც ერთი წევრის შეყვანა.

კომისიები თავის მუშაობას უნდა ატარებდენ მუშათა მასასთან კონტაქტით. კომისიების მუშაობის ნაყოფიერებას ხელს შეუწყობს ის, რომ, თანახმად არსებული დებულებისა, მათი მუშაობა უნდა ხდებოდეს სამუშაო საათებში გაცდენილ დროში კომისიის წევრებისათვის საშუალო ხელფასის შენახვით. (თუ კომისიის რამდენი წევრი და რამდენი ხნით უნდა იქნეს განთავისუფლებული მუშაობიდან, ამის შესახებ საქარხნო კომიტეტი უნდა შეუთანხმდეს ადმინისტრაციას). კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს ადმინისტრაციას ყველა საჭირო მასალები, გაშინჯოს სხვადასხვა სამუშაოები, მოითხოვოს თავის განკარგულებაში სხვადასხვა ცოდნის სპეციალისტების მიჩენა. თუ წარმოების განკარგულებაში არ მოიპოვება სათანადო სპეციალისტი, ადმინისტრაცია ვალდებულია თავის ხარჯზე დროებით მოიწვიოს ასეთები. ამრიგათ საკონტ. კომისიას ეძლევა სრული შესაძლებლობა საკითხის ყოველმხრივ შესწავლისათვის და საწარმოო თათბირზე დასაბუთებული მოხსენების გასაკეთებლად.

საკონტროლო კომისიების მუშაობის სათანადოთ დაყენებას უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, როგორც პროფესიონალურ კავშირებმა, ისე სამეურნეო ორგანოებმა. კომისიების ნაყოფიერი მუშაობა ხელს შეუწყობს საწარმოო თათბირების გაძლიერებას, რაც შედეგათ მოგვცემს მუშების უფრო მეტი რიცხვის ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში, ხელს შეუწყობს მათ საწარმოო აღზრდას, მოამზადებს მათ რიგებიდან ახალ სამეურნეო მუშაკებს და გააუმჯობესებს წარმოებას.

ტ—ლი.

გ. ზინოვიევის და ლ. კამენევის წერილი

„პრავდა“-ს რედაქციისაგან

„პრავდა“-მ ამა წლის 15 იანვრის № 13-ში მოათავსა ტროცკისტების დირექტივები, რომლებიც მიმართულია პარტიის წინააღმდეგ და რომლებიც მეორეს მხრივ წარმოადგენდენ ამხ. კამენევსა და ზინოვიევზე თავდასხმას, როგორც „მოღალატეებზე“. ჩვენ მივიღეთ ამ უკანასკნელთაგან „წერილი რედაქციისადმი“, რომლის მოთავსება აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია „პრავდა“-ს ფურცლებზე. რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამხ. კამენევი და ზინოვიევი ამ წერილით სდგამენ გადამჭრელ ნაბიჯს, რომელიც აადვილებს ყველა იმათ დაბრუნებას პარტიაში, ვინც სდგას იმავე პოზიციაზე.

„პრავდა“

მოსკოვი, 27 იანვარი, 1928 წელი.

ორი დოკუმენტი, რომლებიც გამოქვეყნდა „პრავდა“-ს 1928 წ. 15 იანვრის ნომერში: 1) იმდენად არასწორია მათ მიერ განვითარებულ შეხედულებების შინაარსით, 2) იმდენად ყალბ გზაზე მიუთითებენ კომინტერნის ოპოზიციონურ ელემენტებს, 3) მათ იმდენად არსებითი ზიანის მოტანა შეუძლიათ ბოლშევიზმის საქმისათვის და 4) ამას გარდა ამ დოკუმენტებში იმდენად დამახინჯებულად არის „ახსნილი“ ჩვენი პოზიცია, რომ ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ გავსცეთ მათ პასუხი. პასუხის გაცემა მით უფრო აუცილებელია, რომ საზღვარ-გარეთ ამ საკითხების გარშემო გამართულია მთელი კამპანია, რომელსაც ფართოდ იყენებს თავის სასარგებლოდ მსოფლიო ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია.

საქმის ინტერესების წინაშე უკუგდებულ უნდა იქნას ყველა სხვა მოსაზრებები.

1. ჩვენ ჩამოვშორდით ლ. დ. ტროცკის ჯგუფს უშუალოდ საკითხზე მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებისადმი სრულ და ნამდვილ დამორჩილების შესახებ. ან დამორჩილება მე-15 ყრილობის ყველა მოთხოვნილებისადმი და მასთან გადაწყვეტილება, რომ მიღწეულ იქნას პარტიის უმრავლესობასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა, ან მეორე პარტიის გზა—საკითხი იდგა და დგას მხოლოდ ასე. ამას ვერასად ვერ გაექცევა ის, ვინც ეხლაც, მე-15 ყრილობის შემდეგ, ვერ ხედავს, რომ საკითხი იდგა და დგას სწორედ ასე—ის იშვება უფრო და უფრო დიდ შეცდომებისაკენ.

კატეგორიულად უარის თქმა ორი პარტიის გზით სიარულზე მოულოდნელი არ იყო ჩვენი ყოფილი ამხანაგებისათვის, რომლებთანაც ჩვენ ბლოკში ვიყავით, ეს უარის თქმა იყო ღრმა რწმენის ნაყოფი, რაც შექმნა მთელი 2 წლის ბრძოლის გამოცდილებამ. ამიტომ სიტყვებს, როგორიცაა „ცენტრისტული კაპიტულიანტობა“ და სხვა, არავითარი პოლიტიკური აზრი არა აქვს. ეს სიტყვები ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

ამის დამამტკიცებელია თუნდაც ჩვენი წერილი 1927 წლის 15 აგვისტოს თარიღით (ვინც თვალყურს ადევნებდა შინაპარტიულ ურთიერთობათა ისტორიას, ის გაიგებს ამ თარიღის მნიშვნელობას). ამ წერილის მიზანი იყო გამორკვევა, არსებობს თუ არა სრული თანხმობა ოპოზიციის ხელმძღვანელთა შორის საკითხში, რომელიც შეეხებოდა სასტიკი წინააღმდეგობის გაწევას მეორე პარტიის ტენდენციებისათვის, რაც ჯერ კიდევ მაშინ ჩანსახა აქა-იქ ოპოზიციის პერიფერიებში.

ამ წერილში ნათქვამია შემდეგი:

„საკითხის „მოხსნა“ ჩვენი ჯგუფის პარტიიდან გარიცხვის შესახებ და ამის „უკუგდება“ დღევანდელი დღის ტაქტიკის საკითხის გადაჭრის დროს შეუძლიათ მხოლოდ: 1) იმ ხალხს, რომელთათვისაც მეორე პარტიის საკითხი მათი შეგნების სიღრმეში გადაჭრილია დადებითად, რომლებიც ამ საკითხის თავისთავად უკვე გადაჭრის შემდეგ ასე თუ ისე მოთმინებით მოელიან იმ დროს, როცა ამავე დასკვნამდე „ჩამოიჩანჩალებენ“ დანარჩენებიც და ბრძოლის ამა თუ იმ ეტაპში ყოველმხრივ ცდილობენ „წაეჭიქაონ“—სიტუაციის გამწვავების გზით—რათა სხვებიც მათთვის სასურველ დასკვნამდე მიიყვანონ, ან 2) იმ ხალხს, რომლებიც შეიპყრო სასოწარკვეთილებამ და გაბოროტებამ იმის გამო, რომ დაიმსხვრა მათი იმედები ბლოკის შესახებ მართველ ჯგუფთან და რომლებიც მზად არიან თავიანთი გულის ჯავრი ამ ჯგუფიდან გადიტანონ მთელ პარტიაზე“.

„ოპოზიციის დიდი უმრავლესობა, კერძოდ და განსაკუთრებით მისი მუშური ნაწილი, რასაკვირველია, დაზღვეულია ასეთი უაზრო ავანტიურისტული ტაქტიკისაგან. ამის თავდებია ის, 1) რომ ოპოზიციის ძირითადი ნაწილი დაადგა ბრძოლის გზას მხოლოდ უმრავლესობასთან პრინციპიალური უთანხმოების გამო და იბრძვის პარტიის უმრავლესობის თავის სიმართლეში დასაჯერებლად, 2) მან იცის, რომ არავითარი სხვა იარაღი ოქტომბრის რევოლუციის გასაგრძელებლად, გარდა საკავშირო კომპარტიაში თავმოყრილ მუშებისა, არ არსებობს, 3) რომ ამ ძირითად ნაწილს ესმის, რომ ოპოზიციის პარტიიდან გამორიცხვა*) ხაზგასმით ნიშნავს მეორე პარტიის შექმნას და ოქტომბრის რევოლუციის დამარცხების, დაღუპვის აღიარებას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) გარეშე ჩვენს ლენინურ იდეებს ემუქრება მხოლოდ ერთი რამ—გადაგვარება და დაღუპვა. თუ საერთოდ შესაძლებელია მათი გამარჯვება, ეს მხოლოდ საკავშირო კომპარტიაში (ბ), რომელიც ისტორიულად იქმნებოდა და არსებობს, და არსად სხვაგან. ვინც ეს ვერ შეიგნო, ან ვისაც ეს დაავიწყდა, ან ვინც ამას ზერელედ უყურებს, მას შეუძლია დაღუპოს ლენინიზმის საქმე საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო მუშათა მოძრაობაში, მაგრამ არ შეუძლია გამოიწვიოს გამარჯვება“.

ასე ვწერდით ჩვენ ტროცკის 1927 წლის 15 აგვისტოს, ივლის-აგვისტოს პლენუმის მეორე დღეს ჯერ კიდევ, რამდენიმე თვით ადრე ყრილობამდე, ე. ი. ისეთ მომენტში, რომლის შესახებ არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ეს იყო ოპოზიციაზე შეტევის ყველაზე უფრო მკაცრი მომენტი (პირიქით, როგორც ცნობილია, პლენუმი ისე დამთავრდა, რომ ტროცკი და ზინოვიევი დატოვებულ იქნენ ცეკას რიგებში). დეკემბერში, როდესაც შექმნილი მდგომარეობის გამო უნდა მიგვეღებინა გადამწყვეტი არჩევანი, მოყვანილ ანალიზიდან ჩვენ გავაკეთეთ ერთადერთი შესაძლებელი დასკვნა: ჩვენ წინადადება მივეცით ყველა ჩვენს თანამოაზრეებს ნამდვილად და ბოლომდე დამორჩილებოდენ ყრილობის ყველა მოთხოვნილებებს, რამდენადაც მკაცრი არ უნდა ყოფილიყო ეს მოთხოვნილებები.

იმ ანალიზს, რომელიც მოცემულია ზემოაღნიშნულ აგვისტოს წერილში მეორე პარტიის საკითხის შესახებ, საჭიროა დავუმატოთ ის, რაც ეხლა უკვე ყველასთვის თვალსაჩინო უნდა იყოს: ორი წლის ფრაქციულ ბრძოლის მთელი გამოცდილება ურყევად ამტკიცებს, რომ დამღუპველია არა მარტო უშუალო გზა მეორე პარტიის შექმნისა, არამედ ჩამოყალიბებულ ფრაქციის ხანგრძლივი არსებობაც, რომელიც (ფრაქცია) უპირდაპირდება პარტიას ძირითად საკითხებში, ეწინააღმდეგება პროლეტარულ დიქტატურის განხორციელების კანონებს, და ხელის აღებას ამ ბრძოლაზე აუცილებლად მოითხოვენ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ინტერესები.

დირექტივების ავტორები კი არა თუ არ იჩენენ ორი წლის ბრძოლის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი დასკვნის შეგნებას, არამედ ფრაქციულ ბრძოლაზე ხელის აღებას „121“-ის ცნობილ განცხადებაში აცხადებენ მხოლოდ „დათმობად ზინოვიევისა და კამენევისადმი“. კიდევ მეტი, ორივე გამოქვეყნებული ახალი დოკუმენტი მთლიანად არის აგებული ფრაქციულ ბრძოლის გაგრძელების იდეაზე. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო შემდეგი: ორი წლის უმძაფრეს ფრაქციულ ბრძოლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ეს ბრძოლა ქუჩაზე გადავიდა, მას შემდეგ, რაც მთელმა ამ ბრძოლამ გამოიწვია გადაწყვეტილება მთელი ოპოზიციის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, რომ ყოველივე ამის შემდეგ ფრაქციის შენარჩუნება, ფრაქციულ მუშაობის გაგრძელება პოლიტიკურად უდრის მეორე პარტიას.

1927 წლის დეკემბერში ყრილობის დროს საკითხი ასე იდგა: კაპიტულაცია საკავშირო კომპარტიის (ბ) წინაშე ან კაპიტულაცია მეორე პარტიის იდეის წინაშე. ჩვენ კაპიტულაცია მოვახდინეთ საკავშირო კომპარტიის წინაშე და ეს მიგვაჩნია ერთად ერთ სწორ გამოსავლად მძიმე და ხანგრძლივ ბრძოლიდან. ვინაიდან მეორე პარტია პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ სათამაშო ნივთი წვრილბურჟუაზიულ სტიქიის ხელში, მხოლოდ დიქტატურის დარღვევის იარაღი, მხოლოდ დაბრკოლება სოციალისტურ აღმშენებლობის გზებზე.

2. მეორე პარტიის შესაქმნელად ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნებოდა გასამართლებელი პროლეტარულ რევოლუციის თვალსაზრისით და პირდაპირ სავალდებულოც კი ბოლშევიკისათვის. ეს იმ შემთხვევაში, თუ ის დარწმუნდებოდა, რომ „ტერმიდორიანულმა“ ტენდენციებმა, რომლებიც უეჭველად არიან ჩვენს ქვეყანაში, აჯობეს პარტიას და ხელისუფლებას, რომ მუშათა კლასმა ხელიდან გაუშვა რევოლუციის ხელმძღვანელობა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ამოსწურა თავის შესაძლებლობანი და საბჭოთა კავშირი აღარ წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის მამოძრავებელ ძალას. არასოდეს, ფრაქციულ ბრძოლის უმძაფრეს მომენტშიაც კი, ჩვენ არ გვქონია მსგავსი თვალსაზრისი. მაგრამ მსგავსი შეხედულებები — ეს ის ლოგიკური მახეა, რომელშიაც აუცილებლად თითონ იბამს თავს ყოველი ჯგუფი, რომელიც შეურიგებლად უპირდაპირდება საკავშირო კომპარტიას. მეორე პარტიის იდეების დამღუპველობა ჩვენს პირობებში, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, რათა მათ გაამართლონ თავისი შეურიგებლობა საკავშირო კომპარტიის მიმართ, იძულებულნი არიან, აუცილებლად გადაამახინჯონ რევოლუციის ყველა მამოძრავებელ ძალთა შეფასება და საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის მთელი ურთიერთობის შეფასება. ამ ძირითად პოლიტიკურ საკითხის შეხება მცირე როლს არ თამაშობდა ჩვენ მიერ ტროცკის ჯგუფთან კავშირის გაწყვეტაში. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვსთქვათ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ მიერ გამოთქმული შიში უფრო ადრეც დადასტურდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო: გამოქვეყნებული დოკუმენტები მთლიანად ადასტურებენ ამას.

„დირექტივების“ ავტორები ყოველ კაპიტალისტურ ქვეყნების კომუნისტებს ყოველთვის გაუსვან ხაზი, რომ „საბჭოთა სახელმწიფო“ ოპორტუნისტურ ხელმძღვანელობის დროსაც კი აძლევს მუშებს და გლეხებს გაუზომლად უფრო მეტს იმაზე, რასაც მისცემდა მათ ბურჟუაზიული სახელმწიფო საწარმოო ძალთა იმავე დონის პირობებში“.

ეს ნიშნავს „საბჭოთა სახელმწიფოსა“ და „ბურჟუაზიულ სახელმწიფოს“ შორის არსებულ პრინციპიალურ განსხვავების მიჩქმალვას. საბჭოთა კავშირის ძალა და მნიშვნელობა მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ის ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, აშენებს სოციალიზმს და წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის მამოძრავებელ ძალას. ამის გვერდის ავლა კაპიტალისტურ ქვეყნების კომუნისტებისათვის გაგზავნილ „დირექტივებში“ და მხოლოდ იმის აღნიშვნით დაკმაყოფილება, რომ „საბჭოთა სახელმწიფო აძლევს მუშებს და გლეხებს უფრო მეტს“, ვიდრე ბურჟუაზიული სახელმწიფო, მოასწავებს უკეთეს შემთხვევაში ბოლშევიზმის თვალსაზრისიდან ჩვეულებრივ „მემარცხენე“ ტრედიუნიონისტის თვალსაზრისამდე დაქვეითებას. ვინაიდან მხოლოდ პერსპექტივებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს „უბრალო“ კრიტერიუმი („ვინ მეტს იძლევა“), რომელსაც მიმართავენ ისინი მუშების მდგომარეობის შესადარებლად, ვთქვათ, ინგლისში და ამერიკაში, რომლის (კრიტერიუმის) მთელი ღრმა სიყალბე მთლიანად აშკარავდება, თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ მუშათა კლასის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში სხვა ქვეყნების პროლეტარიატის მდგომარეობასთან, მაგალითად 1918—1921 წლების პერიოდში. ევროპის კომუნისტები, რომელთაც ეძლევა ეს რჩევა, რომ მათ მართლა მიიღონ ის, დაემსგავსებოდენ ჩვეულებრივ კეთილის მსურველ „სტუმრებს“, რომელიმე სოციალ-დემოკრატიულ ან კოოპერატიულ დელეგაციას, რომლებიც ნახულობენ ჩვენს საბჭოთა კავშირს. რა არის „მემარცხენე“ ამ თვალსაზრისში?

ეს უკვე იმ ხაზის ჩაშლაც კი არ არის, რომელიც ჩვენ გვქონდა, არამედ ლოღიკის ძალით იმის მტკიცებამდე დაქვეითება, რომ საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურა უკვე აღარ არსებობს. რომ ამ ფორმულას სერიოზულად შევხედოთ და რომ მივუდგეთ მას, როგორც მოფიქრებულს, ფხიზლად აწონ-დაწონილ და არა როგორც შინაპარტიულ ბრძოლაში დამარცხების სამწარით ნაკარნახევ პოლიტიკურ მტკიცებას, ეს ხომ დამთავრებული „ტერმიდორის“ სრული ფორმულაა, ე. ი. ისეთი ისტორიული და პოლიტიკური შეცდომა, რომელსაც თითქოს თვით დოკუმენტის ავტორებიც უარყოფენ, მაგრამ რომლისკენაც მათ აუცილებლად მიათრევს თავის პოზიციის ლოღიკა. აი იმის მკაფიო მაგალითი, თუ როგორ იწვევს შემცდარი დამოკიდებულება პარტიისადმი ყველა იმ საკითხების აბსოლიუტურად შემცდარ, დამღუპველ შეფასებას, რომლებიც ისმება პარტიაში.

ამდენადვე შემცდარი და საზიანოა დირექტივების ავტორების ახალი გამოგონება: საბჭოთა კავშირის ხელისუფლების დახასიათება. დირექტივები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში „პარტიას და სახელმწიფოს“ ხელმძღვანელობენ „წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები“, „მაგრამ ისინი იძულებული არიან (!) დაეყრდნონ მუშათა კლასს“. ვის შეეხება ეს დახასიათება? მაკდონალდის მთავრობას თუ საბჭოთა კავშირის მთავრობას? დირექტივების ავტორები აქ ხომ აშკარად იმას ამბობენ, რომ დიქტატურა (გამოტოვებულია).

ამ დებულების ლოღიკა აიძულებს ავტორს სთქვას „ახალი“ სიტყვა კომინტერნის საკითხების დარგში. ოპოზიციის მუშაობას კომპარტიაში ისინი ხატავენ ისე, როგორც კომუნისტების მუშაობას რეფორმისტულ პროფკავშირებში, რისთვისაც მოჰყავთ ორაზროვანი ანალოგია გერმანიის და საფრანგეთის კომპარტიებსა და გერმანიის ყოფილ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და საფრანგეთის წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალისტურ პარტიის შორის. მაშ ვისზედ და რაზე ამყარებენ თავის იმედებს დოკუმენტების ავტორები? ისინი აშკარად სცნობენ „თავის ნამდვილ თანამოაზრეთა ერთად ერთ ჯგუფად“ კომინტერნში ფრანგულ ჯგუფს, სახელწოდებით „მიმდინარეობის წინააღმდეგ“, და ყოველნაირათ ამართლებენ სუვარინს.

რაც შეეხება ჯგუფს „მიმდინარეობის წინააღმდეგ“, არასოდეს, არავის არ ჰქონია და არ შეიძლებოდა ჰქონოდა ეჭვი იმაში, რომ ეს ჯგუფი წარმოადგენს ნამდვილ მემარჯვენე, წმინდა ინტელიგენტურ მცირე ჯგუფს. ხოლო რაც შეეხება სუვარინს, ზინოვიევის წერილში „ლენინურ კომინტერნის 21 პირობა“, მის შესახებ ნათქვამია: „სუვარინი არ არის ჩვენი თანამოაზრე. მისი შეხედულებებისა და მის ჟურნალისათვის ჩვენ მცირეოდენ პასუხისმგებლობასაც კი არ ვკისრულობთ“. თუ ავიღებთ სუვარინის „ხაზს“ ისე, როგორიც არის ის ეხლა, 1927 წელში, ეს არ არის ბოლშევიზმი. მისმა კრიტიკამ საბჭოთა კავშირის მიმართ დიდი ხანია გადაბიჯა დასაშვებ საზღვრებს. ჟურნალ „მიმდინარეობის წინააღმდეგ“—ის იმ წერილზე, რომელსაც იხსენიებენ დირექტივების ავტორები, მართლაც ღირს შეჩერება, ვინაიდან ის გამოდგება იმის ნიმუშად, რომ თავიდანვე შემცდარი დებულება პირდაპირ იწვევს ბრძოლას პროლეტარულ დიქტატურის წინააღმდეგ.

საფრანგეთის დელეგაციის წევრები, რომლებმაც ინახულეს საბჭოთა კავშირი (მათ შორის მუშა-სოციალისტები), საფრანგეთში [illegible] შემდეგ მუშათა კრებებზე და პრესაში იძლევიან ანგარიშს თავის მოგზაურობის შესახებ. ეს ანგარიშები საბჭოთა კავშირისათვის ძლიერ ხელსაყრელ ენითაა გადმოცემული და რას ვხედავთ? ჟურნალი „მიმდინარეობის წინააღმდეგ“-ი სცდილობს სასაცილოდ აიღოს დელეგაციები ყოვლად უტიფროდ. ერთი მაგალითი აკმარია. დელეგაციის წევრები ბევრს ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა ქალი. ამის საპასუხოდ „მიმდინარეობის წინააღმდეგ“ სწერს:

„თუ რომელიმე ქალი არის რევოლუციაში „დიდად გამარჯვებული“, ეს შეიძლება იყონ ნეპმანების ცოლები, ბიუროკრატების ცოლები, ქალები, რომლებიც თითონ შეეხორცენ ბიუროკრატიულ მანქანას, და მდიდარ გლეხების ცოლები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა მუშა და გლეხი ქალები“. („მიმდინარეობის წინააღმდეგ“, № 4.).

განა ეს პირდაპირ მტრული კილო არ არის საბჭოთა კავშირის მიმართ? განა ეს ცილისწამება არ არის ოქტომბრის რევოლუციაზე?

ამავე კილოზე ლაპარაკობენ ზოგჯერ მასლოვის ჯგუფის უფრო გაბოროტებული ელემენტებიც, რის შესახებაც ჩვენ სასტიკად ვაფრთხილებდით ამ ჯგუფს მაშინ, როდესაც ერთგვარ ბლოკში ვიმყოფებოდით მასთან. კორშის, კაცის და კომპანიის ბედი, რომლებმაც დაიწყეს „ულტრა მემარცხენეობიდან“ და დაამთავრეს მით, რომ უბრალო იარაღად გახდენ სოციალ-დემოკრატიის ხელში კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საკმაოდ დამაფრთხობელ მაგალითად უნდა გამოდგარიყო.

ჩვენმა ურთიერთობამ რუტ ფიშერ-მასლოვის ჯგუფთან დაგვარწმუნა (ამაში დარწმუნდენ აბსოლიუტურად ყველა რუსი ამხანაგები, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდა მათთან უკანასკნელ დროს), რომ პირადად მასლოვს და რუტ ფიშერს სრულიად გარკვევით აქვთ აღებული კურსი მეორე პარტიის შესაქმნელად გერმანიაში, და არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ. მასლოვი და რუტ ფიშერი ღირსი არიან გადაჭრით დაგმობის. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ მასლოვის ჯგუფის საუკეთესო, მუშებთან უფრო დაკავშირებული ნაწილი გადაჭრით ილაშქრებს მეორე პარტიის „იდეების“ წინააღმდეგ და მოდის უკან გერმანიის კომპარტიაში, უკან—კომინტერნში.

დახმარების გაწევა ამ ამხანაგებისათვის, რომ გამონახონ გზა გერმანიის კომპარტიისა და კომინტერნში დასაბრუნებლად, ჩვენის აზრით, წარმოადგენს კომინტერნის, კერძოდ, კომუნისტური ინტერნაციონალის მომავალ მე-6 კონგრესის ერთ-ერთ ამოცანას. მაშინ განხეთქილება მალე და უკეთ იქნება დაძლეული.

„დირექტივების“ ავტორებმა მოახერხეს, რომ ეს არ შეემჩნიათ, ყველა ამაზე თვალი დახუჭეს და გამოლანძღეს ის ამხანაგები ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის და ბელგიის კომპარტიებიდან, რომელნიც არ ეთანხმებიან რა უმრავლესობას, სცდილობენ გაასწორონ შეცდომები თვით პარტიის შიგნით და არ მიმართონ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „დირექტივების“ ავტორებმა, რომლებმაც მიმოხილვა გაუკეთეს კომინტერნში არსებულ ყველა ჯგუფებს, მოახერხეს თავის ყველაზე უფრო მახლობელ თანამოაზრეებათ გამოეცხადებიათ სწორედ ის მემარჯვენე ჯგუფი, რომელიც ყველაზე უფრო შორს სდგას ბოლშევიზმისაგან.

ქედის მოხრა საკავშირო კომპარტიის თუ სუვარინის წინაშე? დოკუმენტების ავტორებმა არჩიეს უკანასკნელი. სად არის აქ მემარცხენეობა? როცა ჩვენი პარტია ჩვენ და ჩვენს ამხანაგებს დაგვიბრუნებს საკ. კომპარტიის წევრობის უფლებას (რისი იმედიც ჩვენ გვაქვს), ჩვენ, როგორც ბოლშევიკები, რასაკვირველია, ჩვენს უფლებათა და მოვალეობათ ჩავსთვლით საკ. კომპარტიისა და კომინტერნის გადაწყვეტილებათა ფარგლებში გამოვსთქვათ ჩვენი აზრი იმის შესახებ, რასაც შემცდარათ მივიჩნევთ კომინტერნის ამა თუ იმ სექციის პოლიტიკასა და პრაქტიკაში, და ყოველთვის შევეცდებით გამოვასწოროთ ხაზი იქ, სადაც იგი გამრუდებული იქნება. საკ. კომპარტიის ხაზის „გასწორება“ სუვარინის მიერ სასაცილოა.

ამ საქმის მთელი დედა-აზრი ის არის, რომ პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც მე-15 ყრილობის შემდეგ ამჟამად არსებულ კონკრეტულ გარემოებაში ასეთ დასკვნამდე მივიდა, არ შეიძლება არ გახდეს წვრილ ბურჟუაზიული ძალების იარაღად საკ. კომპარტიის და კომინტერნის წინააღმდეგ.

ჩვენ ბლოკში ვიყავით ტროცკის ჯგუფთან, ამიტომ ჩვენ ვკისრულობთ მასთან და მის თანამოაზრეებთან ერთად სრულსა და თანაბარ პასუხისმგებლობას ოპოზიციის ყველა მოქმედებისათვის 1926—27 წლის განმავლობაში. როგორც ყოველ პოლიტიკოსს მოეხსენება, ბლოკი გულისხმობს ურთიერთ დათმობას, მაგრამ ბლოკი არ უარყოფს შინაგან ბრძოლას. ბრძოლა სწარმოებდა ჩვენს ბლოკშიაც; ეს მშვენივრად მოეხსენებათ „დირექტივების“ ავტორებს. ამიტომაც, უეჭველია, სხვა რომ არაფერი ვსთქვათ, მათი მხრივ საუბრის ჩამოგდება „ტროცკიზმთან მასკარადის“, ტროცკიზმის „გამოგონების“ შესახებ და სხვა. განა ტროცკის ჯგუფი არ იყო, რომ გვესაყვედურებოდა ჯერ კიდევ 1927 წლის 30 აგვისტოს (30 აგვისტოს და არა 30 დეკემბერს) იმის გამო, რომ „არ გვსურს იარაღი დავყაროთ „მოგონილ“ ტროცკიზმთან ბრძოლაში“-ო? განა მხოლოდ ამ ფაქტიდან აშკარა არ არის, რომ ჩვენ ტროცკის შეცდომებს „მოგონილად“ არ ვთვლით, რომ თვით უახლოესი თანამშრომლობის მომენტშიაც კი ჩვენ შესაძლებლათ არ მიგვაჩნდა იარაღის დაყრა ტროცკიზმის შეცდომების წინააღმდეგ.

ჩვენი დაშორების აზრი სავსებით ნათელი გახდება, თუ უბრალოდ ერთმანეთს დაუპირდაპირებთ იმას, რასაც ჩვენ ვაყენებთ, იმას, რასაც აყენებენ „დირექტივების“ ავტორები.

ორი წლის ბრძოლის ისტორიიდან ჩვენი დასკვნა ასეთია: უკან პარტიისა და კომინტერნისაკენ, საჭიროა პარტიასთან შეთანხმება, საჭიროა ბოლშევიკურ პარტიის რიგებში დაბრუნება, საჭიროა უარი ვსთქვათ დაპირდაპირებაზე პარტიის წინააღმდეგ, საჭიროა საკუთარ შეხედულებების დაცვა პარტიაში, ისე, რომ პარტიის ყოველი წევრის ეს უფლება არ გადაიქცეს ფრაქციულ ბრძოლად“.

ცხადია, ეს ლოზუნგები გამომდინარეობენ იქიდან, რომ ს. კ. პ. (ბ) არის პროლეტარული რევოლუციის ბურჯი, რომ საბჭოთა კავშირი შენების პროცესში მყოფი სოციალიზმის ქვეყანაა, რომ საკავშირო კომპარტიის გარეშე და მის წინააღმდეგ არ შეიძლება დაეხმარო ლენინის საქმეს, შეიძლება მხოლოდ ჩაჰკლა იგი.

რას უპირდაპირებენ დირექტივების ავტორები ამ ლოზუნგებს? „მიმდინარე პერიოდისათვის საჭიროა არა მეორე პარტია, არამედ ფრაქცია,— იმგვარად მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა სისტემატიური ზემოქმედებისა პარტიაზე“. —„საჭიროა შეტევა საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ „მოხდება პარტიაში გაბედული დაძვრა მარცხნისაკენ“. იმედი მასზე, რომ გაბედული დაძვრა პარტიაში მოხდება, როგორც ბურჟუაზიის უფრო სასტიკი შემოტევის შედეგი, ასეთი პოლიტიკა, ასეთი დირექტივები შესაძლებელია ეყრდნობოდეს მხოლოდ რწმენას, რომ პარტია უფრო და უფრო ვითარდება ტერმიდორის მიმართულებით. ზევით განხილული და სასტიკად შემცდარი დახასიათება პარტიისა და სახელმწიფოსი, აშკარაა, ამ რწმენიდან გამომდინარეობს. მაგრამ სწორედ ეს არ არის სწორი. არ შეიძლება საკმარისად არ შეაფასო პარტიული პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები,— როგორიც არის მიწის კოდექსის გადასინჯვა— მისთვის აშკარა კოლექტიური მიმართულების მიცემის მიზნით, როგორიც არის იჯარის ვადის შემცირება, სამიწადმოქმედო საზოგადოების წევრობის უფლების ჩამორთმევა კულაკ გლეხობისათვის, როგორც კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ ერთი ღონისძიება (მე-15 ყრილობის დადგენილებანი) და [illegible] პარტიაში ასი-ათასი ახალი წევრის მიღება. ამ ღონისძიებების ხასიათი და მიმართულება აშკარაა. ეს ფაქტები საკმაოდ გვიმტკიცებენ, თუ როგორი შეცდომით აფასებდა ოპოზიცია მანევრებს პარტიის პოლიტიკაში, როცა იგი მათ თვლიდა სხვა კლასიურ ლიანდაგზე გადასვლად. ფრაქციული ბრძოლის ლოღიკამ მიგვიყვანა იმ აშკარა შემცდარ შეხედულების მტკიცებამდე, როგორიც არის „პლატფორმის“ დასკვნა იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელთა უმრავლესობის წრეებში ინგლის-რუსეთის განხეთქილების და სხვა საერთაშორისო და შინაური სიძნელეების გავლენით იკვეთება დაახლოვებით ასეთი გეგმა: ვსცნოთ ვალები, ცოტად თუ ბევრად შევამციროთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია,— თავი დავანებოთ ჩინეთს, ე. ი. დროებით უარი ვსთქვათ ჩინეთის რევოლუციის და საერთოდ ნაციონალურ-რევოლუციონურ მოძრაობის დახმარებაზე. ქვეყნის შიგნით კი მოვახდინოთ მანევრი მარჯვნივ, ე. ი. რამოდენიმედ კიდევ გავაფართოვოთ „ნეპი“, ასეთი „დასკვნები“—ძირშივე არ შეესაბამებოდენ და არ შეესაბამებიან სინამდვილეს და პირდაპირ გამომდინარეობდენ იმ გარემოებიდან, რომ „პლატფორმა“ იწერებოდა, როგორც დოკუმენტი, რომელიც უპირდაპირდება პარტიის ცეკას პოლიტიკას.*)

მე-15 ყრილობის დროს ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ, რომ ყრილობისადმი სრულ დამორჩილებაზე უარის თქმა, აუცილებლად იწვევს ლენინიზმის ყველა ძირითად იდეების დამახინჯებას, მთელი პერსპექტივისა და პარტიისა და სახელმწიფოს ყველა შეფასებათა დამახინჯებას. ჩვენი ვალია ვუთხრათ ეხლა ყველას, ვინც კიდევ მიჰყვება ტროცკის ჯგუფის „დირექტივებს“: ნუ გააღრმავებთ ამ შეცდომებს, შეიგნეთ იმ გზის სიყალბე, რომელიც აშკარად გაშორებთ პარტიიდან, და გააკეთეთ ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაუბრუნდეთ პარტიის რიგებს და შეუთანხმდეთ მას.

თვითეულ ოპოზიციონერს ჩვენ ერთხელ კიდევ ვუმეორებთ იმას, რაც არა ერთხელ გვითქვამს ყოფილ ოპოზიციონერებს შორის მე-15 ყრილობის პერიოდში: პოლიტიკური გამბედაობა და თანამიმდევრობა არ არის გაჯიუტებით სვლა იმ გზით, რომელიც სულ უფრო და უფრო გვაშორებს საკავშირო კომპარტიას (ბ) და კომინტერნს. უნდა გადაწყვიტო შეჩერება. უნდა გადაწყვიტო უკან დაბრუნება. ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ პარტია, ლენინის მაგალითის მიხედვით, გაიზიარებს უმცირესობის შეხედულებებისაგან ყოველივე იმას, რასაც ცხოვრება გაამართლებს და რაც სწორი აღმოჩნდება პროლეტარულ რევოლუციის თვალსაზრისით.

კაპიტულიაცია პარტიისა და ოქტომბრის რევოლუციის წინაშე არა თუ არ არის სამარცხვინო, არამედ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ეს თვითეული ჩვენთაგანის პირდაპირი მოვალეობაა. სათაკილოა და შეუფერებელი თუნდაც ოდნავ სერიოზულ პროლეტარულ რევოლუციონერისათვის თვალის დახუჭვა იმ პოლიტიკურ ჩიხზე, სადაც მიგვიყვანს შემდეგში პარტიისათვის თავისი თავის დაპირისპირება.

საშუალო „ხაზი“, „ორნაირი“ გზა არ არსებობს პროლეტარულ დიქტატურის დროს. საჭიროა არჩევანი. ვისაც ეს არ ესმოდა გუშინ, მან ეს უნდა გაიგოს დღეს, დირექტივების გაცნობის შემდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოფილი ოპოზიციის უდიდესი ნაწილი, რომ მისი ლენინური ნაწილი, ოპოზიციის მთელი მუშური ნაწილი აირჩევს ჩვენს გზას— პარტიასთან შერიგების და შეთანხმების გზას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის და კომინტერნის კარები ღია იქნება ყოველი გამორიცხული ამხანაგისთვის, ვინც ჭეშმარიტად დაემორჩილება პარტიას.

ჩვენი, როგორც პროლეტარული რევოლუციის ჯარისკაცების ამოცანაა: ყოველივე ძალებით დავეხმაროთ პარტიას მის მძიმე მუშაობაში, ხელი შეუწყოთ იმ სიძნელეების გადალახვაში, რომელიც მას ელოდება, დავეხმაროთ მას დღის წესრიგში არსებულ საკითხების ლენინურად გადაჭრაში და მივიყვანოთ ლენინის საქმე ბოლომდე.

საბჭოთა კავშირის შინაური და საერთაშორისო სიძნელენი ყველასათვის ცნობილია. გაცხოველებით სწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია. სოციალ-დემოკრატიული და დემოკრატიული პრესის როლი ამ ბნელ საქმეში განსაკუთრებით დიდია. ამ კამპანიაში ჭრელად შერეული არიან ერთმანეთში ბურჟუაზიული ჟურნალისტები, გერმანიის რეიხსტაგის ზოგიერთი „ულტრა-მემარცხენე“ დეპუტატები, სოციალ-დემოკრატების ბელადები და ისეთი ვითომ მემარცხენეები, როგორიც არის ჯგუფი „მიმართულების წინააღმდეგ“. იმპერიალისტების ყოველგვარ გეგმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უმთავრესად აფერხებს მუშათა მასების წინააღმდეგობა. ადვილი გასაგებია, რომ ამ წინააღმდეგობის შესუსტება, საბჭოთა კავშირისადმი მუშების სიმპატიის შესუსტება ამჟამად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას იმათთვის, ვინც ამზადებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას. ასეთ მომენტში ჩვენ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია გადაჭრით გავაფრთხილოთ მუშა-კომუნისტები ამ კამპანიის წინააღმდეგ, რომლის ნაყოფს მხოლოდ ბატონი ბურჟუები მოიმკიან.

საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა მოითხოვს პარტიის ყველა ძალების სრულ გაერთიანებას ყოველ მიზეზს გარეშე. მხოლოდ ამ გზით, ყველა იმ დაბრკოლებების და სიძნელეების გადალახვით, რომელიც დაკავშირებულია სოციალიზმის მშენებლობასთან გლეხურ ქვეყანაში, პარტია მივა საბოლოო გამარჯვებამდე.

გ. ზინოვიევი.
ლ. კამენევი.

—:—

---

*) შენიშვნა: საქმე შეეხებოდა ოპოზიციას, როგორც მთლიანი მიმართულების გამორიცხვას.

*) ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ეხლა აღარ შეგვიძლია დავიცვათ ეს, ფრაქციული ბრძოლის უმაღლეს გამწვავების დროის დოკუმენტი, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ ვხსნიდით მასში ცალკე საკითხებს. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენს მუშაობაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ჩან-კაი-შის ჯარების სერიოზული დამარცხება

იაპონიის პრესა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკების წინ

ჩან-კაი-შის დამარცხება

ჩან-კაი-ში დამარცხდა

პეკინი, 26 იანვარი. ჩინური გაზეთები იტყობინებიან, რომ 5 იანვარს ბაი-ძუნ-ჩის ჯარებმა დაიკავეს ჩანშა.

რეიტერის სააგენტოს აზრით, ეს არის ჩან-კაი-შის სერიოზული დამარცხება. სააგენტო ფიქრობს რომ ამ დამარცხების გამო, ჩან-კაი-ში იძულებული იქნება დაეყრდნოს გომინდანის უფრო მემარცხენე ელემენტებს. (ადს).

ბაი-ძუნ-ჩიმ აიღო ჩანშა

ტოკიო, 26 იანვარი. „სიმბურენგოს" სააგენტოს ცნობით **ბაი-ძუნ-ჩის ჯარებმა გუშინ აიღეს ხუნანის პროვინციის მთავარი ქალაქი—ჩანშა.** ბაი-ძუნ-ჩიმ გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიაც ხუნანის ჯარების სარდალს ხო-ძიანს ბრალს სდებს წითლებისადმი თანაგრძნობაში, ნამდვილად კი ხო-ძიანი მუშურ-გლეხური მოძრაობის სასტიკი მოწინააღმდეგეა; 1927 წლის ივლისში და აგვისტოში ის ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციონურ გადატრიალებას ჩანშაში, ულმობელად უსწორდებოდა მუშათა მოძრაობის მოღვაწეებს სიკვდილით მასიურად დასჯის საშუალებით (ადს).

იან-იუ-ტინი მუკდენელების მე-3 და მე-4 არმიების სარდალი

პეკინი, 26 იანვარი. „ანგოძიუხის" სამხედრო—პოლიტიკურმა კონფერენციამ მესამე და მეოთხე არმიების სარდლათ ხან-ლინ-ჩუნის მაგიერ დანიშნა იან-იუ-ტინი.

იან-იუ-ტინის დანიშვნასთან დაკავშირებით, პეკინში ფიქრობენ, რომ ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა ენ-სი-შანის და ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ ოპერაციების ხელმძღვანელობა დააკისროს ერთ პირს. (ადს).

გომინდანის ცეკას პლენუმი

ტოკიო, 26 იანვარი. ნანკინიდან მიღებული ცნობით, გომინდანის ცეკას პლენუმი გაიხსნება პირველ თებერვალს (ადს).

სუნ-ფო გაემგზავრა ევროპაში

ტოკიო, 26 იანვარი. ტოკიოში მიღებულ ცნობების თანახმად, შანხაიდან კანტონში გაემგზავრენ ხუ-ხან-მინი, უჯაო-ჩუ და სუნ-ფო.

შენიშვნა. ჩინეთის გაზეთ „სინ-ვებაოს" ცნობით დეპეშაში აღნიშნული პირები გაემგზავრენ არა კანტონში, არამედ ევროპაში.

ევროპას არ მოსწონს ჩან-კაი-შის „პარლამენტარიზმი"

პეკინი. 26 იანვარი „იუნაიტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი ჯამს უკეთებს ჩინეთის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეების მიერ მასთან ინტერვიუში გამოთქმულ შეხედულებებს და აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთზე სამხედრო გამარჯვების პერსპექტივები სრულებით უიმედოა. კორესპონდენტი ამბობს, რომ იმ მოღვაწეების აზრით, რომელთაც ის ესაუბრა, ნანკინმა უნდა მოიკრიბოს ენერგია და უნდა მიაღწიოს სამხრეთ ჩინეთის გაერთიანებას. **იმ ფაქტს, რომ ჩან-კაი-ში მომხრეა პარტიული მთავრობის შექმნის. ჩან-კაი-შის სისუსტედ სთვლიან.** ევროპა კი, ზემოდაღნიშნულ წრეების აზრით, [illegible] მეტი სიმ. უყურებს ჩინეთის იმ მოღვაწეებს. რომლებიც ფაქტიურად აღიარებენ ერთ პიროვნულ დიქტატურას (ადს).

„საუკეთესო პოლიტიკაა—დაცდა"

პეკინი, 26 იანვარი. „ინდ ტიანძინ ტაიმს" მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს ლონდონის „ტაიმსი"-ს წინადადებას ნანკინთან კონტაქტის დამყარების შესახებ და სწერს: „ტაიმსი ძირს უთხრის იმ დამპალ ხეს. **ნანკინის მთავრობა არის ისეთი დაწესებულება, რომლისაც არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. ჩან-კაი-შის სამხედრო ძალები უმნიშვნელოა. გოანჩის ჯგუფი ძლიერდება ამიტომ ამჟამად საუკეთესო პოლიტიკა იქნებოდა დაცდის პოლიტიკა"** (ადს).

პოლონეთ-საბჭ. სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო

მოსკოვი, 27 იანვარი. მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი გოლუვკო და პოლონეთის საგარეო ვაჭრობის და მრეწველობის დეპარტამენტის უფროსი სოკოლოვსკი, რომელნიც წინასწარ შეუდგებიან პოლონეთის წინადადებების განხილვას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთ შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს).

ლიტვის გაზეთი პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

კოვნო, 26 იანვარი. ნოროდნიკების ორგანო „ლეტუვოს ჟინიოს" სპეციალურ წერილში ეხება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და არკვევს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას თავდაუსხმელობის შესახებ. აღნიშნავს რა, რომ პოლონეთის პოლიტიკა დამოკიდებულია საფრანგეთისა და ინგლისისაგან, გაზეთი აცხადებს, რომ ვარშავას. რომელიც თავის თავს უწოდებს ბარიერს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აუცილებლად მოუხდება ამ როლის თამაში. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ პოლონეთის პოლიტიკა ხელს უშლის აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ სტაბილიზაციას. (ადს).

„ბრძოლა" ორ ფრონტზე

პოლონეთის იმპერიალიზმის და ლიტვის ფაშიზმის წინააღმდეგ

ბერლინი, 26 იანვარი. 22-დან 24 იანვრამდე ბერლინში სწარმოებდა ლიტველ ემიგრანტების ყრილობა, რომელიც ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით: **ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ ლიტველ ემიგრანტების განწყობილება არ იქნეს გამოყენებული პოლონეთის იმპერიალისტური ზრახვების სასარგებლოდ, ბრძოლა პოლონეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ფაშიზმის წინააღმდეგ ლიტვაში,** ყრილობის მონაწილეთა შორის იყვნენ ლიტვის მუშურ-გლეხური მოძრაობის ცნობილი მოღვაწეები. ყრილობამ მიიღო მისალმებები რიგიდან, ვილნოდან, კოვნოდან და საბჭოთა კავშირიდან. ყრილობამ მიიღო ორი პოლიტიკური რეზოლუცია. პირველი რეზოლუცია ეხება ე. წ. ლიტვის ემიგრანტების ყრილობას რიგაში და ამჟღავნებს პოლონეთის იმპერიალიზმის აგენტების მოღვაწეობას ლიტველ მუშათა ემიგრანტების შორის და აგრეთვე აყენებს ლოზუნგს ლიტვის დამოუკიდებლობის პოლონეთის იმპერიალიზმისაგან დაცვის შესახებ. მეორე რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საჭიროა ბრძოლა ფაშისტური მთავრობის დასამხობად ლიტვაში. ეს რეზოლუცია აცხადებს, რომ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ერთ და იმავე დროს ორ ფრონტზე: პოლონეთის იმპერიალიზმის და ლიტვის ფაშიზმის წინააღმდეგ. ყრილობამ დაადგინა დაარსოს ლიტვის ემიგრანტების კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს იმ ლოზუნგების განხორციელებას, რომლებიც ყრილობამ წამოაყენა რეზოლუციებში (ადს).

იაპონია საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ჩან-ძო-ლინის ბნელი განზრახვების წინააღმდეგ

ტოკიო, 26 იანვარი. საქმიან წრეების ორგანო „იამატო" მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ტროიანოვსკის შეხვედრას პრემიერ ტანაკასთან და სწერს, **რომ საჭიროა მოეწყოს იაპონიის, ჩინეთის და საბჭოთა კავშირის კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხებს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დაცვის და ციმბირის, მონღოლეთის და მანჯურიის ეკონომიურ განვითარების შესახებ.**

პროგრესიული „ნიცი ნიცი" ეხება რა იაპონიის, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ურთიერთობის საკითხს, სწერს: „არსებულ ხმების თანახმად, ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ საჭიროა სიფრთხილე, ვინაიდან ხმები კუხარის დანიშვნის შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრად გამოხატავს მეგობრულ ურთიერთობის ზრდას იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის" გაზეთი აცხადებს, **„იაპონიის მთავრობამ არ უნდა დაუშვას, რომ ჩან-ძო-ლინის მანევრებმა ზიანი მიაყენოს იაპონია საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. იმ შემთხვევაშიაც კი; თუ ჩან-ძო-ლინმა მართლაც მიიღო დახმარება იაპონიის მილიტარისტების ერთი ნაწილისაგან"** (ადს).

იაპონია არჩევნებს წინ

პოლიციის „სამზადისი"

ტოკიო, 26 იანვარი. კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულმა პარტიამ „მინსეიტომ", რომელიც დაარსდა წარსულ წელს „კენსეიკაის" და „სეიუხონტოს" პარტიების შეერთების შემდეგ, დაარსა სპეციალური კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ხელისუფლებას საარჩევნო კამპანიის დროს. კომისიაში შედიან ზედნი ყოფილი მინისტრები და გუბერნატორები. ყველა გუბერნიების პოლიციის უფროსთა კონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა სუზუკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ პოლიციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ კანონის ყოველგვარ დარღვევის წინააღმდეგ და არ დაუშვას [illegible] „მინსეიტოს" პარტიის [illegible]. მინსეიტოს წრეებში გამოთქვამენ შიშს, რომ ის სიტყვა პოლიციის მიერ გაგებული იქნება, როგორც მოწოდება მხარი დაუჭიროს მთავრობას, ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომებით (ადს).

ათი წელიწადი რუმინელ მემამულეთა უღელ ქვეშ

ბესარაბიის მოსახლეობის საჩივარი

ვენა, 26 იანვარი. 24 იანვარს კიშინევში შესდგა „სფატულ ცერის" (ბესარაბიის დრ. პარლამენტის) ყოფილ დეპუტატების კრება. კრებაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ რუმინეთის მთავრობას, ბესარაბიის ანექსიის ათი წლის თავის გამო გაეგზავნოს მემორანდუმი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ საჩივრებს. ეს საჩივრები შემდეგია: მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში მთავრობა ნიშნავს ხალხს ძველი რუმინეთიდან, ბესარაბია უაღრესად მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის აგრარულ რეფორმის მიზანშეუწონლად გატარების გამო, ჩამორთმეულ მიწების პატრონებს არ ეძლევა საკმაო კომპენსაცია, გლეხებს, რომელთაც დაურიგეს მიწის ნაჭრები, არ მიუღიათ საჭირო ინვენტარი და აუცილებელი იაფი კრედიტი. ბესარაბიას ექცევიან, როგორც კოლონიას. (ადს).

კრების გარეკა

ვენა, 26 იანვარი. კიშინევში შესდგა გლეხთა ნაციონალური პარტიის კრება, რომელზედაც პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ხალიპამ.**

კრებაზე წარდგენილი რეზოლუცია აღნიშნავს, რომ გლეხთა ნაციონალური პარტია ამიერიდან ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ლიბერალების მთავრობის წინააღმდეგ. რეზოლუციის წაკითხვის დროს მოვიდნენ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელნი და გარეკეს კრება. (ადს).

შტრეზემან-ვოლდემარასის თათბირი

ბერლინი, 26 იანვარი. შესდგა პირველი საუბარი **შტრეზემანსა** და ბერლინში ჩასულ ლიტვის პრემიერ ვოლ**დემარასს** შორის. ბერლინის ლიტოველ წრეებში ფიქრობენ, რომ ვოლდემარასი შტრეზემანთან მიაღწევს შეთანხმებას გერმანია-ლიტვის სავაჭრო და საარბიტრაჟო ხელშეკრულებების ძირითად პრინციპების შესახებ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. 1927 წელს შეერთებულ შტატებში დაბანდებული ყოფილა საბჭოთა კავშირის შეკვეთები 31.199.834 დოლარის თანხას, ხოლო 1926 წელს კი 8.681.412 დოლარის. ამ თანხაში არ შედის ბამბის შესყიდვაზე დაბანდებული თანხა, რომელმაც 1927 წელს მიაღწია 42 მილიონ დოლარს, წინააღმდეგ 1926 წლის 35 მილ. დოლარისა.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის საერთო წლიური ბრუნვა აღწევს 100 მილიონ დოლარს, წინააღმდეგ 1926 წლის 70 მილიონ დოლარისა.

პილსუდსკის ნოტა ლიტვას

პარიზი, 27 იანვარი. „პტი ჟურნალი" იტყობინება, რომ პილსუდსკიმ გაუგზავნა ლიტვას მეორე ნოტა. გაზეთი სწერს: „ლონდონში სახიფათოდ მიაჩნიათ პოლონელ-ლიტვის მოლაპარაკების გაჭიანურება. თუ ვოლდემარასი ჯიუტობას დაიწყებს და არ დასთმობს თავის შეურიგებლობის პოზიციას—მაშინ პოლონეთი მიმართავს ერთა ლიგას თხოვნით განიხილოს საკითხი ლიტვა-პოლონეთის დამოკიდებულების შესახებ ლიგის მარტის სესიაზე".

ს.-დემოკ. პარტიის დაარსება ლიტვაში

ვარშავა, 26 იანვარი. ვილნოში ახლად დაარსებულ ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სათავეში ჩადგა ლიტველი სოციალ-დემოკრატი ანცევიჩიუსი, რომელიც პილსუდსკის ერთი უახლოესი თანამშრომელთაგანია.

ინგლისთან განხეთქილების შედეგი

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. ჩრდ. ამ.-შ. შტატების ვაჭრობის სამინისტრომ გამოსცა ევროპის ბაზრების მიმოხილვა, სადაც ნათქვამია: „ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რაც ის შემოიღო საბჭოთა მთავრობამ, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის იმპორტის გაძლიერებას 1927 წელს. იმპორტი შესდგებოდა უმთავრესად საწარმოო საშუალებათა კონტინგენტისაგან. ფართო მოხმარების საგნების შეტანა კი, სამაგიეროთ შეკვეცილი იყო.

საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებით გააძლიერა ვაჭრობა ჩ.-ა. შეერთებულ შტატებთან ინგლისთან მომხდარ განხეთქილების შემდეგ. 1926—27 საოპერაციო წლის შეკვეთებმა ერთი-ორად გადააჭარბა წინა წლის შეკვეთების რაოდენობას".

1000 ავტომობილი დღეში

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. ფორდმა გამოაქვეყნა ცნობები, რომ მისი საავტომობილო ქარხნები დეტროიტში ყოველდღიურად უშვებენ 500 ავტომობილს. იანვრის განმავლობაში ფორდი თვლის მიაღწიოს 1000 ავტომობილის გამოშვებას ყოველდღიურათ.

ავტომობილების მსხვერპლთა რიცხვი ამერიკაში

ნიუ-იორკი 27 იანვარი. 1927 წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში ავტომობილებს და მოტოციკლეტებს გადაუსრესიათ 24.000 კაცი.

გაქცეულ მონარქისტის დაპატიმრება

პარიზი, 26 იანვარი. გავასის სააგენტოს ცნობით მონდემარსანში (საფრანგეთი) დააპატიმრეს დელესტი. დელესტი თავის დროზე ციხიდან გაიქცა ლეონ დოდესთან ერთად.

შენიშვნა: დელესტი—მონარქისტულ „აქსიონ ფრანსეზ"-ის ერთ - ერთი რედაქტორი, ციხეში იჯდა დოდესთან ერთად. დოდეს მეგობრებმა „სანტე"-ს ციხის უფროსი ტელეფონით გამოიძახეს და აცნობეს თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრი წინადადებას იძლევა განთავისუფლდნენ დოდე და მისი ამხანაგი. ციხის უფროსმა შეასრულა ეს „განკარგულება". ციხიდან გამოსვლისთანავე ლეონ დოდე და დელესტი მიიმალნენ.

მენშევიკების პროვოკაცია

ვარშავა, 26 იანვარი. მთავარ საარჩევნო კომიტეტის სხდომაზე „პეპესოველების" წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა მუშურ-გლეხური ბლოკის სიის წინააღმდეგ და დასძინა, რომ ეს სია არის კომუნისტური.

მუშათა და გლეხთა მთლიანობის სიის წარმომადგენელმა ამ განცხადების საპასუხოდ სთქვა, რომ ეს განცხადება წარმოადგენს საარჩევნო კომიტეტზე ზეგავლენის მოხდენის ცდას იმ მიზნით, რათა გაუქმებულ იქნეს მუშათა გლეხთა მთლიანობის სია.

საარჩევნო კომისარმა სია [illegible] მიიჩნია. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს 10 წლის თავი

მოსკოვი, 27 იანვარი. უკანასკნელ დღეებში საკვშირო პროფსაბჭოს არსებობის ათი წლის შესრულების გამო, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან მიიღო მისასალმებელი დეპეშები და წერილები; ამ მისალმებებში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის მიღწევები განვლილი ათი წლის განმავლობაში და დასახულია პროფმოძრაობის უახლოესი ამოცანები. მისალმებები მიღებულია აგრეთვე ამხ. კალინინისა და გორკისაგან. ათი წლისთავისათვის გამოშვებულია გაზეთ „ტრუდ"-ის სპეციალური ნომერი (ადს)

ამხ. კალინინის მიმართვა

მოსკოვი, 27 იანვარი. საზოგადოება „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა"-ს სახელით, საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა მოწოდებით მიმართა ყველა მუშებს, გლეხებს და საბჭოთა ინტელიგენციას. რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებას, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული არც ერთი მცხოვრები არ დარჩეს წერა-კითხვის უცოდინარი, შემოღებულ იქნეს ბავშვთა საყოველთაო სწავლა და მშრომელთა საერთო კულტურული დონის ამაღლება (ადს).

მებამბეობის საკავშირო კოოპ. ბიუროს პლენუმი

მოსკოვი, 27 იანვარი. გაიხსნა საკავშირო მებამბეობის კოოპ. ბიუროს პლენუმი, რომელზედაც გამოცხადდნენ ყაზახსტანის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის და ამიერ - კავკასიის წარმომადგენელნი. პირველად ალებულ იქნა მოსმენა ბიუროს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გუდოვიჩის მოხსენება, რომლის კითხვით შემდეგი გამოირკვა: ამჟამად ბიურო აერთიანებს 717 მებამბეთა კოოპერატივს. მებამბეთა კოოპერაციის საპაიო თანხა მილიონ ნახევარ მანეთს აღწევს. ეს თანხა საკმარისი არ არის. ამიტომ მებამბეთა კოოპერაციის მორიგი ამოცანაა გადიდდეს პაი ათ მანეთამდე და გაძლიერდეს საპაიო თანხის შეკრება. ეხება რა აგრონომიულ ცოდნათა გავრცელებას მებამბე გლეხებს შორის, მომხსენებელი ამბობს, რომ აგრო - დახმარებამ ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭიროს მებამბეთა კოოპერაციის მუშაობაში, რისთვისაც მას საჭიროდ მიაჩნია მებამბეობის კომიტეტმა აგრო - დახმარებისათვის გადებული მთელი თანხები გადასცეს კოოპერაციას. მებამბეობის კომიტეტთან უკვე დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით კოოპერაციამ უნდა მოაწყოს 33 აგრო - პუნქტი. ფუნქციონირობს 33 საუბნო აგრონომი, ათი სარაიონო, ორი რესპუბლიკანური და ორი აგრონომი თვით ბიუროსთან. გარდა ამისა, კოოპერატიულმა ბიურომ თავის ხარჯზე უნდა მოიწვიოს 31 აგრონომი. მებამბეობის კომიტეტი აგრომუშაობის ჩასატარებლად ბიუროს აძლევს 281.000 მან.

შემდეგ ბამბის კამპანიის შედეგების შესახებ მოხსენებას აკეთებს კოოპ. ბიუროს წარმომადგენელი ამხ. დოცენკო, რომელიც აღნიშნავს, რომ მეტეოროლოგიური პირობები საერთოდ ყველა რაიონებში ხელსაყრელი იყო. სარწყავი წყლითაც, ბუხარის გამოკლებით, ნათესები უზრუნველყოფილი იყო. შარშანდელთან შედარებით პურის მოწოდებაც უკეთ იყო მოგვარებული. სამრეწველო საქონელიც საკმარისად იქნა შემოტანილი. ბამბის მოსავალი ზოგან საშუალოა, ზოგან საშუალოზე მაღალი. კარგი მოსავალი იყო უზბეკისტანში. ფერგანში, ხოჯენტში, ანდიჟანში და ნამანგანში. საშუალო მოსავალი ერთ ტონას უდრიდა, დამზადება შარშანდელთან შედარებით უფრო წარმატებით მიმდინარეობს. მოსალოდნელია, რომ დამზადება გეგმით გათვალისწინებულს ათი პროცენტით გადააჭარბებს. დასასრულ მომხსენებელი ჩერდება დამზადების კამპანიის ნაკლოვანებებზე (ადს).

კონტრ-რევოლუციონერ ქსენძის პროცესი

მოსკოვი, 27 იანვარი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მიიღო ცნობები სკალსკის პროცესის ცალკე მომენტების შესახებ. სასამართლომ უმთავრესად განიხილა საქმის ისეთი ეპიზოდები. რომელნიც მოწმობენ, რომ სკალსკი როგორც კათოლიკურ სამღვდელოების მეთაური ეწეოდა ანტი-საბჭოთა პროპაგანდას და, რომ მას კავშირი ჰქონდა უცხოეთის ორგანიზაციებთან სკალსკი სცდილობდა იმ ბრალდებების უარყოფას, რომელნიც ამჟღავნებენ მის კონტრრევოლუციონურ მოქმედებებს და მის კავშირს ეპისკოპოს დუბოვსკისთან. დაკითხვის შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ სკალსკის საიდუმლო კავშირი ჰქონდა დუბოვსკისთან და აგრეთვე ამ კავშირის ხასიათი, სკალსკიმ გაჯავრებით წამოიძახა: „ეპისკოპოსი დუბოვსკი ყოველთვის აჩქარებული კაცი იყო; ის მუდამ სცდილობდა თავისი ცირკულარებით გამოემჟღავნებინა თავისი პოლიტიკური როლი".

მაგრამ მიუხედავად ასეთი მკაცრი გამოთქმებისა ეპისკოპოს დუბოვსკის შესახებ, აშკარაა, რომ რომის პაპის დეკრეტის შემდეგ ლუცკ-ჟიტომირის ეპარქიის გაყოფის შესახებ. სკალსკი რატომღაც განაგრძობდა ურთიერთობას დუბოვსკისთან. სკალსკიმ სასამართლოს მოახსენა, რომ „ეს ურთიერთობანი იყო მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი". (ადს)

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

(თეზისები მომხსენებელთათვის)

1. ოქტომბრის რევოლუცია გახდა გამოსავალი წერტილი მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ჩვენს ქვეყანაში აღარ არიან არც კაპიტალისტები, არც ფაბრიკანტები, რომელთაც საკუთრებათ ჰქონდათ ფაბრიკა - ქარხნები, აღარ არიან მემამულეები, რომლებიც ფლობდნენ მიწებს. მიწა, ფაბრიკები და ქარხნები ეკუთვნიან მშრომელებს, ხოლო საბჭოთა კავშირის მთლიან მეურნეობას წარმართავს საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა მშენებლობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებს საშუალება ექნეთ დაიკმაყოფილონ თავიანთი მატერ. და კულტ. მოთხოვნილებანი უკეთ, ვინემ ამას ადგილი აქვს კაპიტალისტური წესწყობილების დროს. ჩვენმა სამეურნეო მშენებლობამ სედმივად ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა კავშირის მთელი მრავალმილიონიანი მასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. ამისათვის საჭიროა ავაგოთ ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებმაც უნდა მოგვცენ მთელი მოსახლეობისათვის საკმაო კარგი ხარისხის და იაფი საქონელი. ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველვყოთ სასოფლო მეურნეობა ისეთი მანქანებით, თესლეულით, გასანოყიერებელ მასალებით, რომლებიც ბევრად გაადიდებენ გლეხის მეურნეობის მოსავლიანობას და გამოიყვანენ მას ჩამორჩენილ მდგომარეობიდან. საჭიროა ახალი მოწყობილობანი მიწების მოსარწყავად და გასაშრობათ, საჭიროა ახალი გზების გაყვანა.

3. ამიერ-კავკასიის სოფლის კულტურები—ყურძენი, თამბაქო, ბამბა,—მოითხოვენ სათანადო ტეხნიკას და საფაბრიკო-საწარმოო დაწესებულებების შექმნას მათ გადასამუშავებლად. მიწის დიდი ნაკლებობა ამიერ-კავკ. ფედერაციის რესპუბლიკებში, სადაც მრავალია უწყლო ველები და მალარიის გამავრცელებელი ჭაობები,—ჭაობების გაშრობის და მიწების მორწყვის ამოცანას განსაკუთრებით გადაუდებლად ხდიან ჩვენი გლეხისათვის.

4. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკამ, რომლის მიზანია სახალხო მეურნეობის უაღრესად აღორძინება, უკვე მოგვცა თავისი შედეგები. სოფლის კეთილდღეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, გაიზარდა მისი მოთხოვნილებები რევოლუციის წინა დროსთან შედარებით. ამიტომ სოფელი გვიდგენს მოთხოვნილებას სხვადასხვა საქონელზე და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით.

ამ მომატებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ამჟამად არ შეუძლია ჩვენს მრეწველობას. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ. როცა ჩვენი მშენებლობა მოგვცემს ახალ ფაბრიკა-ქარხნებს.

5. იმისათვის რომ დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის მშენებლობა და მოვაახლოვოთ ის დრო როცა მოთხოვნილებას საქონელზე დავაკმაყოფილებთ სავსებით, საჭიროა გავაძლიეროთ სახელმწიფო საშუალებანი, რომლებიც სამეურნეო მშენებლობას ხმარდება. ამას განსაკუთრებით ხაზი გაუსვა თავის რეზოლუციებში საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15-ე ყრილობამ.

6. სახელმწიფოს საშუალებებს შეადგენენ ქალაქის და სოფლის მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადები, აგრეთვე მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებების და ქონების შემოსავალი. მაგრამ ეს თანხები არ კმარა სახალხო მეურნეობის ფართო მშენებლობისათვის.

იმ მიზნით, რომ სახელმწიფო სალაროში მეტი თანხები შედიოდეს, სახელმწიფო უშვებს სესხებს, რომელთა შემწეობით მას სურს მიიღოს და ნაყოფიერად გამოიყენოს ის თანხები, რომლებიც წვრილ-წვრილად დაგროვილია ყოველი გლეხის ოჯახში. ყოველი გლეხის ქოხში ინახება წვრილი თანხები, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს არც სახელმწიფოსათვის და არც თვით ამ თანხების პატრონისათვის, ხოლო, თუ თავი მოუყარეთ ამ წვრილ ფულებს სახელმწიფო სალაროებში, მივიღებთ მსხვილ თანხას, რომელიც მოხმარდება სასოფლო მეურნეობის აღორძინებას და ფაბრიკების, ქარხნების აგებას, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის აღორძინებას. სახელმწიფო, მთლიანად აღებული, ამით იგებს და ამასთანავე იგებს ყოველი გლეხი, ვინც თავის ფულს სესხად აძლევს სახელმწიფოს.

7. სახელმწიფო მოსახლეობისაგან სესხულობს ფულს სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გამოშვების გზით. ობლიგაციის თვითეულმა მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ მას არ ეკარგება ის თანხა, რომელიც მან დახარჯა ობლიგაციის შესაძენად. ობლიგაციაში გადახდილი ფული ეძლევა სახელმწიფოს სესხად განსაზღვრული ვადით და უკანვე დაუბრუნდება პატრონს მთლიანად. ხოლო მანამდე, სანამ ეს ფული სახელმწიფოს განკარგულებაშია, სახელმწიფო უხდის სესხის ობლიგაციის პატრონს განსაზღვრულ თანხას პროცენტების და მოგების სახით.

ამრიგად, ფული, რომელიც უქმად იდო, საგრძნობ სარგებელს მისცემს გლეხს.

8. ამჟამად საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი 100 მილ. მანეთის რაოდენობით.

ამ სესხს წინ უსწრებდა ინდუსტრიალიზაციის სესხი 200.000.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც განაწილებულ იქნა ქალაქის მშრომელთა შორის. ამგვარად,—ინდუსტრიალიზაციის სესხმა ჩვენ სოციალისტურ მრეწველობას მისცა 200 მილიონი მანეთი. თანხები, რომლებსაც სახელმწიფო მიიღებს ამჟამად გამოშვებულ სესხიდან, მთლიანად მოხმარდება გლეხის მეურნეობის განმტკიცებას. 90 მილიონი შევა სახელმწიფო ბიუჯეტში და მოხმარდება შემდეგ მიზნებს:

ა. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების აგებას (სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხანას, ზლატოუსტის სათიბ მანქანების ქარხანას და სხვა.)

ბ. გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს;

გ. გლეხობის გადასახლებისათვის საჭირო ხარჯებს;

დ. გაუმჯობესებული თესლის შეძენას და თესლის იაფ ფასებში მიწოდებას;

ე. მინერალური გასანოყიერებელ მასალის შეძენას და მის მიწოდებას გლეხობისათვის თვითღირებულების ფასებში;

ვ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იმ საშუალებათა გაძლიერებას, რომელნიც დანიშნულია გლეხობისათვის სესხის მისაცემად;

თ. სარწყავი სისტემის მოწყობას საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში.

გარდა ამისა, ყოველი თემი და დაირა მიიღებს 10 პროცენტს სესხის იმ თანხიდან, რომელიც განაწილებული იქნება თემში, თუ დაირაში. (მომხსენებლებმა სისწორით უნდა იცოდნენ, თუ რისთვის გამოიყენებს თემისა ან დაირის აღმასკომი იმ ანარიცხებს, რომელთაც იგი მიიღებს; ამ მასალით უნდა ისარგებლოს მან მოხსენების დროს).

ამგვარად, ამ სესხიდან გამოყოფილი ათი მილიონი მანეთი გადაეცემა თემ-დაირა-საუბნო ბიუჯეტებს ადგილობრივ სამეურნეო და კულტურულ საჭიროებისათვის, როგორიცაა მაგალითად:

ა) საავადმყოფო, სასკოლო და საგზაო მშენებლობა;

ბ) ხორბლის შესანახი ბეღლების, წისქვილების, თესლის გასაწმენდი პუნქტების მოწყობა და რემონტი;

გ) მანქანების, სანაშენე საქონლის; ფრინველების და გაუმჯობესებულ თესლის შეძენა;

დ) ადგილობრივ მნიშვნელობის მიწების მოწყობა და სხვა ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო და კულტურული საჭიროებები.

ასეთია ის სარგებლობა, რომელსაც ამ სესხის წარმატებით გავრცელება მოუტანს მთლიანად ჩვენს გლეხობას.

9. ყოველი გლეხი, რომელიც ობლიგაციას შეიძენს, გარდა ამისა, მიიღებს პირად სარგებლობას. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი გამოშვებულია სამი წლის ვადით. ფულს, რომელსაც სახელმწიფო ისესხებს, სამი წლის შემდეგ დააბრუნებს უკანვე, ე. ი. 1931 წლის პირველ თებერვლისათვის.

გარეშე ამისა, გლეხს, რომელსაც ფული დასჭირდება სახელმწიფოს მიერ მისი ობლიგაციის გამოსყიდვამდე, შეუძლია ყოველ წუთში გაყიდოს იგი სახელმწიფო ბანკში, შემნახველ სალაროში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და გადააქციოს იგი ფულად. გარდა ამისა, მას შეუძლია 1929 წლის 1 ივლისიდან მოიხმაროს ობლიგაცია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასასტუმრებლად და სავალდებულო დაზღვევის ანარიცხების გადასახდელად.

10. ობლიგაციის პატრონი გლეხი სახელმწიფოდან ღებულობს 6 პროცენტიან წლიურ სარგებელს, ამ პროცენტების გადახდა შემდეგნაირად სწარმოებს: ყოველ ობლიგაციას აქვს კუპონი (ტალონი), სადაც სწერია, თუ როდის იხდის სახელმწიფო პროცენტს ამ კუპონის მიხედვით. ყოველი წლის პირველ თებერვალს 1929 წლიდან დაწყებული სახელმწიფო იხდის თვითეულ მანეთზე 6 კაპ. ეს კუპონი წარდგენილ უნდა იქნეს ყოველ საკრედიტო დაწესებულებაში—შემნახველ სალაროში, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში, ფოსტაში; ამგვარად შეიძლება მიღებული იქნეს საპროცენტო შემოსავალი. პროცენტების გაცემა კუპონების მიხედვით იწარმოებს 1941 წლის 1 თებერვლამდე.

11. გარდა ამისა, სახელმწიფო ყოველ წლიურად იხდის 7 მილიონ მანეთს მოგების სახით; ეს ფული ნაწილდება ობლიგაციის პატრონებს შორის, არა თანაბრად, არამედ იმ პირთა შორის, რომელთა ობლიგაციასაც მოგება შეხვდება. ათ მანეთიანი ობლიგაციის ყოველ პატრონს შეუძლია მოიგოს 50 მანეთიდან 1000 მანეთამდე. 3 წლის განმავლობაში სულ გაცემული იქნება 332.640 მოგება, რომელთა საერთო ჯამი 21 მილიონ მანეთს უდრის. ათ მანეთიან ობლიგაციების რიცხვი მთელ სესხში უდრის ათ მილიონს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 30 ობლიგაციიდან საშუალოდ ერთი მაინც მოიგებს. ვადა მოგების მისაღებად ისეთივეა, როგორც კუპონებისათვის, ე. ი. ათ წლამდე. ეს ნიშნავს, რომ მოგების მიღება შეიძლება ყოველთვის, მაგრამ არა უადრეს ერთი თვისა სესხის გათამაშების შემდეგ, და არა უგვიანეს 1941 წლის პირველი თებერვლისა.

12. თუ მომგები გლეხი მოისურვებს, მას შეეძლება ფულის მაგიერ რიგს გარეშე მიიღოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელმწიფო ან კოოპერატიულ საწყობიდან ყოველგვარი მანქანა, რომლის ღირებულება შეეფერება მის მოგებას (ტრაქტორი, რთული და მარტივი სალეწი მანქანა, საიალებელი მანქანა და სხვა). ამასთანავე მომგებ გლეხს ეძლევა კრედიტის ყველა ის შეღავათები, რომლებიც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაყიდვის დროს.

13. იმისათვის, რომ გლეხებს შეეძლოთ კონტროლი გაუწიონ ტირაჟის გათამაშების სისწორეს, ისინი თითონ მიიღებენ მონაწილეობას იმ კომისიაში, რომელიც აწარმოებს გათამაშებას (სატირაჟო კომისიაში). გათამაშება მოხდება წელიწადში ორჯერ—ოქტომბერში და იანვარში. პირველი გათამაშება მოხდება 1928 წლის ოქტომბერში.

მთელი სესხი იყოფა 40 ნაწილად (სერიად), თვითეულ ნაწილში (სერიაში) არის 2 ნახევარი მილიონ მანეთის ობლიგაციები. მოგების გათამაშება ხდება თვითეულ ნაწილზე (სერიაზე) ცალ-ცალკე, ესე იგი, თუ ამიერ-კავკასიაში გავრცელდა 2 ნახ. მილიონ მანეთის ობლიგაციები (უნდა გავრცელდეს მეტი), ერთი სერიის გათამაშება მოხდება ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე. და ვინაიდან გათამაშების ტირაჟი მოხდება წელიწადში ორჯერ სამი წლის განმავლობაში, ამიერ-კავკასიაში სულ მოხდება 6 გათამაშება—1—3 გათამაშება საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე. გათამაშება მოხდება არა მარტო ქალაქებში, არამედ შესაძლებლობის მიხედვით სოფლებშიაც. 3 წლის განმავლობაში ამიერ-კავკ. ფედერაციის რესპუბლიკებზე მოვა ექვსი 1000 მანეთიანი მოგება, 30—500 მანეთიანი, 1800—100 მანეთიანი და 6.480—50 მანეთიანი, სულ კი 8.316 მოგება, რომელთა ღირებულება შეადგენს—525.000 მანეთს.

იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელიც აწარმოებს გათამაშებას, შევლენ გლეხების წარმომადგენლები იმ რაიონიდან, სადაც მოხდება ტირაჟი.

თვით ტირაჟის ტეხნიკა იმგვარად მოწყობილი, რომ შეუძლებელია რაიმე ბოროტმოქმედება, ვინაიდან იმ კომისიას, რომელიც აწარმოებს გათამაშებას, არ შეუძლია, კიდეც რომ სურდეს, მოახერხოს, რომ მოგება ხვდეს განსაზღვრულ ობლიგაციას. ეს დამოკიდებულია მხოლოდ შემთხვევაზე.

მოგების გაცემის წესები ისე იქნება მოწყობილი, რომ დაცული იქნება მოგების სრული საიდუმლოება. მოგების მიღება შეიძლება სახელმწიფო ბანკის ყოველ განყოფილებაში; შემნახველ სალაროში ან ყოველ საფოსტო განყოფილებაში, ესე იგი მოგების მიღება შეიძლება არა მარტო თავის სოფელში, და არა მარტო თავის სამაზრო ქალაქში, არამედ საბჭოთა კავშირის ყოველ ადგილშიაც.

მოგების მიღების დროს საჭირო არ არის არც თავის გვარის დასახელება და არც ხელის მოწერა მოგების მიღებაზე.

სესხის ობლიგაციები, მისი შემოსავალი (პროცენტები კუპონებზე) და მოგება განთავისუფლებულია ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებიდან და გამოსაღებიდან.

14. სესხის ობლიგაცია ღირს 10 მანეთი, მაგრამ იმისათვის, რომ ხელმოკლე გლეხს შეეძლოს სესხის შეძენა, ობლიგაცია იყოფა 4 ნაწილად, თვითეული ნაწილი ღირს 2 მან და 50 კაპ. თვითეული ასეთი ნაწილი წარმოადგენს ცალკე ქაღალდს კუპონებით. ამ ქაღალდს შეუძლია სრულიად დამოუკიდებლად გადადიოდეს ხელიდან ხელში; მასზე არის აგრეთვე ნომერი, ობლიგაციის ასეთი მეოთხედი ნაწილი იძლევა უფლებას ობლიგაციაზე დარიცხულ პროცენტების მეოთხედზე და იმ მოგების მეოთხედზე, რომელიც ხვდება ობლიგაციას.

15. ასეთია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირობები. ამ სესხის ობლიგაციები იყიდება თემაღმასკომებში, სოფლის საბჭოებში საკრედიტო ამხანაგობებში, კოოპერატიულ ორგანიზაციებში, ფოსტაში, შემნახველ სალაროში, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტებში და სხვა დაწესებულებებში და კერძო პირებთან, რომელთაც ექნებათ სათანადო რწმუნება, 1928 წლის 30 აპრილამდე. თვითეულმა გლეხმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სესხის გავრცელებაში. ის ამით ორნაირად ეხმარება თავს: ჯერ ერთი მით, რომ ეხმარება სახელმწიფოს განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა მისივე მეურნეობის განსამტკიცებლად და მით, რომ ის ადიდებს თავის საკუთარ რესურსებს, ვინაიდან ობლიგაციით ღებულობს შემოსავალს პროცენტებისა და მოგების სახით.

ქალაქის მშრომელებმა შეასრულეს თავისი ვალი—ინდუსტრიალიზაციის სესხი 200 მილიონ მანეთის რაოდენობით სავსებით არის განაწილებული. რიგი მშრომელ გლეხობაზეა.

დეე ნუ იქნება ნურც ერთი გლეხი, რომელსაც არ ექნეს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაცია.

16. სესხის სოფლად გავრცელების ამოცანა სრულებითაც არ არის ადვილი. რომ ეს ამოცანა შესრულებულ იქნას, ესე იგი, რომ უმოკლეს ვადაში გავრცელებულ იქნას მთელი 100 მილიონი მანეთის ობლიგაციები, საჭიროა სოფლის ყველა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ დიდი ენერგია, აქტივობა და ინიციატივა. საზოგადოებრიობის ამ საქმეში ფართოდ მიზიდვის გარეშე—ამ ამოცანის დაძლევა ძნელი იქნება (მომხსენებელმა თეზისების ამ მუხლს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, მან კონკრეტულად უნდა აღნიშნოს, ადგილობრივ პირობების მიხედვით თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სესხის ფართოდ გავრცელება თავის რაიონში).

საქ. ცაკის სესია აჭარისტანში

26 იანვრის დილის სხდომა

სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა პროექტი

ამხ. ვარძიელის მოხსენება

კოდექსის გადასინჯვის საჭიროება

ამხანაგებო, მიმდინარე სესიაზე ჩვენ უნდა განვიხილოთ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხებიან მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებებისა და დამატებების შეტანას. ეს ცვლილებები და დამატებები გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებებით: ჯერ ერთი, როგორც თქვენ უკვე იცით, ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის საერთო ნაწილი ეყრდნობა იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს კავშირის სისხლის სამართლის კოდექსს. ეხლა ამ საერთო ნაწილში კავშირის ცაკმა შეიტანა ცვლილებები, რომლებიც სავალდებულოა ჩვენ თვისაც. მეორე, სასამართლოს საქმეების წარმოების სამი წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ საჭიროა ისეთი ცვლილებების და დამატებების შეტანა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული არსებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გარდა ამისა შესდგა ამიერ - კავკასიის ყველა რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისართა კონფერენცია. რომელმაც იქონია მსჯელობა სამეურნეო ბოროტმოქმედებათა შესახებ და მოგვცა ჩვენ სათანადო დირექტივები ამ სახის ბოროტმოქმედებათათვის სასჯელის უფრო სასტიკი ზომების შემუშავების შესახებ. აქვე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული მეხუთმეტე პარტყრილობის დირექტივები შინავაჭრობის შესახებ, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისა და გამარტივების შესახებ.

ყოფა - ცხოვრების საკითხები

ეხლა შევეხები იმ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსში. აქ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მუხლებს, რომლებიც ეხებიან ყოფა - ცხოვრებას და შეადგენენ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ახალ განყოფილებას. უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში გავრცელებულია საცოლეს გამოსყიდვის ჩვეულება. მაგალითად, სვანეთში საქმრო ან მისი ნათესავი ვალდებულია გამოისყიდოს საცოლე ფულით, შინაური საქონლით ან სხვა რაიმე ქონებით. ეს ჩვეულება გავრცელებულია აგრეთვე ახალციხის, ბორჩალოს და სხვა მაზრებში. ხშირად ეს ჩვეულება მახინჯ ფორმებს ღებულობს. ზოგიერთი მშობლები სპეკულიაციას ეწევიან თავისი ქალიშვილებით, ხდიან რა მათ შემოსავლის წყაროთ. გაათხოვებენ რა ქალს, ისინი ურჩევენ მას დაბრუნდეს უკან მშობლებთან, რომ შემდეგ ხელმეორედ გაჰყიდონ ის. იბადება კითხვა. ვის შეუძლია იყიდოს საცოლე. რასაკვირველია, შეძლებულ პირებს. ღარიბმა კი უნდა მიმართოს მოტაცებას.

სამხრეთ ოსეთში, აჭარაში, ბორჩალოს და სხვა მაზრებში არსებობს ასეთი ჩვეულება. მოკლულის ნათესავები ღებულობენ სასყიდელს მკვლელისაგან იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ აღარ იძიოს შური, ამავე რაიონებში ხდება ქორწინება სქესობრივად მოუმწიფებელ პირებს შორის, არსებობს მრავალცოლიანობა, განსაკუთრებით მუსლიმან - მოსახლეობა შორის. და ბოლოს, არსებობს ჩვეულება, რომლის თანახმად გარდაცვალებულის ქვრივი მემკვიდრეობით გადადის უმცროს ძმაზე. ხოლო თუ ქალი ამაზე უარს იტყვის, მას არ შეუძლია გაჰყვეს ცოლად ვინმე სხვას გარდაცვალებულის ძმის სათანადო ნებართვის გარეშე.

ჩვენ არ შეგვეძლო არ გაგვეთვალისწინებია ეს მახინჯი სოციალური ჩვეულებანი, რომლებიც მიმართულია ქალის, როგორც უფრო სუსტი არსების წინააღმდეგ, და არ შეგვეტანა სათანადო დამატებები და ცვლილებები ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში.

ამხ. ი ვარძიელი

საქ. იუსტიციის სახალხო კომისარი

ქალის ინტერესების დასაცავად

შემდეგ ვარძიელი კითხულობს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე პარაგრაფებს და იძლევა სათანადო განმარტებებს. მომხსენებელი განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება სისხლის სამართლის კოდექსის 171 პარაგრაფზე, რომელიც ეხება ქალის ინტერესების დაცვას.

საბჭოთა კანონმდებლობა, ამბობს ის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალის ინტერესების დაცვას, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნება შემდეგი ახალი მუხლი: ის პირი, რომელიც აიძულებს მატერიალურად მასზე დამოკიდებულ ან თანამდებობრივად მისთვის დაქვემდებარებულ ქალს დაამყაროს მასთან სქესობრივი კავშირი, დაისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთით.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ვარძიელი ამბობს: მე დარწმუნებული ვარ, რომ ცაკის სესიის წევრები, რომელთაც მოისმინეს ჩემი მოკლე მიმოხილვა, სათანადოთ შეაფასებენ იმ ცვლილებებს და დამატებებს, რომლებიც შეგვაქვს სისხლის სამართლის კოდექსში და რომლებიც გამოწვეულია ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკით. მე წინადადებას ვიძლევი არჩეულ იქნეს სპეციალური კომისია, რომელიც შეტანილ ცვლილებებს და დამატებებთან მჭიდროთ დაკავშირებულ ყველა საკითხების დეტალურად დამუშავების შემდეგ ამ საკითხებს დასამტკიცებლად წარუდგენს სესიას.

კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენებ. გარშემო

ამხ. ქიქიბურის სიტყვა

ვარძიელის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველად გამოვიდა ქიქიბური (მასწავლებელი ქალი).

ქალმა, ამბობს ის, თავისი ბედი დაუკავშირა მუშათა კლასის ბედს. ოქტომბრის რევოლუციის წყალობით ის გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება მიმართულია იმისკენ, რომ შეუქმნას ქალებისათვის ცხოვრების უფრო მისაღები პირობები, რათა ქალს შეეძლებოდეს მეტად სავსებით განაგოს თავისი ბედიღბალი. საჭიროა, რათა ქალმა თვით მოჰკიდოს ხელი თავისი უფლებების განხორციელების საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავითარი კოდექსები ვერ შეუმსუბუქებს მას ხვედრს. ქალის უღელი, რომელიც იდგმებოდა საუკუნოების განმავლობაში, არც თუ ისე ადვილი დასამსხვრევია. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება იღებს მრავალ ღონისძიებებს ქალების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა შესძლო საუკუნოებრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლება. ამაში დამნაშავენი არიან როგორც ის ქალები, რომელნიც ვერ იგებენ თავის უფლებებს, ისე მამაკაცები, რომლებიც ვერ შეიგნებენ ამ საკითხების მნიშვნელობა. მამაკაცი თეორეტიულად თითქოს ქალის მომხრეა, პრაქტიკულად კი მასში გამჯდარია ძველი ტრადიცია, ძველი შეხედულება ქალზე, როგორც მონაზე. ამ მოვლენას ჩვენ ვხედავთ არა მარტო მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში, არამედ უფრო კულტურულ ფენებშიაც. ასეთი მდგომარეობა აღმოფხვრილი უნდა იქნეს.

სისხლის სამართლის კოდექსის წარმოდგენილ პროექტს აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა, ის მიზნად ისახავს ქალთა განთავისუფლებას, მაგრამ მასში არის პარაგრაფები, რომლებიც შეცვლას საჭიროებენ. ძალდატანებით გათხოვებისათვის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს—დაპატიმრებას სამ წლამდე. ეს საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას სასჯელი განსაზღვროს ერთი წლით. საჭიროა სასჯელის გადიდება ასეთი დანაშაულობისათვის. წარმოდგენილი პროექტით, მრავალცოლიანობა ისჯება ერთი წლის პატიმრობით, ან 500 მანეთი ჯარიმით. ამხ. ვარძიელმა აღნიშნა, რომ მრავალცოლიანობას ადგილი აქვს შეძლებულ გლეხობაშიო, და, მაშასადამე მათთვის არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს ამ უმნიშვნელო ჯარიმის გადახდა. საჭიროა დაწესდეს ისეთი ჯარიმა, რომელიც საფუძველს გამოუცლის დამნაშავის კეთილდღეობას. მაშინ მამაკაცი ლაგამს ამოსდებს თავის ფიზიოლოგიურ მადას. ამხანაგებო, მე შევეხე უმთავრეს პუნქტებს, რომლებშიაც საჭიროა ამა თუ იმ ცვლილებების შეტანა, თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა დავიცვათ ქალის ინტერესები და ვიხსნათ იგი მრავალსაუკუნეს განმტკიცებულ მონობისაგან.

ამხ. თალაკვაძე

(აჭარისტანის საოლქო კომიტეტის ქალთა განყ. გამგე)

ამხ. თალაკვაძე ლაპარაკობს შემდეგს: მე შევჩერდები სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებზე, რომელნიც ჩვენი სინამდვილის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხებს შეეხებიან. აჭარისტანის ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეში, როგორიცაა მაგ. ხულოსა და ქედის მაზრები, ადგილი აქვს მრავალცოლიანობას, ძალდატანებით გათხოვებას და სხვ.; იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენთან მოდიოდნენ დაქვრივებული ქალები და გვთხოვდნენ დაგვეცვა ისინი გარდაცვალებულის უმცროსი ძმების ხელიდან. მე შევეკითხე ერთ-ერთს: რატომ თხოულობს მეორე ქალს. პასუხი ფრიად მარტივი იყო: პირველი ცოლი უშვილო იყო და თუ მეორეც უშვილო გამოდგება, მესამეს შევირთავო. სისხლის სამართლის კოდექსში სოციალურ დანაშაულობათა წინააღმდეგ გათვალისწინებული სასჯელი მე საკმარისად არ მიმაჩნია. როგორც აქ აღნიშნეს, მრავალცოლიანობას მისდევენ მხოლოდ ნივთიერად უზრუნველყოფილი გლეხები, რომლებსაც არაფრად არ უღირთ ჯარიმის გადახდა 500 მანეთის რაოდენობით. მე წინადადებას შემოვიტანდი, მრავალცოლიანობაში შემჩნეულთა მიმართ შემოღებული იქნეს არა მარტო ჯარიმა, არამედ ქონების კონფისკაციაც. მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე და ვთხოვ მომხსენებელს თავის საბოლოო სიტყვაში განმარტოს: რა მდგომარეობაში ჩავარდებიან იმ პირთა ცოლები, რომლებიც მრავალცოლიანობისათვის დაისჯებიან?

ამხ. ფ. მახარაძე

ამხ. მახარაძემ განაცხადა შემდეგი: დღეს წარმოდგენილი პროექტი ბევრად უკეთესია, ვიდრე დღემდე არსებული. აქ გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის ცალკე კუთხეების თავისებურობანი და შეტანილია სათანადო ცვლილებანი და დამატებანი, რომელნიც უფრო მეტი სისწორით არკვევენ სოციალურ დანაშაულობათა კვალიფიკაციას.

შემდეგ ამხ. მახარაძე აღნიშნავს, რომ ვადის გასვლამდე განთავისუფლება ხანდახან მეტის-მეტად მახინჯ სახეს ღებულობს.

ერთი დაკვრით, — ამბობს ამხ. მახარაძე,—რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა იმ სნეულ მოვლენების აღმოფხვრას, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში განმტკიცებულან. ჩვენი ყოფა - ცხოვრების ყოველგვარ სიმახინჯის წინააღმდეგ რადიკალურ - საკანონმდებლო ღონისძიებების მიღებასთან ერთად ჩვენ უნდა ვეცადოთ კულტურული დონის ამაღლებას საქართველოს რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიურ ერთეულების ჩამორჩენილ კუთხეებში. კულტურულ დონის ამაღლების შემდეგ ბუნებრივად მოისპობა ჩამორჩენილობის და წარსული [illegible] მემკვიდრეობა.

* * *

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა — ლომაშვილმა, კუკულავამ, ციბაძემ და ყურულაშვილმა. ორატორები საჭიროდ სცნობდნენ სასჯელის გადიდებას მრავალცოლიანობისა, ძალდატანებით გათხოვებისა, სისხლის აღებისა და სხვ. ამხ. ციბაძე დიდხანს შეჩერდა ბანდიტიზმთან და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და მოითხოვა სასჯელის გადიდება ზემოხსენებულ ბოროტებებისათვის.

26 იანვრის საღამოს სხდომა

26 იანვრის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო. პირველად ილაპარაკა ამხ. ვარო ჯაფარიძემ.

ამხ. ვარო ჯაფარიძე

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით შემთხვევას, როცა 12 წლის გოგოს უკვე ბავშვი ჰყავს. ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვებრძოლოთ ამ ბოროტებას, რადგან ოჯახი აიძულებს მას გათხოვდეს, იმის მიუხედავად სწავლობს ქალი სკოლაში, თუ მუშაობს კომკავშირში. მიზეზი ქვრივის გათხოვებისა თავის მაზლზე არის ის გარემოება. რომ ერთი მხრივ გარდაცვლილის ოჯახს არ სურს დაჰკარგოს მუშა ხელი, და მეორე მხრივ დაჰკარგოს ის ქონება, რომელიც ქვრივს ერგება. კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები ამ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ჩემის აზრით, მეტად რბილია. გარდა ამისა, მე მინდა აღვნიშნო ყოვლად დაუშვებელი მოპყრობა ქალის მიმართ ხევსურეთსა და ფშავეთში მშობიარობის წინ ორსულ ქალს აწყვდევენ ბოსელში, სადაც მათ სტოვებენ უპატრონოთ, თავის ანაბარათ, ხანდახან თუ შეუტანებენ პურსა და წყალს აქ მშობიარე ქალებს შორის სიკვდილის შემთხვევები ძალიან ხშირია.

ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვენ ადმინისტრაციულ სასჯელს იმ ქალებისათვის, რომელნიც პროსტიტუციას მისდევენ. იმ ქალების დიდი უმრავლესობა, რომელნიც გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან, ნივთიერად უსახსრო და უმუშევარი ქალები არიან. მე დარწმუნებული ვარ, თუ ქალს ნივთიერად უზრუნველვყოფთ. პროსტიტუციას ბოლოს მოუღებთ. დეკრეტებით და დადგენილებებით კი შორს ვერ წავალთ. იგივე კოდექსი ითვალისწინებს მკითხაობა-ექიმბაშობისათვის და აგრეთვე იმ ექიმების დასჯას, რომელნიც პრაქტიკას ეწევიან არა თავიანთი სპეციალობის მიხედვით. მე [illegible] კატეგორიის პირთა მიმართ მიზანშეწონილი არ არის, რადგან დღესდღეობით ჩვენ საშუალება არა გვაქვს სოფლებში დავგზავნოთ ყველა სპეციალობის ექიმები. რაც შეეხება ექიმბაშობა-მკითხაობას, გათვალისწინებული სასჯელი საჭიროა გავაფართოვოთ, რადგან ამ ბოროტებას დიდი ვნება მოაქვს ქალისათვის, რომელიც უმთავრესად მიმართავს მკითხავ-ექიმბაშის დახმარებას.

დასასრულ აღვნიშნავ, რომ საკმაო არ არის მარტო ქალთა განყოფილების მუშაობა ქალთა შორის, საჭიროა ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ განათლების სახკომმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, თუ გულწრფელად გვინდა ქალი გამოვიყვანოთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება.

ამხ. ლეჟავა

ადმინისტრატიული ზომებით რომ შეიძლებოდეს პროსტიტუციის მოსპობა, ხვალვე ავავსებთ ჩვენს გამასწორებელ სახლს მეძავ ქალებით. ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა, სადაც ქალს სავაჭრო საქონლად სთვლიან, ვენერიულ ავადმყოფობათა გავრცელების წინააღმდეგ შექმნეს საროსკიპო სახლები. ამ მახინჯმა მოვლენამ ევროპის ზოგიერთ დიდ ქალაქებში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ, როცა ერთ ცნობილ ვენელ პროფესორს შრიტერს ბურჟუაზიული იდეოლოგები შეეკითხნენ პროსტიტუციის შესახებ, მან უპასუხა: გადახურეთ მთელი ვენა ერთი სახურავით და თქვენ მიიღებთ საროსკიპო სახლს. რასაკვირველია, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში საკითხს ასე ვერ მივუდგებით. მხოლოდ ქალთა შორის კულტურულ მუშაობის წარმოებით, ქალთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებით და ამის მსგავს ღონისძიებებით შეიძლება ვებრძოლოთ ამ ბოროტებას. დეკრეტით და ადმინისტრატიული ზომებით ვერ მივაღწევთ საგრძნობ შედეგებს. ისინი [illegible], რამდენადაც პარალელურად [illegible] ური ბრძოლა [illegible] ექიმბაშობაზე. ეხლა ჩვენ ვებრძვით [illegible] მით უფრო სასტიკად უნდა ვებრძოლოთ ექიმბაშობას. ყოველ თქვენგანს შეუძლია ჩამოსთვალოს სიკვდილის რამდენიმე შემთხვევა, რომელიც შედეგად მოჰყოლია ექიმბაშების მკურნალობას. ამიტომ, ექიმბაშების დაუსჯელობა ან მათთვის ლმობიერი სასჯელის დაწესება, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა გარდა საკანონმდებლო ღონისძიებებისა, ამ ბოროტების წინააღმდეგ უნდა ვებრძოლოთ სხვა მეთოდებით. სახელდობრ: უნდა გავაფართოვოთ საექიმო პუნქტების ქსელი, მოვაწყოთ სტაციონალური საავადმყოფოები, შევიტანოთ უფასო მკურნალობა უფრო ფართო მასშტაბით. და სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ამ დარგში კულტურული მუშაობა.

ექიმ მამულიას სიტყვა

ზოგიერთმა ამხანაგებმა სისხლის სამართლის კოდექსის ის პუნქტი, რომელიც ეხება ექიმბაშობასა და ექიმთა პრაქტიკას არა თავის სპეციალობის მიხედვით, გაიგეს ისე, თითქოს ექიმბაშობა არ ისჯებოდეს; ეს დიდი შეცდომაა, რადგან ყოვლად დაუშვებელია კულტურულ სახელმწიფოში მოხდეს ექიმბაშობის რეგულამენტაცია.

ჩვენს სინამდვილეში არის შემთხვევები, როცა ექიმის მკურნალობა შედეგებს არ იძლევა. ექიმბაშის საიდუმლო მკურნალობა კი შესამჩნევ ეფექტს იძლევა. ასეთი ფაქტები ძალიან მოქმედებს ხალხის ფსიხიკაზე. ამიტომაც არის, რომ ბევრნი ძალაუნებურად მიმართავენ ექიმბაშებს. ცხადია, ამ მოვლენის წინააღმდეგ გარდა საკანონმდებლო ღონისძიებების მიღებისა, საჭიროა მივმართოთ სანიტარულ განათლებას; ამ მხრივ ჩვენ ვაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია; ვცდილობთ შევიტანოთ განათლება მოსახლეობაში, ვკითხულობთ ლექციებს, ვაწყობთ საუბრებს, გამოფენებს და სხვა. გარდა ამისა ექიმბაშობასთან უფრო რაციონალური ბრძოლის საწარმოებლად საჭიროა გამოვნახოთ ისეთი ზომები, რომლითაც [illegible] თურმანიძის მაგვარ ექიმბაშებს გამოაშკარავონ თავისი მკურნალობის საიდუმლოება, რომელიც მოდგმიდან მოდგმაზე გადადის. საჭიროა მეცნიერული კრიტიკა გაუკეთოთ ამ მკურნალობის საიდუმლოებას და სხვ.

არსად არ არის შემოღებული, რომ საექიმო ფაკულტეტზე არსებობდეს სხვადასხვა სპეციალობანი, ექიმის სპეციალიზაცია ხდება მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ; უნივერსიტეტში კი ის ღებულობს საერთო საექიმო ცოდნას. თუ ცხოვრებაში გავატარებთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-199 პუნქტს, მივიღებთ იმას, რომ სოფლის ექიმმა, რომელსაც დაჭრილ ადამიანს მოგვრიან, უარი უნდა განაცხადოს დაჭრილის საექიმო დახმარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით იგი დაისჯება. ჯერ ჯერობით ჩვენ არა გვაქვს ინსტიტუტი სახალხო ექიმებისა, რომელნიც თანაბრად ძლიერნი იყვნენ ყველა სპეციალობაში. ხოლო სხვადასხვა სპეციალობის ექიმების გაგზავნა სოფლებში, ჯერ-ჯერობით შეუძლებელი საქმეა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენცია მაინც და მაინც დიდი ხალისით არ ეტანება სოფელს, მეორე მხრით კი მატერ. ჯერ-ჯერობით საკმარისად ვერ ვუზრუნველვყოფთ მას, ამ მოსაზრებათა გამო საჭიროდ მიმაჩნია შეტანილ იქნეს ცვლილებები ზემოხსენებულ პუნქტში, ან სავსებით გამოირიცხულ იქნეს იგი კოდექსიდან.

ეხლა ორიოდე სიტყვით შევეხები პროსტიტუციას. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ პროსტიტუცია ეს არის სოციალური ავადმყოფობა, რომელიც ქალებისა და ვაჟების ეკონომიურ უთანასწორობიდან გამომდინარეობს. შემდეგ ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ არსებობენ პროსტიტუტკები, არსებობს მხოლოდ პროსტიტუცია. მეძავი ქალის დასჯა ადმინისტრატიულ წესით დაუშვებელია. ამ სნეულებას, როგორც აქ აღნიშნავდნენ, უნდა ვებრძოლოთ სხვა მეთოდებით: უმუშევრობის შემცირებით, ქალთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებით და სხვ. ჩვენი ბრძოლა მიმართული უნდა იყოს არა მეძავების, არამედ პროსტიტუციის წინააღმდეგ.

ამხ. ტალახაძე

სისხლის სამართლის კოდექსის აქ წარმოდგენილ პროექტში — ამბობს ამხ. ტალახაძე,— სამი მნიშვნელოვანი მომენტი არის. ერთი ამ მომენტთაგანია ის, რომ ყველა ქმედობანი რომელნიც მიმართულნი არიან საბჭოთა პოლიტიკისა და სახელმწიფო მმართველობის წინააღმდეგ, გაერთიანებულნი არიან და ღებულობენ გარკვეულ ხასიათს. ამის შესაბამად გადიდებულია სასჯელი ამ ქმედობათა მიხედვით, საერთოდ, საჭიროა აღინიშნოს, რომ სასჯელი გადიდებულია ყველა იმ პუნქტების მიხედვით, რომელნიც ფრიად მნიშვნელოვანნი არიან. ამას თავისი გამართლება აქვს. და აიხსნება იმ გარემოებით, რომ სისხლის სამართლის დანაშაულობანი, რომელთაც სასტიკი ხასიათი აქვთ, აქ უფრო ხშირია, ვიდრე საბჭ. კავშირის სხვა რომელიმე რესპუბლიკაში. ამავე დროს იმ პუნქტების მიხედვით, რომელთაც თავისი სიმწვავე დაჰკარგეს, სანქციები შემსუბუქებულია. ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრობა ჩვენ შევცვალეთ ჯარიმით, ან და ძალდატანებითი სამუშაოთი, ასეთია საერთო ტენდენცია ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში. აქვე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი საპატიმროები ერთგვარ სკოლას წარმოადგენენ.

აქ შეეხნენ პატიმართა კვების საკითხს, ყოველ შემთხვევაში მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს საპატიმროებში პატიმრები არ სიმშილობენ. აღნიშნეს რა ჩვენი გამასწორებელი სახლების აღმზრდელობითი ხასიათი, ამხანაგებმა აქ განაცხადეს, რომ საჭირო არ არის სასჯელის შემცირება ამნისტიის ძალით. რასაკვირველია, ამას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ბურჟუაზიულ იდეოლოგების თვალსაზრისით დამნაშავე არის ბოროტმოქმედი, მისი გამოსწორება შეუძლებელია. ჩვენ კი ამ საკითხს უყურებთ მარქსისტულად. დანაშაულში ორი მომენტია: ერთი — საზოგადოებრივი მომენტი, მეორე— პირადი, რომელიც უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია. თუ კი ჩვენ გვაქვს გამასწორებელი სახლები, სადაც დაპატიმრებულს აღზრდა სწარმოებს, აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს შემდეგი: თუ კი მკვლელმა, რომელსაც მისჯილი აქვს 8 წლის ციხე, შეისწავლა წერა-კითხვა ან რაიმე ხელობა და ჩვენ დავრწმუნდით მის გამოსწორებაში და აგრეთვე იმაში, რომ იგი მეორედ არ ჩაიდენს დანაშაულს, ჩვენ გვაქვს უფლება გავანთავისუფლოთ იგი ვადის გასვლამდე. საკითხი ამნისტიის გამოყენების შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს რომელიმე ცალკე წესდების მიხედვით. ესეც არ იყოს, ვის ვანთავისუფლებთ ჩვენ ამნისტიის ძალით? მხოლოდ მათ, რომელთაც მცირე დრო დარჩენიათ ვადამდე, მათ, ვინც დამნაშავენი არიან უმნიშვნელო ბოროტმოქმედებაში. ვანთავისუფლებთ რა მანიფესტით, ჩვენ ვამბობთ შემდეგს: დღეს ჩვენ ესა და ეს საზეიმო დღე გვაქვს. ჩვენ შენ განთავისუფლებთ სასჯელისაგან იმ მიზნით, რომ შემდეგში აღარ განიმეორო დანაშაული.

ამხ. ვარძიელი არ შეხებია პუნქტს შინ.-ვაჭრობის დარღვევის კანონის შესახებ.

აქ არის ორი მომენტი: პირველი — როცა პიროვნება პირდაპირ არღვევს კანონს, და მეორე — როცა იგი მიგზავნილ კაცის საშუალებით იძენს საქონელს კოოპერატივებში — სპეკულიაციის მიზნით. დამნაშავენი ამ შემთხვევაში ისჯებიან სამი წლის დაპატიმრებით.

ექიმბაშობა საქართველოს ყოფა - ცხოვრებაში ახალი ამბავი არ არის. ასი კაციდან, რომელთაც ექიმბაში მკურნალობს, 88 კვდება. ჩვენ არ შეგვიძლია არ მივიღოთ ზომები ექიმბაშების წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროა ძალაში დავსტოვოთ კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი. ამავე დროს ყოველ კერძო შემთხვევაში მოსამართლეს უფლება უნდა მიეცეს იხელმძღვანელოს საკუთარი რევოლუციონური ალღოთი.

* * *

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა: [illegible], [illegible], ხურმანიძემ, შავიშვილმა, რომელნიც შეეხნენ მრავალცოლიანობას, ძალდატანებით გათხოვებას, ექიმბაშობას და პროსტიტუციას. პირველი ორი საკითხის შესახებ ორატორები მოითხოვდნენ სასჯელის გადიდებას დამნაშავეთა მიმართ, ექიმბაშობისა და პროსტიტუციის შესახებ კი ორატორები საჭიროდ სცნობდნენ ბრძოლას საკანონმდებლო ღონისძიებებთან ერთად კულტურული საშუალებითაც.

კამათის დამთავრების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ვარძიელს, რომელიც ამომწურავ პასუხს აძლევს მოცემულ შეკითხვებზე და შემდეგ იწყებს თავის საბოლოო სიტყვას.

პარტიული ცხოვრება

ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის მუშაობა

აღნიშნულ იქნას ერთგვარი მიღწევები ც. კ.-ის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების მუშაობაში საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის; ეს მუშაობა ეხება მათ საერთო ჩაბმას საზოგადოებრივ - პოლიტიკურ და პროფესიონალურ მუშაობაში; სახელდობრ: ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმა სადელეგატო კრებების მუშაობაში, მუშაობის საკლუბო მეთოდი, ქალთა კლუბები (თბილისი - ბათომი), ეროვნულ უმცირესობათა ქალების კუთხეები (ბორჩალო - ახალციხე), ერთგვარი დაწინაურება საბჭოთა ხაზით (საბჭოების წევრები, მუშაობა სექციებში, კოოპერაცია და სხვ.).

ამ მიღწევებთან ერთად აღინიშნოს შემდეგი დეფექტები.

1. უფრო ჩამორჩენილ ეროვნებათა შორის ეროვნულ უმცირესობათა კვალიფიციურ მუშაკ - ქალების საკმაო კადრის უქონლობა.
2. მასიური მუშაობის სისუსტე.
3. დელეგატ - ქალების ნაკლებად ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში და მათი დაწინაურება ორგანიულ მუშაობაში საზოგადოებრივ საბჭოთა ხაზით.
4. კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის სუსტად მოწყობა, ლიკპუნქტების ქსელის ნაკლებობა, ქოხ - სამკითხველოების და კლუბების სუსტად ჩაბმა საწრეო მუშაობაში და ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურის უქონლობა.
5. ც. კ.-ის და ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციების მხრით სუსტი ხელმძღვანელობა,
6. ნაკლები კავშირი ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილებასთან, აღრიცხვის უქონლობა ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის მუშაობის მთელი ხაზით და საყოფა-ცხოვრებო დაწესებულებათა ქსელის ნაკლებობა (ბაგები, კონსულტაციები, საბავშვო ბაღები და სხვ.).

ყველა ზემოაღნიშნული დეფექტების ძირითად მიზეზად ჩაითვალოს ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის სამუშაოდ საჭირო თანხების უქონლობა.

ყველა ზემოხსენებული დეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ საჭიროდ ჩაითვალოს შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება:

1. სისტემატიური მომზადებისა და გადამზადების გზით გაუმჯობესდეს ეროვნულ უმცირესობათა მუშაკ - ქალების კადრი (მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების გამგეები, ჯამაგირიანი ქალთორგანიზატორები).
2. ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის მუშაობის გასაღრმავებლად უზრუნველყოფილ იქნას სადელეგატო კრებები მომზადებული ხელმძღვანელებით და გაძლიერდეს პრაქტიკული მუშაობა მათ შორის.
3. ყურადღება მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის მუშაობას იმ მაზრებში, სადაც ამ ხაზით მუშაობა სრულიად არ ყოფილა (ფოთი, ქუთაისი, სიღნაღი, შორაპანი, გორი და თელავი).
4. თბილისის კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ქურთ - ეზიდთა, ქართველ ებრაელთა, აისორ, ბერძენ, ყაზანელ თათართა და რუს სექტანტ ქალთა შორის მუშაობას.
5. გაძლიერდეს კულტურულ - აღმზრდელობითი და მასიური მუშაობა ქალთა კუთხეების მუშაობის დაგეგმვისა და სისტემატიზაციის გზით.
6. ყურადღება მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა შინამრეწველ ქალთა ჩაბმას სარეწაო კოოპერაციაში (შინამრეწველი ქალები ქეჩამრეწველობაში, ხალიჩების, ჩულქების ქსოვაში და სხვა).
7. ჩატარებულ იქნას სისტემატიური მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა ქალების აქტივთან (საზოგადოებრივი მუშაკი - ქალები და ძველი დელეგატი ქალები), აგრეთვე გაძლიერდეს მათი ჩაბმა პარტიისა და კომკავშირში.
8. წინადადება მიეცეს კომკავშირის ც. კ.-ს და ნორჩი პიონერების ცენტრალურ ბიუროს, რათა გააძლიერონ მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა ქალიშვილებსა და გოგონებს შორის (თურქი, აჭარელი, აფხაზი, ოსი, ქართველი, ებრაელი, ბერძენი და ქურთ-ეზიდი).
9. პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ყურადღება მიაქციონ ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმას წარმოებაში.
10. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, რომ მომავალი სამოსწავლო წლიდან გააფართოვოს ლიკპუნქტების ქსელი, მოაწყოს სპეციალური სკოლები ქალიშვილებისათვის, ჩააბას ისინი საქარხნო - სამაბრიკო სასწავლებლებში, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, პრო - კურსის სკოლებში და პროფტეხნიკუმებში (აჭარლები, თურქები და ქურთ-ეზიდები).
11. იუსტიციის სახ. კომისარიატის სათანადო ორგანოების საშუალებით მიღებულ იქნას საჭირო ზომები, რათა ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის საბჭოთა კანონების პოპულარიზაცია მოხდეს, მეტადრე კოდექსის იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება ოჯახს, ქორწინებას და მეურვეობას.
12. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომ მან ჩამორჩენილ ეროვნებათა შორის სასამართლოს სესიები მოაწყოს საზოგადოებრივ - საჩვენებელი გასამართლების მოსაწყობად; ასეთი სესიების მიზანი უნდა იყოს ბრძოლა ეროვნულ უმცირესობათა ქალების დამონების წინააღმდეგ (მკვლელობა, ცემა, მცირეწლოვანთა გათხოვება, მოტაცება, კარჩაკეტილობა).
13. ქალების ყიდვა - გაყიდვის (ყალიმი) მოსპობის მიზნით საქართველოს ცაკში საკითხი დაისვას სათანადო კანონმდებლობის გამოსაცემად, რამაც ყალიმი უნდა გააუქმოს.
14. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომ გააძლიეროს სანიტარული განათლების გავრცელება ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის.
15. ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის მუშაობის მიღწევათა და ნაკლოვანებათა გამორკვევის მიზნით მათ შორის მუშაობის აღრიცხვა სისტემატიურად სწარმოებდეს.

საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილება.

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა ფოთის ორგანიზაციის ამხანაგთა ერთი ჯგუფის: **შეგლარი ხახუშვილის, კონსტანტინე გაბისკირიას, პლატონ გაბისკირიას, დავით კალაძის, ნიკოლოზ ჩუჩუას, თედორე ფაცურიას, გიორგი ბარაბაძის, გიორგი მიმინოშვილის, შალვა კუნჭულიას, ვასილ ბოკუჩავას, ვლადიმერ კოკაიას და პარმენ მუხაბრიას** განცხადებები. ამხანაგები აცხადებენ, რომ ისინი იმყოფებოდნენ ტროცკისტულ ოპოზიციაში და იზიარებდნენ მის პლატფორმას და შეხედულებებს. მე-15 ყრილობის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ ოპოზიციის შეხედულებები და მოქმედებები დეზორგანიზატორულია და პარტიის გათიშვას უქადის. ისინი აცხადებენ, რომ გულწრფელად იმიჯნებიან ოპოზიციიდან, ჰგმობენ ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობას და სწყვეტენ ოპოზიციასთან იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს.

მუშათა ცხოვრება

ათი წლის თავზე
(საზეიმო სხდომა)

18 იანვარს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, რკინისგზის პროფკავშირების არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად შესდგა საზეიმო სხდომა. სხდომას 300-ზე მეტი ძველი რკინისგზელი დაესწრო.

რკინისგზის პროფკავშირების ათი წლის თავზე მიღწევებისა და მის ისტორიის შესახებ მოხსენება გააკეთა საგზაო კომიტეტის კულტგანყოფილების გამგემ ამხ. მგელაძემ, რომელიც ვრცლად შეეხო რკინის გზის პროფკავშირების ისტორიას და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა, როგორც ორგანიზაციულ მუშაობაში, ისე კულტურულ დარგშიაც.

შემდეგ, ამხ. მგელაძე ეხება, რკინისგზელების როლს ოქტომბრის რევოლუციის ხანებში და დასძინა, რომ რკინისგზის მუშებმა და მოწინავე ამხანაგებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ნიკოლოზის მთავრობის წინააღმდეგ. გაიმარჯვა თუ არა ოქტომბრის რევოლუციამ. დაარსდა რკინისგზელთა პროფკავშირი. კავშირის მიზანი იყო გაეღრმავებია მუშაობა რკინისგზელ მუშებს შორის სატარიფო ეკონომიურ და კულტურულ დარგში. ამ მხრივ პროფკავშირის მუშაობას საკმაო ნაყოფი აქვს. რკინისგზელთა კავშირმა თ[illegible] ირგვლივ შემოიკრიბა და დარაზმა მთელი ასი პროც. მუშებისა.

1922 წ. ოქტომბერში შესდგა რკინისგზელთა პროფკავშირის გაერთიანებული ყრილობა. სადაც მოხდა კავშირების განცალკევება. ამავე წლის შუა თვეებში მოხდა კავშირის გაწმენდა, რის შემდეგ ის შეუდგა ნამდვილ პროლეტარულ მიზნების განხორციელებას. 1921 წ. რკინისგზელთა კავშირში ირიცხებოდა 779900 კაცი, ხოლო 1927 წლისათვის კი ეს ციფრი გაიზარდა 1087200-მდე. საშუალოდ კავშირში აქტივი 156000 კაცით გაიზარდა. ჩვეულ კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კულტურული მუშაობის გაჯანსაღებას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1922 წ. მუშათა კლუბები იყო 514, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები—497; ხოლო 1925 წ. კლუბები—656, სამკითხველო—603, ამჟამად წითელი კუთხეების რაოდენობა უდრის 3531-ს.

მოხსენების ირგვლივ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. **კანდელაკმა, წილოსანმა** და სხვ ორატორებმა აღნიშნავენ, რომ ა.-კ. რკინისგზის პროფკავშირის საქმიანობაში არის დიდი მიღწევები, კავშირი იზრდება, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივადაც.

სიტყვების შემდეგ კრებამ გაუგზავნა მისალმებელი დეპეშა საგზაო კომიტეტს.

ლ—თი.

დასჯის ღირსნი არიან

19 იანვარს, დილის 11 საათზე ძეგვიდან მომავალი მატარებელი № 109 უნდა გაჩერებულიყო მცხეთის ნიშანსვეტთან. მემანქანე კიკნაძემ მატარებლის გასაჩერებლად თავის დროზე ყველა საშუალება იხმარა, მაგრამ მატარებელმა მაინც გაიარა ნიშანსვეტი და შევიდა მცხეთის სადგურის პირველ ხაზზე. შესავალ ისარზე იქვე იყო გაჩერებული ორთქლმავალით მემანქანე **ფომენკო**. ორთქლმავლიდან ასი საჟენის მოშორებით იდგა სატვირთო მატარებელი, რომელზედაც იყო მემანქანე ქანთარია. შეამჩნია თუ არა გამოქანებული მატარებელი ფომენკომ, შეეცადა ორთქლმავლით შეერთებოდა მაზედ გამოქანებულ მატარებ. ასეთი ცდა ფომენკოს ჩაეთვლება უნარით და სიმხნევით. ასევე სადგურზე მდგარ მატარებლის მემანქანე ქანთარია შეეცადა გასაქცევად, მაგრამ არც ფომენკოს და არც ქანთარიას ეს აღარ დასჭირდათ. შემოჭრილი მატარებლის **კიკნაძემ** თავისი ორთქლმავლით და ორი ტორმოზით გააჩერა დასაჯახებელი მატარებელი ორთქლმავლიდან ათი საჟენის მანძილზე.

შემთხვევის შემდეგ შედგენილი იქნა ოქმი. საიდანაც სჩანს, რომ მატარებელი რომლის სიმძიმე შესდგენოდა 60.000 ფუთი, მიუხედავად კიკნაძის მიერ მიცემული სახიფათო ნიშნებისა: იმის შესახებ; რომ კონდუქტორებს მოეჭირათ მუხრუჭი; ეს შეესრულებიათ მხოლოდ ოჩიგავას. შათათავას და მზეთაძეს. დანარჩენებს, რვა კაცს მოვალეობა არ შეუსრულებიათ. ამისთვისაც დასჯის ღირსნი არიან ხოლო მემანქანე კიკნაძე, ფომენკო და ქანთარიას კი მადლობა უნდა გამოეცხადოთ.

პროლეტარი.

გულგრილობის ბრალია

ა.-კ. რკ. გზათა საკავშირო და ელექტრო-ტეხნიკური მე-3 უბნის ანგარიში ერთ დროს სრულებით არ სთვლიდა საჭიროდ საანგარიშო წიგნაკების შევსებას. ჯამაგირი რიგდება უწიგნაკოდ. რის გამო თანამშრომლებმა არ იციან რამდენს ღებულობენ. რა გამოქვითვით და სხვ. ორ-სამი დღის შემდეგ კი ავსებენ წიგნაკებს.

წიგნაკები ანგარიშიდან ან სრულებით არ ბრუნდება ან რიგდება ჯამაგირის დარიგების 10 დღის შემდეგ. უბნის უფროსო, გვიპასუხეთ, რა საჭიროა ჯამაგირების დარიგების 10 დღის შემდეგ საანგარიშო წიგნაკი?

ჩვენის აზრით. ეს არ არის გამოწვეული არც დროის უქონლობით და არც სხვა მიზეზით, არამედ ანგარიშის თანამშრომლების გულგრილობით.

ლეო—დ-ძე.

რკინის გზის მე-2 რაიონის დამცველ რაზმში

18 იანვარს, შესდგა დამცველი რაზმის მეორე რაიონის თანამშრომელთა საერთო კრება. რომელსაც დაესწრო საუბნო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. აზრუმელაშვილი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი. ჯაფარიძე, აზრუმელაშვილი, ლომიძე, სიხარულიძე და ხარებავა. დღის წესრიგის მიხედვით ადგილკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფარცვანიამ, რომელიც ვრცლად ეხება ადგილკომის მუშაობას 6 თვის განმავლობაში.

ადგილკომს ჩამოყალიბებული აქვს სხვადასხვა წრეები, როგორიც არის: კულტურული, [illegible], წერაკითხვის, წითელი ჯვარის საზოგადოება, მცირე მცოდნეთა ლიკვიდ, მომღერალთა გუნდი და სხვა. შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას ადგილკომის შემოსავალ გასავალი და აღნიშნა რამდენი დაიხარჯა საანგარიშო ხნის განმავლობაში. შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს ადგილკომის მიღწევებს მათი ენერგიული მუშაობით და სარევიზიო კომისიის სახელით უცხადებს მადლობას.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავენ ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მუშაობის ზოგიერთ დანაკლისს და მოითხოვენ მომავალში მის გამოსწორებას

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საუბნო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. აზრუმელაშვილი, რომელიც კრებას ვრცელ ახსნა-განმარტებას აძლევს დამსწრეთ და აღნიშნავს ადგილკომის დადებითი და უარყოფითი მხარეებს.

ადგილკომის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად და აირჩია ადგილკომის ახალი შემადგენლობა.

პაპასკირი.

მუშკორთა წერილებიდან

სპეცტანსაცმელი მუშებისათვის. წყალსადენის სახელოსნოს ადმინისტრაცია უკვე შეუდგა 1928 წ. სპეცტანსაცმლების შეძენას მუშებისათვის. სპეცტანსაცმელი დარიგდება, როგორც სახელოსნოს მუშებს, ისე ავჭალის წყალსადენის მუშებსაც

გი.

მოუმატეთ პენსია. (ტყიბული). ამხ. გ. ვარდოსანიძე 41 წელიწადი განუწყვეტლივ მუშაობდა ტყიბულის მაღაროებში. ამ ჟამად იგი, როგორც მოხუცებული განთავისუფლებულია სამუშაოდან და ღებულობს 9 მ. და 75 კაპ. პენსიას, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მის ოჯახს, რადგან შესანახი ჰყავს 7 სული. დამზღვევ სალაროვ, გაუდიდე პენსია.

ეკალვარდი.

— რით აწყენინეთ. ორი წელიწადია შოთავარ სახელოსნოს მუშის, ამხ. ძულუაშვილის ქალი, ციალა ძულუაშვილი მუშაობდა სახკინმრეწვში. მან რამოდენიმეჯერ შეიტანა კავშირში განცხადება იმის შესახებ, რომ ჩაერიცხათ იგი პროფკავშირში წევრად, მაგრამ ადგილკომი ყურადღებას არ აქცევს. სახკინმრეწვის ადგილკომო, რით აწყენინეთ ძულუაშვილს და არ ჩარიცხავთ მას კავშირში?

ჯ—ვ.

ვინ მიიღეს კავშირში. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პირველი რაიონის ადგილკომის კრებამ 18 იანვარს კავშირში მიიღო ვაჩრიშვილი, ვინმე **საინოვი**, რომლის ანკეტაც შევსებულია გასული წლის თებერვალში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საინოვი არც ეხლა მუშაობს და არც სხვა დროს უმუშავია დაქირავებით. კავშირის გამგეობავ, გამოარკვიე ეს საქმე.

მარნელი.

მგზავრები მოითხოვენ. რკინისგზის სადირეხის ბაქანზე (ქუთაისი) არც სკამებია მოწყობილი და არც საფარი აქვს გაკეთებული, რომ წვიმის დროს მგზავრებმა თავი შეაფარონ. ურიგო არ იქნება რკინიგზის სამმართველო იზრუნოს აღნიშნულ ბაქანის სახურავის გასაკეთებლად.

ნ. მიქაშავიძე.

ჩვენს მუშკორებს

უხამშობლოს. შემოიარეთ რედაქციაში

ივანე ბუხაიძეს. თქვენი წერილი, „ცრუ კორესპონდენტი" გადაეცა ჟურნალ „ტარტაროზი"-ს რედაქციას.

მუშას. (ქუთაისი) „ხელისუფლების წარმომადგენელი" არ წავა. საკითხი მოაგვარეთ ადგილობრივად.

მუშას (თბილისი). წერილი პროტექციონიზმის შესახებ—უსაბუთოა. არ წავა.

ლანტკუველს. „ასეთი ექიმი არ გამოვადგება" არ დაიბეჭდება. მიმართეთ რკ. გზის ჯანმრთელობის სამმართველოს.

და-ლი-ს. „საერთო კრების ანგარიში" არ დაიბეჭდება, მასში არ არის გაშუქებული კრების საქმიანი მხარე.

ა. ხალაძეს. წერილი საფ. მარტოთუბანის უფროსის თანაშემწის შესახებ არ დაიბეჭდება. დაუსაბუთებელია.

მუშა ქალს. (სამტრედია) „პროტექცია" არ დაიბეჭდება. ამის შესახებ უკვე იყო მოთავსებული წერილი.

საქ. ცაკში

ბრმათა საზოგადოებების წარმომადგენელთა თათბირი

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, 5 თებერვალს მოსკოვში გაიხსნება ბრმათა საზოგადოებების წარმომადგენელ. თათბირი. საქართველოდან ამ თათბირს დაესწრება თბილისის ბრმათა საზოგადოების ორი წარმომადგენელი.

ქუთაისის მაზრაში გლეხკომების გადარჩევა დამთავრდა

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ცნობით,— ქუთაისის მაზრაში გლეხკომების გადარჩევა ყველგან დამთავრდა. გლეხკომების გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო პარტიულმა, პროფესიონალურმა და სხ. ორგანიზაციებმა. წარსული წლის 1 იანვრისათვის ქუთაისის მაზრაში გლეხკომებს ყავდა 9.000 წევრი, ამ ჟამად გლეხკომების წევრთა რიცხვი აღნიშნულ მაზრაში—40.000-მდე გაიზარდა.

საკომსაჭოში

დახმარება თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს

ლენინის სახელობის თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს მისი არსებობის 10 წლის თავის გამო მიეცა 12.000 მან.

სკოლების აღშენებლობა გალის მაზრაში (აფხაზეთი).

გამწესრიგებელმა სხდომამ ნება მისცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს გასცეს უფასოდ სვანეთის სატყეოდან გალის მაზრის (აფხაზეთის) სკოლების აღშენებლობისათვის 50.000 კუბ. ფუტი საამშენებლო ხე-ტყე.

კოლექტიურ მეურნეობათა წესდება.

კოლექტიურ მეურნეობათა სექციის მოხსენების თანახმად განმწესრიგებელთა სხდომამ საჭიროდ სცნო რომ კოლექტიური მეურნეობანი წესდების დამტკიცებისათვის არ იქნენ დაბეგვრილი გადასახადით.

იაფი საგზაო მშენებლობა და ავტომობილიზაცია

საზ-ბა „ავტოგზა"-ს დაარსება

გუშინ, ამხ. შ. ელიავას თავმჯდომარეობით სასახლეში შესდგა მთელ რიგ დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი, რომელზედაც გაირჩა საკითხი ახალი საზ-ბა „ავტოგზა"-ს დაარსების შესახებ. თათბირზე საზოგადოების დაარსების მიზნებისა და საგზაო აღშენებლობის საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. შ. ელიავამ.

ამხ. შ. ელიავას მოხსენება

საკითხი საგზაო მშენებლობის და ავტომობილიზაციის შესახებ,—განაცხადა ამხ. ელიავამ,—იმ თავითვე იპყრობდა საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას. იაფი საგზაო ტრანსპორტი, ეს უშუალო საშუალებაა ჩვენი სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. ჩვენ სოფელში მოიპოვება დიდძალი ხიმდიდრე, რომელზედაც ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ სოფლის მეურნეობის ეს პროდუქცია ვერ გამოდის ბაზარზე ძვირი და ხანგრძლივი ტრანსპორტის გამო. ასეთ პირობებში იაფი ტრანსპორტი არ შეიძლება შეიქნეს რკინის გზების გაყვანით, ვინაიდან რკინის გზის გაყვანა ექსპლოატაციის თვალსაზრისით ხელსაყრელია მხოლოდ დიდ მანძილზე და ა.-კავ. რესპუბლიკებში კი საჭიროა მოკლე მანძილიანი გზები. ამიტომ მომხსენებელს მიზანშეწონილად და აუცილებლად მიაჩნია ავტომობილების ტრანსპორტის განვითარება. ავტომობილების ტრანსპორტი უფრო იაფი დაჯდება რკ. გზის ტრანსპორტზე, თუ გვექნება სათანადო საავტომობილო გზები.

—ამიტომ, განაგრძობს ორატორი,—საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს საგზაო აღმშენებლობას. ჩვენში ძალიან ბევრი კეთდება ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად, მაგრამ ასეთი ყურადღება არა აქვს მიქცეული საგზაო აღმშენებლობას. ეს კი უფრო საჭიროა ა.-კ. პირობებში, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე კუთხეში. ხშირია შემთხვევა, როცა ქარხანას აგებენ და ამავე დროს შესაფერის ანგარიშს არ უწევენ სწორედ ტრანსპორტის საკითხს.

დასასრულ, ამხ. ელიავა აღნიშნავს, რომ საავტომობილო გზატკეცილების გაყვანა გარდა იმისა, რომ შედარებით ბევრად იაფი დაჯდება, ჩქარიცაა და საექსპლოატაციოთ ხელსაყრელიც, მომხსენებელი საჭიროდ სცნობს განსაკუთრებული ყურადღება ექცეს მიქცეული საგზაო მშენებლობას. ახალი გზების გაყვანაში გლეხობა უაღრესადაა დაინტერესებული და ამ მომენტის გამოყენება შეიძლება იმ მხრივ, რომ გლეხობა თვითონ ჩაებას ამ მშენებლობაში. ამ მიზნით, მომხსენებელს შესაძლებლად მიაჩნია ფართოდ იქნას გამოყენებული კანონი თვით-დაბეგვრის შესახებ.

კანონით ნებადართულია შეიკრიბოს თვითდაბეგვრის სახით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არა უმეტეს 50 პროცენტისა. თუ ეს საკითხი მოგვარდება, მაშინ საგზაო აღმშენებლობის ფონდი შესამჩნევათ გაძლიერდება. ამ ფონდს დაემატება მთავრობის სუბვენტთა ანარიცხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ამგვარად მოგროვდება თანხა, რომლითაც შესაძლებელი იქნება საგზაო მშენებლობის გაძლიერება.

ამხ. ელიავას მოხსენების შემდეგ ინჟ. ჯორჯაძემ თათბირს გააცნო მომავალი საზოგადოება „ავტოგზა"-ს დაარსების გეგმა. თათბირმა მოიწონა საზოგადოების დაარსების გეგმა და გამოჰყო დროებითი პრეზიდიუმი 18 კაცისაგან. პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ამხ. შ. ელიავა, ხოლო წევრებათ: ამხ. იაკუბოვიჩი, გუსეინოვი, ლევანდოვსკი, ლევაშოვი, ჩხენკელი, ბაგიროვი, ფეხოუკი, ინჟ. ჯორჯაძე, ცურინოვი, სმირნოვი, აზარნოი და ხაჩიევი.

პრეზიდიუმს დავალებული აქვს მიიღოს ზომები რომ ყველა რესპუბლიკებში მოეწყოს საზოგადოება „ავტოგზა", ხოლო შემდეგ მოწვეული იქნება სარესპუბლიკო საზოგადოებათა ა.-კ. ყრილობა, რომელიც აირჩევს ა.-კ. საზოგადოებათა „ავტოგზას" საბჭოსა და გამგეობას.

სამედიცინო დახმარების რეორგანიზაცია

ტფ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალო ქვე-განყოფილებამ შეადგინა დაზღვეულთათვის სახლში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საქმის რეორგანიზაციის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით დაზღვეულებს სამედიცინო დახმარება სახლში გაეწევა დისპანსერიზაციის სახით და პროფილაქტიური განხრით თვითეულ ექიმს ჩაბარდება მტკიცე, განსაზღვრული რაიონი, რომლის ფარგლებში მცხოვრები დაზღვეულები სამედიცინო დახმარებისათვის მიმართავენ მხოლოდ მას. რაიონულ ექიმს ევალება საფუძვლიანად შეისწავლოს თავისი რაიონი, გამოჰყოს ქრონიკით დაავადებულნი, ტუბ-ცხელებიანები, ვენერიული სენით შეპყრობილები და გადასცეს ისინი სათანადო დისპანსერებს საბოლოო მკურნალობისათვის. ამავე დროს რაიონული ექიმი ვალდებულია აცნობოს სანიტარულ ექიმს ამა თუ იმ ადგილის ანტი-სანიტარული მდგომარეობა და საერთოდ მიიღოს ზომები თავის რაიონში სანიტარულ პირობების დასაცავად.

რაიონულ ექიმების დანიშვნის სისტემა საშუალებას მოუსპობს ავადმყოფს გაიწვიოს მისთვის სასურველი ექიმი.

ავადმყოფის რთულ მდგომარეობაში ჩავარდნის დროს რაიონული ექიმი ვალდებულია მოიწვიოს კონსილიუმი.

ამავე გეგმით. რაიონულ ექიმების თანამდებობაზე სულ მოწვეული იქნება 48 თერაპევტი, პედიატრი, 8 გინეკოლოგი და 6 დოსტაქარი.

მთელი ქალაქი დაყოფილი იქნება 48 რაიონად, ისე რომ თითო თერაპევტს მოსავლელად მოუწევს 5000 სული, აქედან რაიონული ექიმი სამედიცინო დახმარებას გაუწევს მხოლოდ დაზღვეულებს. ქალაქის განაპირა უბნებში, სადაც შედარებით მოსახლეობა გაფანტულია რაიონის მცხოვრებთა რიცხვი განსაზღვრული იქნება ნაკლები რაოდენობით, რადგანაც ექიმი თავის დროზე ვერ შესძლებს ავადმყოფების ნახვას დიდი სივრცის გამო. ასე იქნება ქალაქის მთიან რაიონებშიაც. ამ რიგათ, რაიონებათ დაყოფის დროს მხედველობაში მიღებული იქნება გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე და რაიონის რადიუსი. რაიონულ ექიმებათ დაინიშნებიან გამოცდილი და სტაჟიანი ექიმები, ვინაიდან სამედიცინო დახმარების საქმის ახალი ორგანიზაცია აფართოებს რაიონულ ექიმის მოვალეობა-მუშაობას, ამიტომ რაიონულ ექიმს უფლება აღარ ექნება იმუშაოს სხვა ადგილზედაც.

ექიმების გამოწვევა იწარმოებს ამბულატორიებში დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე, აგრეთვე ექიმების გამოძახება შეიძლება ამავე დროის განმავლობაში ექიმის საცხოვრებელ ბინიდანაც, პირადათ ნახვის, ან ავადმყოფის მისამართის დატოვების საშუალებით.

ექიმი ვალდებულია ავადმყოფი ინახულოს გამოძახების პირველ დღესვე და თითონვე დანიშნოს განმეორებით ნახვის დღე. ავადმყოფობის გართულების შემთხვევაში, შეიძლება ექიმის განმეორებით უფრო ადრე გამოძახება.

ამბულატორიებში მოეწყობა ექიმების მორიგეობა საღამოს 8 საათიდან, დილის 8 საათამდე.

რაიონულ ექიმებს თვიურათ დაენიშნებათ 140 მანეთი. ამის გარდა მუყაითად მომუშავე ექიმს წელიწადში ერთხელ მიეცემა ჯილდო.

ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა ამბულატორიულ სამედიცინო დახმარების საქმის გადახალისების გეგმის შედგენასაც.

ექსპორტის განვითარებისათვის

ა.-კ. საექსპორტო თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება კოოპერაციის მონაწილეობის შესახებ ექსპორტის საქმეში.

თათბირმა აღნიშნა, რომ კოოპერაციის მონაწილეობა ამ დარგში არ არის დამაკმაყოფილებელი, რომ კოოპერაციამ არ შეასრულა ზოგიერთ საგნების (ვაშლი, თხილი, ნაწილობრივ კვერცხი) დამზადების გეგმა, რის გამოც საექსპორტო გეგმა უკლებლივად ვერ იქნა შესრულებული.

საექსპორტოთ განზრახულ მეორე ხარისხოვან საგნების ნომენკლატურის მრავალსახეობის და ამ საგნების დაფანტულობის გამო, თათბირმა მიზანშეწონილათ სცნო ამ საგნების კოოპერაციის საშუალებით დამზადება. აღნიშნულ დამზადებაში ფართოთ უნდა იქნეს გამოყენებული კოოპერაციის ძირითადი ქსელი და დამზადების გეგმის შეუსრულებლობისათვის კოოპერაციას უნდა დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა.

რესპუბლიკანურ სმუსებს, შინამრეწველ და სარეწაო კოოპერაციის ცენტრებს დაევალათ ერთი თვის განმავლობაში წარუდგინონ რესპუბლიკანურ საექსპორტო თათბირებს თავისი საექსპორტო გეგმა და შეიმუშაონ ღონისძიებები შინამრეწველობის ნაწარმოებთა საექსპორტო დამზადების მოსაწესრიგებლათ.

მეცნიერების მუშაკთა კონფერენციისათვის

დღეს განათლების მუშაკის სახლში პირველად იკრიბება სრულიად საქართველოს მეცნიერების მუშაკთა კონფერენცია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებას და მეცნიერული ძალების დარაზმვას ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ უდიდესი ამოცანების—ინდუსტრიალიზაციის და მასთან დაკავშირებული ტეხნიკური განათლების გავრცელების ამოცანების დადებითად გადაწყვეტისათვის. შრომისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირი უეჭველი თავდებია სოციალისტური მშენებლობის წარმატებით მსვლელობისათვის.

ამიტომაც სამეცნიერო მუშაკთა შორის პროფესიული მუშაობის გაცხოველებას და სწორი ხაზის დაჭერას მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

მეცნიერების მუშაკთა სექცია განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან 1924 წლიდან არსებობს, მაგრამ მისი გამოცოცხლება და აქტიური მუშაობის გაშლა უკანასკნელ ორ წელში ხდება; მანამდე კი ის საკმაოდ მოდუნებული იყო. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სექციამ მოახერხა საკმაოდ მტკიცე მდგომარეობის შექმნა, თავის ავტორიტეტის გაზრდა და ზოგიერთი რეალური მიღწევების მოპოვებაც. აი, ამ მუშაობას უნდა გაეცნოს დღეს კონფერენცია, დასდოს მას მსჯავრი და მიუთითოს ახლად არჩეულ ბიუროს მომავალი მუშაობის გარკვეული გზა და მიმართულებაზე.

სექციას ჰყავს 7 წევრისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც აწარმოებს სექციის ყოველდღიურ მუშაობას. ბიუროსთან არჩეულია მუდმივი კომისიები (საკვალიფიკაციო და სატარიფო-საეკონომიო), რომლებიც დაწვრილებით ამუშავებენ ბიუროს მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. ბიუროს მუშაობას უკანასკნელ ხანებში სავსებით გეგმიანი ხასიათი მიეცა და ამან იმ თავითვე დადებითი ნაყოფი გამოიღო. განსაკუთრებით გაუადვილდა ბიუროს კულტურულ-განმანათლებელი და საორგანიზაციო მუშაობის წარმოება მას შემდეგ, რაც კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გამოჰყო სექციის წევრების მიერ კავშირში შეტანილი გადასახადის 50 პროც. აქედან მოგროვილი თანხის საშუალებით ბიურო ახერხებს სექციის წევრებისათვის დახმარების გაწევას, მშრომელთა მასებში კულტურული მუშაობის წარმოებას და სხვა პროფესიული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამ თანხებიდანვე „განათლების მუშაკის სახლში" უნდა მოეწყოს მოკლე ხანში [illegible] სადაც სექციის წევრები ჰპოვებენ დასასვენებელ და კულტურული გართობის ადგილს.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობას სექციის ბიურო ყოველთვის მთავარ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ მან მართლაც მოიპოვა ზოგიერთი მიღწევები. გასული წლის ზაფხულს სექციის ბიუროს ინიციატივით მოწვეულ იქნა ა.-კ. რესპუბლიკათა მეცნ. სექციის ბიუროების თათბირი, რომელმაც გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებებისა ა.-კავკასიის სამეცნიერო მუშაკთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში თათბირმა საჭიროდ აღიარა საქართველოს და სომხეთის მეცნიერების მუშაკთა მეტად ჩამორჩენილი ხელფასის აწევა და საშტატო-საჯამაგირო სისტემაზე გადასვლა.

სექციის ბიუროს ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და გასულ შემოდგომაზე ჩვენ უკვე მივიღეთ უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიურ პერსონალისათვის მომატება, რომელიც მაგალითად, პროფესორებისათვის 72 მანეთიდან 110 მან. ხელფასზე გადასვლაში გამოიხატა. ამჟამად დღის წესრიგში სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ-თანამშრომლების შრომის ჯილდოს მომატების საკითხი სდგას.

სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლების მატერიალური მდგომარეობა იმდენად მძიმეა და ეს უკანასკნელი გარემოება იმდენად აშკარად ახდენს ცუდ გავლენას მათ სამეცნიერო მუშაობაზე, რომ, ცხადია, მომავალი ბიურო ყოველგვარ ღონეს მიმართავს საქმის გამოსასწორებლად.

სექციის წევრთა შორის კულტურული მუშაობის გაძლიერება განსაკუთრებით გაადვილებული იქნება მაშინ, თუ თბილისში მოხერხდა „მეცნიერის სახლის" დაარსება. არ არის მთელს ჩვენს საბჭოთა კავშირში არც ერთი ცოტად თუ ბევრად დიდი ცენტრი, რომ არ იყოს ასეთი „სახლი". ერთად-ერთ გამონაკლისს მხოლოდ თბილისი შეადგენს. „მეცნიერის სახლის" უქონლობა კი მეტად აფერხებს მეცნიერთა შორის პროფესიულ-კულტურული მუშაობის წარმოებას, რაც აფერხებს მათ საზოგადოებრივ მუშაობას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სათანადო ორგანოები ანგარიშს გაუწევენ ამ მდგომარეობას და მეცნიერებისათვის სპეციალური სახლის გაჩენით შეძლებას მისცემენ სექციას გააძლიეროს საზოგადოებრივი და პროფესიული მუშაობა.

სალამი საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველ კონფერენციას.

ვ. ფ.

რამ გამოიწვია პურის ნაკლებობა

უკანასკნელ დღეებში პურის ბაზარზე ადგილი ჰქონდა გამომცხვარი პურის ნაკლებობას. ამ მოვლენის მიზეზების გამორკვევის მიზნით ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში მოწვეული იქნა სასწრაფო თათბირი ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში), „ხლებოპროდუქტი"-ს, „კავხლები"-ს, შინამრეწველთა კოოპ. კავშირის, „ზაკტპო"-ს და სხ. ორგანიზაციათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

თათბირზე გამოირკვა, რომ გამომცხვარი პურის ნაკლებობა გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

1) მუშკოოპს თავის დროზე არ მიუღია ზომები ფქვილის შესაძენათ, თუმცა ფქვილის ნაკლებობა მუშკოოპის პურის საცხობებში შენიშნული იყო უკვე 21 იანვარს.

2) „ხლებოპროდუქტი" პურის კერძო მცხობელებს აძლევდა ფქვილს არა სრულ ნორმას.

მუშკოოპის წარმომადგენლის განცხადებით, პურის ნორმალურად გამოცხობას ხელი შეუშალა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთი პროფმუშაკები წინააღუდგენ მუშკოოპის განკარგულებას, რომლის თანახმად პურის გამოცხობა უნდა დაწყებულიყო კვირა საღამოს.

თათბირმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მუშკოოპის მიერ პურის გამოცხობა კერძო კონტრაგენტების საშუალებით.

ბაზარზე გამომცხვარი პურის ნაკლებობამ გამოიწვია ერთგვარი პანიკა მოსახლეობაში, რომელიც, ამის გამო, პურს იძენდა საჭიროზე მეტის რაოდენობით, რამაც უფრო გაართულა პურის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა და ეს იმ დროს, როცა თბილისში არსებული ფქვილის მარაგი სავსებით უზრუნველყოფს მოსახლეობის ნორმალურათ მომარაგებას გამომცხვარი პურით.

მომავალში ასეთ არანორმალობის თავიდან ასაცილებლათ ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ: 1) პურით მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის ფქვილის გეგმიან მიწოდების გაძლიერებას და გაუმჯობესებას. მათ ხვედრით წონასა და ბრუხვასთან შეფარდებით, მკაცრი კონტროლის დაწესებას კოოპერატიული და კერძო მცხობელების მიერ პურის გამოცხობაზე, 2) კოოპერაციის კერძო კონტრაგენტების როლის გამორკვევას ქალაქისათვის პურის მიწოდების საქმეში. სისტემატიურ მუშაობის წარმოებას პურის მცხობელ ორგანიზაციების რაციონალიზაციისათვის.

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეხუთე პლენუმი

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე პლენუმმა მოისმინა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის **გრიგორიანის** მოხსენება ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ურთიერთ დამხმარე სალარო არსებობს 150 ადგილკომთან. სალაროების ქსელი უფრო სუსტია თბილისის და ბაქოს უბნებზე. სალაროების წევრთა ზრდა მეტად ნელის ტემპით სწარმოებს. ასე, მაგალითად თუ 1926 წ. 1 აპრილისათვის სალაროების წევრთა რიცხვი უდრიდა—12.935 კაცს და შეადგენდა კავშირის წევრთა მთელი მასის 35,6 პროცენტს, 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის, სალაროების რეორგანიზაციის შემდეგ, მათი რიცხვი უდრიდა 12.146 კაცს ანუ კავშირის წევრთა 28,8 პროცენტს.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, სალაროების კაპიტალი 58.209 მანეთიდან (1925 წელში) გაიზარდა — 106.947 მანეთამდე (1927 წლისათვის).

ამის და მიხედვით გაიზარდა წევრებისათვის სესხის ციფრები — 6 მან. 34 კაპეიკიდან (1924 წელში) 13 მან. 57 კაპეიკამდე (27 წელში).

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს სალაროების სუსტ მუშაობას და შეიცავს პრაქტიკულ ღონისძიებებს მის გასაჯანსაღებლად.

საგზაო კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა

შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოხსენება საგზაო კომიტეტის ეხლანდელი ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

პლენუმმა ხარჯთ - აღრიცხვის შედგენა და დამტკიცება მიანდო საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმს საუბნო კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად.

ადგილკომების გადარჩევის კამპანია

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ადგილკომების გადარჩევის შემოდგომის კამპანიის შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა — **გრიგორიანმა** განაცხადა, რომ კამპანია გარდა ორი უბნისა უკვე ჩატარდა სექტემბრამდე და საბოლოოდ დასრულდება თებერვლისათვის.

კამპანია წელს უკეთესად ჩატარდა, ვინემ წარსულში.

რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობა

სხდომის დასასრულს პლენუმმა განიხილა ა.-კ. რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობის მოწვევის საკითხი.

ყრილობა, პლენუმის დადგენილებით. შესდგება ა. წ. 10 მარტს. თითოეულ 250 წევრზე ყრილობაზე გამოსაგზავნად არჩეულ უნდა იქნეს ერთი დელეგატი.

ამასთან ერთად პლენუმმა მიიღო ყრილობის დღის წესრიგიც.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე კლუბებში მასიური მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა — **აბდულაევმა.**

მომხსენებლის სიტყვით, მასიურ მუშაობას რკინისგზის კლუბებში საგრძნობი გამოცხოველება დაეტყო.

კერძოდ თბილისის უბანზე დაარსდა ახალგაზრდა მაყურებელთა თეატრი, რომელიც ერთად - ერთია მთელს ა.-კავკასიაში. ეს თეატრი თავისი მუშაობით მოზრდილთა მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებს.

ამ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. ზოგიერთი მიმდინარე კითხვების განხილვის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

თათბირი ტყვარჩელის ქვანახშირის შესახებ

გუშინ ს.მ.უ. ს-ში შესდგა ტყვარჩელის კომისიის გაფართოებული თათბირი, რომელზე დასასწრებად ჩამოსული არიან აფხაზეთის და საზოგადოება „იუგოსტალ"-ის წარმომადგენლები.

ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოქსის დამზადების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ინჟ. **გ. ედიბერიძე.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალ. მაკეევკაში მოახდინეს ცდები ტყვარჩელის ნახშირიდან კოქსის დასამზადებლად. გამოირკვა, რომ კოქსის დამზადება შეიძლება, როგორც ტყვარჩელის წმინდა ნახშირიდან, ისე ტყვარჩელისა და დონის ნახშირის ნარევიდანაც. ანალიზებმა დაადასტურეს მიღებული კოქსის საუკეთესო თვისებები.

უკანასკნელი ცდების დროს გამოირკვა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირი იძლევა დონის ნახშირზე მეტ კოქსს.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ინჟ. **კარელინის** მოხსენება ტყვარჩელში რკ. გზის გასაყვანათ ჩატარებულ წინასწარ გამოკვლევითი სამუშაოების შესახებ. რკ. გზა გაყვანილ უნდა იქნეს ოჩამჩირედან ტყვარჩელამდე.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა გამოიტანა დასკვნა, რომ რკ. გზის გაყვანა დაჯდება არა უმეტეს 8 მილ. მან. ხოლო მოძრავი შემადგენლობის შეძენა ერთ-ნახევარი მილიონი მანეთი. ამასთანავე გადაწყდა შესწავლილ იქნეს ნახშირის გადაზიდვის თვითღირებულება, რომ შესაძლო გახდეს რკ. გზის გასაყვან ხარჯების შემცირება.

მუშფაკების გასამხედროება

მიმდინარე წლის 1-ლ თებერვლიდან მუშფაკებში დაიწყება მუშაობა სტუდენტთა გასამხედროების დარგში.

სამხედრო საგნებს ოთხი წლის განმავლობაში დათმობილი აქვს 180 საათი. ამ ხანში განვლილი იქნება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საგნები. ზაფხულობით სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობისათვის გავლენ ბანაკად.

ის სტუდენტები, რომლებიც წარმატებით შეითვისებენ სამხედრო საგნებს, სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღებენ უნცროს მეთაურის წოდებას და განთავისუფლებულ იქნებიან 9 თვიან სამხედრო სამსახურის გავლისაგან.

მუშფაკების გასამხედროებისათვის გამოყენებულ იქნებიან ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის, პოლიტიკურ ინსტიტუტის და სახ. უნივერსიტეტის სამხედრო მუშაკნი.

სამტრედიის აბრეშუმის ქარხნის გაფართოება

11 იანვარს ამუშავდა აბრეშუმის ტრესტის მიერ გაფართოებული სამტრედიის აბრეშუმსახვევი ქარხანა. წინეთ ქარხანა მუშაობდა იტალიიდან შემოტანილი 52 მანქანით, მაგრამ ეხლანდელ მანქანათა ამ რაოდენობით ქარხანა ვერ აუწავებდა სამტრედიის რაიონის აბრეშუმის მოსავალს, ამიტომ საჭირო გახდა მისი გაფართოება.

ქარხნის გაფართოების დროს ტრესტის წინაშე დადგა იტალიიდან ახალი სახვევი მანქანების შემოტანის საკითხი. ამ სიძნელის დასაძლევად ლითონტრესტმა იკისრა მსგავსი მანქანების დამზადება თავის ქარხნებში ლითონტრესტის მიერ დამზადებული მანქანები ამჟამად სრული დატვირთვით მუშაობენ სამტრედიის ქარხანაში და ჯერ-ჯერობით ამ მანქანებს არავითარი დეფექტი არ ეტყობა. სულ ქარხანაში დადგმულია ლითონტრესტის მიერ დამზადებული 48 ახალი მანქანა (აუზი)

ყველა მანქანებზე მუშაობს 460 კაცი. თავის ახალი და ძველი მანქანებით ქარხანას თავისუფლად შეუძლია გადაამუშაოს სამტრედიის რაიონის აბრეშუმის მთელი მოსავალი, ანუ 100.000 კილოგრამი ხმელი პარკი.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„გოფმანის ზღაპრები"

ოპერა „გოფმანის ზღაპრები", რომელიც ა. წ. იანვარს 26 პირველად დაიდგა მიმდინარე სეზონში ჩვენს აკადემიურ ოპერაში, წარმოადგენს კომიკურ ოპერის შემოქმედების ნიმუშს დრამატიულ სფეროში. ამ ოპერაში კომპოზიტორი ოფენბახი, უარჰყოფს რა კომიკურ მიმართულებას მუსიკაში, რომელშიაც მან გამოიჩინა იშვიათი ნიჭი, სცდილობს დაბრუნდეს „სერიოზულ" და „მტკიცე სკოლის" შემოქმედების სფეროში. თუ ამას დავსძენთ, რომ ინსტრუმენტალობა ამ ოპერისა ეკუთვნის საფრანგეთის ცნობილ მუსიკოსს და გამოჩენილ ინსტრუმენტატორს ერნესტ გირო-ს, ცხადია ეს ოპერა, როგორც მუსიკალურ წრეებისათვის, ისე ფართო მასისათვის წარმოადგენს დიდ ექსპერიმენტალურ ინტერესს.

ჩვენი აკადემიური ოპერის მიერ ეს დადგმა განხორციელებულია შესაფერისი მზრუნველობით და სტოვებს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას. მშვენივრადაა დამუშავებული მასიური სცენები, ბალეტი, მიზანსცენები. სცენიურად ოპერა ჩაითვლება ფრიად საინტერესო სანახაობათ. შესაფერის სიმაღლეზე სდგას აგრეთვე ვოკალური აღსრულება. მიუხედავად იმისა, რომ გოფმანის როლი დამუშავებულია ავტორის მიერ უფრო ლირიულ, ვინემ დრამატიულ ტენორის ხმისათვის. **აგრანოვსკიმ** ეს როლი როგორც ვოკალურად, ისე სცენიურად უნაკლოდ და სრული შეგნებით შეასრულა. ჩვენის აზრით ეს როლი ყოვლად საფუძვლიანად ჩაითვლება, როგორც სტილისტურათ მტკიცე მის რეპერტუარში. აგრეთვე საუკეთესოდ აქვს დამუშავებული მესხიაევს როლი გოფმანის ხელშემშლელ ბედის წერისა (ლინდორფი—კოპელიუსი, დაპერტუტო—მირაკლი). ჩვენთვის ყოვლად გაუგებარია, თუ რად გამოსტოვა მსახიობმა მეორე მოქმედებაში ფრიად მუსიკალური და საინტერესო არია დაპერტუტოსი „ბრილიანტებზე". სცენიურად თავისი როლი მესხიაევს აქვს დაწვრილებით და ფრიად მხატვრულად დამუშავებული ისე, რომ ძალაუნებურად იტაცებს მაყურებლის მთელ ყურადღებას. ძალიან კარგია მსახიობი **ვოლჩანეცკაია** (ნიკლაუსი), ფრიად თავისუფლად სძლევს იგი თავის როლის ვოკალურ მხარეს, და მის მიერ ამ როლის ყველა დეტალების დიდი ყურადღებით დამუშავება ცოცხალი ინიციატივა, მშვენიერი ირონიული ელფერი—ყველა ეს ამ ტიპების განვითარებისაკენ მიმართულს მის ფრიად სერიოზულ მუშაობას. ნაკლებ ყურადღებას ახდენს **ბლანკმანი, ტიკინას (ოლიმპიას)** როლში, ჯერ იმიტომ, რომ ამ როლის შესასრულებლად აუცილებელია ნამდვილი კოლორატურული ტეხნიკები, რომელიც ბლანკმანის ხმას არა აქვს, და ცხადია. რომ ბლანკმანი იძულებული იყო ეს როლი შეესრულებინა მხოლოდ იმიტომ, რომ საოპერო დასში ნამდვილ კოლორატურულ სოპრანო არ მოიპოვება. ბლანკმანი საერთოთ ძალიან დიდი მუსიკალობის პატრონია. ამიტომ ოლიმპიას როლი იყო მის მიერ შესრულებული სწორედ, მაგრამ საჭირო მოძრაობას ხმისა და პოზათა სისუფთავეს ადგილი არ ჰქონია. სრული კმაყოფილებით აღვნიშნავთ აგრეთვე მარკოვას ანტონიას როლის ვოკალურ მხარეს ტეხნიკურ აღსრულებას მაგრამ პოეტური სურათი ოცნებებით გატაცებულ ანტონიასი მსახიობმა ვერც სცენიურად, ვერც ხმის ინტონაციის საშუალებით ვერ განახორციელა. რაც შეეხება **გილბერტის** მიერ ჯულიეტას როლის შესრულებას. უნდა აღინიშნოთ, რომ მან გვიჩვენა მშვენიერი ხმა, მაგრამ სცენიურად როლი მომზადებული არ იყო. ახალგაზრდა მომღერალმა ვერ შექმნა შთაბეჭდილება მომხიბლავ კურტიზანკისა. მომღერალმა უნდა მიაქციოს ყურადღება ინტონაციის უსწორობაზე თავისი ხმის დიაპაზონის მაღალ ფარდებში.

ოპერას კარგად ლოტბარობდა ა. მელიქფაშაევი; არ შეიძლება მხოლოდ დავეთანხმოთ იმ რითმიულ გაჭიანურებას, რომელსა ადგილი ჰქონდა მეორე მოქმედების პირველ ნახევარში.

ავტორის მიერ გათვალისწინებულ სანტიმენტალობის ამ ადგილში უაღრესი გაღრმავება, ღალავს მაყურებელთა ყურთასმენას და აქარწყლებს შთაბეჭდილებას.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმის იუბილე** 2 მარტისათვის გადაიდო.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში,** დღეს საღ. 7 საათზე **ვ. ხუროძე** წაიკითხავს მოხსენებას: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება".

◆ **ო. ბარათაშვილის გამოსვლა.** 1 თებერვალს ოპერის თეატრში ო. ბარათაშვილის სადებიუტოთ, წარმოდგენილი იქნება „ჯამბაზები".

◆ **„რაც გინახავს ველარ ნახავ".** მუშათა თეატრის ქართული სექტორი დღეს დადგამს: „რაც გინახავს ველარ ნახავ".

დისპუტი მხატვრობაზე

კვირას, 29 იანვარს, დღის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის შენობაში მხატვარი დავით კაკაბაძე გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მხატვრობაზე.

მოხსენების გარშემო გაიმართება დისპუტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სამხატვრო აკადემიის პროფესორები, სტუდენტები და დაინტერესებული კერძო პირები.

შესვლა თავისუფალია.

ქრონიკა

51.725.000 მანეთი სას.-სამეურნეო ნედლეულის დამზადებისათვის

ა.-კ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა 1927-28 წლისათვის; გეგმით სულ ნავარაუდევია 51.725.000 მანეთის პროდუქტების დამზადება

სამეურნეო-ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირება

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ინსპექცია შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რამდენათ არის შესრულებული 1927-28 წლის პირველ კვარტალში სადირექტივო ორგანოების დადგენილება სამეურნეო ადმინისტრატიულ ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ. სამეურნეო ორგანიზაციებს წინადადება მიეცა 1 თებერვლისათვის წარადგინონ ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატში საჭირო მასალები.

თბილისის მაზრის გლეხკომები

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გლეხკომებს გადასცეს მაზრაში არსებული წისქვილები და ამავე დროს ყოველგვარად ხელი შეუწყოს გლეხკომების მუშაობის გაძლიერებას. პრეზიდიუმის დადგენილებით, გლეხკომებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში ჩაბმული იქნებიან აღმასკომის ინსტრუქტორები. ამას გარდა პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქ. ცაკის წინაშე, რათა უპატრონო და ბეითალმანი და აგრეთვე სასამართლოს წესით ჩამორთმეული ქონება გადაეცეს გლეხკომებს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა გლეხკომებს, გააძლიერონ კულტურული მუშაობა გლეხებს შორის და ხელი შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების დაარსებას.

თბ. სამაზრო გლეხკომს დაევალა ქალაქში არსებულ ბაღებში გააცხოველოს კულტურული მუშაობა ჩამოსულ გლეხებს შორის. პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა თბილისში გახსნას თბილისის მაზრის გლეხთა სახლი.

მანქანების შეძენა

„ზაკვოდტორგმა" ა.-კ. წყალთა მეურნეობისათვის ამერიკიდან გამოიწერა წყალზე მომუშავე საბურღიდაზგა.

მანქანა მიღებული იქნება ახლო მომავალში.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახურული ბაზარი.** კომუნალური მეურნეობა შეუდგა მაღაკნის ქუჩაზე დახურული ბაზრის მოწყობას.

◆ **პოლიტგანათლების საქმეზე** წელს აღმასკომი დახარჯავს 249.911 მანეთს.

◆ **ახალი სამკურნალო დაწესებულების** მოსაწყობათ ჯანმრთ. განყოფილებას გადაეცა 160 ათასი მანეთი.

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლის** გასაძლიერებლად აღმასკომმა გადასდო 40.000 მანეთი.

◆ **საბავშვო სახლი.** განათლების განყოფილებას დაევალა წელს სავსებით აღადგინოს ალბულაღში დამწვარი საბავშვო სახლი.

კრებები და მოხსენებები

◆ **მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ** საზოგადოებაში. 29 იანვარს, საღამოს 5 საათზე. საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების გამგეობის წევრის მალიჩევის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ებრაელთა დასახლება მიწაზე და მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების ამოცანები".

სხვადასხვა

◆ **ლომბარდი.** ქ. ბათომში ახლო ხანში გაიხსნება ლომბარდი.

◆ **ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის** სასწავლო ნაწილის პრორექტორად დაინიშნა ამხ. ხაჭაპურიძე.

◆ **„რაჭის ვაჭრობა".** ონში დაარსდა სააქციო საზ-ბა „რაჭის ვაჭრობა".

◆ **ბზის ხის გატანა.** სატყეო ტრესტი წელს საზღვარ გარეთ გაიტანს 154 ათასი მანეთის ბზის ხეს.

◆ **სას.-სამ. სკოლის ახალი შენობა.** საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე ქალ. ზესტაფონში საძირკველი ჩაეყრება სასოფლო სამეურნეო სკოლის ახალ დიდ შენობას. სკოლის შენობის ასაგებათ შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაარსა საამშენებლო კომიტეტი.

◆ **დაჯარიმება.** სავაჭრო რეესტრში შესატან ცნობების დანიშნულ ვადაზე არ წარდგენის გამო ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაჯარიმებულია 100 მანეთით სააქციო საზ. „ტყავნედლის" რწმუნებული.

ჩაუბარებელი დეპეშები

ნოსირიდან—სალუქვაძეს, ოზურგეთიდან—პოჩიაძეს, როსტოვიდან—„ტეხნოობლუვ"-ს, ბათომიდან—ვასილიევს, ოდესიდან—მანაშეროვს.

სასამართლო

აქა ამბავი ერთი ოქროს საათისა და სამი გამგის შესახებ

მეტად საბედისწერო გახდა ერთი ძველის-ძველი ოქროს საათი.

თავისთავად ოქროს საათი, როგორც საბრალმდებლო დასკვნა ლაპარაკობს, არ წარმოადგენდა დიდ ღირებულებას, მაგრამ ძალიან ძვირფასი გახდა ის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის.

დავიწყოთ ამბავი თავიდან.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში არსებულ სათამაშო დაწესებულებათა განყოფილების სამნეო ნაწილის გამგეს **გრიგოლ სიხარულიძეს** ძალიან აწუხებდა ის გარემოება, რომ მის ოქროს საათს, რომელიც ერთ დროს ყველას თვალს სჭრიდა, „სიბერემ მიუსწრო" და ძველებურად აღარ ბრჭყიალებდა, ერთი სიტყვით, საათი არც ოქროთ ვარგოდა და არც სამუშაოდ. მზე უფრო სწორად აჩვენებდა დროს, ვინემ მისი საათი.

ამან დააფიქრა სიხარულიძე და მიიყვანა ერთ დასკვნამდე და შემდეგ საბრალმდებლო სკამამდე.

თავისი საათის გასასაღებელ პუნქტად სიხარულიძემ აირჩია სანახევროდ მისდამი დაქვემდებარებული ლოტო № 3 („არტო"-ში), რომლის გამგე იყო **პეტრე ცოტაძე.**

— კაცო, ერთფერი ხლაფორთი აგვიტყდა. თორემ მე რა მენაღვლება, გავათამაშებ, მე რას ვკარგავ,—ეუბნება ცოტაძე სიხარულიძეს, რომელიც დაჟინებით სთხოვს მისი საათის გათამაშებას.

— შენ რას დაეძებ, მე ვარ პასუხისმგებელი, საქმეს ისე „მოვაკვარახჭინებ", რომ ეშმაკმა ვერ გაუგოს თავი და ბოლო, მხოლოდ ას მანეთზე ნაკლებ ვერ გავათამაშებ. ხომ იცი, რაც არ უნდა იყოს ოქროს საათია.

— კი, მაგრამ ძალიან ძველია და გახეხილი ყველა უარს იტყვის კარტის ყიდვაზე.

— მე წარმოვადგენ ოფიციალურ ნაყიდობის ანგარიშს. ერთი სიტყვით, შენ დარდი ნუ გაქვს.

— მე ეშინობ, რომ კლუბების გამგე გაიგებს და შავს დღეს დაგვაყენებს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ის ჩემი კარგი მეგობარია კრინტსაც არ დასძრავს.

ასე მოამზადა ნიადაგი სიხარულიძემ თავისი ოქროს საათის გასათამაშებლად.

ეხლა საინტერესოა, როგორი „ოფიციალური" საბუთი წარმოადგინა სიხარულიძემ საათის ღირებულების შესახებ.

ოდესღაც რომელიღაც მაღაზიაში სიხარულიძეს უყიდია საათის ძეწკვი 18 მანეთად. ძეწკვის ანგარიშიც თან ჰქონია შენახული. ანგარიშში 18 მანეთს წინ წიუწერა „1", თანაც მიაწერა „სტო" და ასე გამოვიდა საათის ღირებულება 118 მანეთი.

ლოტოში დიდძალი ხალხია. იყიდება [illegible] კარტები, სანამ ნაღდ ფულზეა თამაში. გამოცხადდა ოქროს საათის გათამაშება. ჩამოატარეს საათი.

— ნაყიდია 118 მანეთად, შეფასებულია ას მანეთად, ისარგებლეთ შემთხვევით, სცადეთ ბედი,—ჰყვირის „ყარყუში".

— ვაჰ! ბრელა, ვინ შეაფასა ეს ას მანეთად? არ გვინდა! ვინაც შეაფასა, მას მიართვით,— ისმის ხალხში უკმაყოფილების ხმები. გაიფიცა მოთამაშეების უმრავლესობა. არის ფსტვენა, ისმის „რეპლიკები"...

ძვად იყო თუ კარგად გათამაშება ჩატარდა. სიხარულიძემ მიიღო თავის საათის ფასად 58 მანეთზე მეტი, მაშინ, როცა საათი ოც მანეთზე მეტი არ ღირდა.

„უკმაყოფილო ელემენტებმა" ლოტოდან გამოაშკარავეს საათის ნაყიდობის სიყალბე. ასე „მოკვარახჭინებული" საქმე სიხარულიძეს ჩაუფლავდა.

ორივე გამგე დააპატიმრეს.

საქმის გარჩევას შეუდგა თბილისის სამაზრო სასამართლო.

სასამართლო ძიებაზე მოწმეების ჩვენებამ ცხადჰყო, რომ კლუბების გამგე მოქ. **მიხ. პაიჭაძეც** ესწრებოდა ამ საბედისწერო საათის გათამაშებას. ხედავდა ხალხში უკმაყოფილებას, ესმოდა ჩოჩქოლი, რაც ჩხუბამდე კინაღამ მივიდა, მაგრამ არ მიუღია არავითარი ზომები.

სასამართლომ დაადგინა პასუხისგებაში იქნეს მიცემული კლუბების გამგე **პაიჭაძეც.**

საქმე დამატებით გამოსაძიებლად გადაეცა გამომძიებელს.

შემთხვევები

ტრამვაის დაჯახება

გუშინ პლეხანოვის პროსპექტზე კინო „პალას"-ის პირდაპირ ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ივანე დათუნაშვილს და მსუბუქად დაშავა.

ვატმანი ბრესნიჩევი დაპატიმრებულია.

მოკვლის განზრახვა

გუშინწინ, ღამით რესტორან „ახალ სიცოცხლეში" გაბრიელ ვართანის ძე ხაჩმანუკიანცი მოკვლის მიზნით დანით თავს დაესხა არამ არტემის ძე ყორიევს.

ყორიევი უვნებლად გადარჩა.

ხაჩმანუკიანცი დაპატიმრებულია

კოოპერატივის გაქურდვა

გუშინწინ, ღამით მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მუშკოოპის პურის საცხობი (კალინინის და საბჭოს ქუჩის კუთხე): წაიღეს 13 მანეთი.

ქურდობა

გუშინწინ, დღისით გაქურდეს დიმიტრი კოლოუბნის ბინა (ანჩისხატის შესახ. № 1); წაიღეს 221 მანეთის ნივთები.

ჯიბგირობა

გუშინ, დღისით მოქ. ივანე სოსინს თავისუფლების მოედანზე ვილაც ბოროტმოქმედმა ჯიბიდან ამოაცალა 240 მანეთი. ამ საქმეზე შეიპყრეს ნიკოლოზ ვასილის ძე გურბანკოვი.

გამოტყუება

გუშინ, დღისით აღდამიდან ჩამოსულ გლეხს ამიდ შამან-ოღლის ვილაც უცნობმა პირმა გუსეინ აბიტის ფეტა-ოღლის დახმარებით გამოსტყუა ორი ფარდაგი.

გუსეინ ფეტა-ოღლი მილიციამ დააპატიმრა.

მკვლელობა

26 იანვარს, სოფ. არტაანში (თიანეთის სამილიციო რაიონი) ბეჟანი ლევანის ძე სამუკაშვილმა სიმთვრალის დროს ხანჯლით მოჰკლა ფრუშკა გამახარის ძე გამახარეშვილი.

მკვლელი შეიპყრეს.

გუშინ, თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა. რომ ვილაც ბოროტმოქმედს თავის ბინაზე მოუკლავს მიხა რიგიშვილი (მცხ. სოფ. ახალსოფელში, თიანეთის სამილიციო რაიონი).

მიღებულია ზომები მკვლელის დასაპატიმრებლად.

დაჭრა

გუშინწინ, დღისით სოფ. ტუშურებში (თბილისის მაზრა) ილია მგელიაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა მოქ. სანდრო ბეჟანიშვილი.

მგელიაშვილი დააპატიმრეს.

მალაკანთა ქუჩაზე მომხდარ კატასტროფის გარშემო

კატასტროფის მიზეზი
(კომისიის დასკვნა)

მალაკანთა ქუჩაზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამომრკვევმა სპეციალისტთა კომისიამ გუშინ დაასრულა მუშაობა.

გამოირკვა, რომ ვაგონის მუხრუჭი დაზიანებული არ ყოფილა. მუხრუჭის ასამოძრავებელი სამი სახე: ელექტრონული, მექანიკური და სასაჭე ნორმალურ მდგომარეობაში იყო. ელექტრონული მუხრუჭისათვის ასამოძრავებელი ელექტრო-დენი საკმარისი აღმოჩნდა.

დადასტურებულია, რომ ვატმან მესხს ვაგონი დიდი სისწრაფით მიჰყავდა, რის გამო არ მოხერხდა ვაგონის შეჩერება.

ადგილობრივი ტრანსპორტის ა.-კ. სამმართველოს წარმომადგენელმა ინჟ. **ვალიანსკიმ** გუშინ შეამოწმა დაზიანებული ავტომობილი, რომლის მუხრუჭი და საჭე დაზიანებული არ ყოფილა.

ექსპერტების დასკვნით, ვაგონის და ავტომობილის ტეხნიკური მდგომარეობასა და გზის პირობებს არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

კატასტროფის ადგილზე

დადასტურდა, რომ კატასტროფა გამოიწვია ვატმანის და შოფერის დაუდევრობამ.

დაშავებულთა მდგომარეობა

კატასტროფის დროს დაშავებულნი: ბარსეგ ჯამშიევი და არჩილ კადიკაშვილი გუშინ გამოეწერენ საავადმყოფოდან. ალექსანდრე ჯაბაევის და სერგო კოდიევის მდგომარეობა უმჯობესდება.

ბრძოლა კატასტროფებთან

ავტომობილებისა და ტრამვაის კატასტროფების წინააღმდეგ ღონისძიებების გამოსამუშავებლად თბილისში დაარსდა სპეციალური კომისია.

გუშინ აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში ამხ. **ხვალიძის** თავმჯდომარეობით შესდგა ამ კომისიის სხდომა.

კატასტროფის თავიდან ასაცილებლად კომისიამ გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ შრომის სკოლების ხელმძღვანელებმა მოწაფეთა შორის ჩაატარონ სათანადო კამპანია და მოსწავლეებს განუმარტონ მოძრაობის წესების დაცვის საჭიროება.

გარაჟების დათვალიერება

დღეს სპეციალური კომისია შეუდგება გარაჟების დათვალიერებას და ადგილზე გაეცნობა შოფერთა მუშაობის პირობებს.

რკინისგზეზე

საცდელი მატარებელი

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოში მიღებულ ცნობით, საცდელი მატარებელი წონით 9000ს ფუთი უკვე ჩავიდა ძირულაში. თბილისიდან—ძირულამდე სწარმოებდა ცდები. მატარებელი მთელ მანძილზე დაწესებული სისწრაფით მიდიოდა.

ძირულიდან მატარებლის წასვლის დროს ადგილი ქონდა უმნიშვნელო შემთხვევას. შემადგენლობის ადგილიდან დაძვრისას მე-29 ცისტერნას—ბოლოში მოტყდა გადასაბმელი კავი, რაც იქვე შეაკეთეს და მატარებელი წავიდა ქვევით, მხოლოდ 25 წუთის დაგვიანებით.

უეცარი სიკვდილი

25 იანვარს სადგ. შაქარლიში უეცრად გარდაიცვალა მატარებლის რევიზორი—სოლომონიშვილი.

სოლომონიშვილი გარდაიცვალა საბარგო ვაგონის ბაქანზე, მოვალეობის აღსრულების დროს.

იურიდიული დახმარებისათვის

რკინისგზელებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშიროს საგზაო კომიტეტმა ბათომის, სამტრედიის, ხაშურის და განჯის უბნებზე სამსახურში მიიწვია იურისტები.

ავიაქიმში

ავიაქიმის კურსები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მოწყობილი იქნა ავია-ქიმიურ რაზმების უფროსთა კურსები. კურსებზე მეცადინეობა გრძელდებოდა სამი თვე. ამ დღეებში შესდგა მსმენელების გამოშვება. კურს დამთავრებულნი დაინიშნებიან ავია-ქიმიურ რაზმების უფროსებათ თბილისში და პროვინციაში.

სტუდენტები და ავიაქიმი

თავდაცვა-ავიაქიმმა დაუგზავნა მიწერილობა ადგილებს სტუდენტების გამოყენების შესახებ ავია-ქიმის მუშაობაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ იქნება მოხსენებები იმაზე, თუ რა მუშაობა უნდა აწარმოონ სტუდენტებმა შვებულების დროს ავიაქიმის ხაზით.

დავალებების მიცემის დროს, სტუდენტები არ უნდა იქნენ დატვირთულნი მუშაობით, რომ ამან ხელი არ შეუშალოს მათ დასვენებას.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

წითელი არმიის ათი წლის თავზე თავდაცვა-ავიაქიმის მიერ გახსნილი იქნება მოსკოვში გაზების საწინააღმდეგო ინსტიტუტი, რომელიც აგებულია ფონდიდან: „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

რადიო-გადაცემა

შაბათი, 28 იანვარი.

დღეს, 28 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე.

მოხსენება: წვრილი კულტურების განვითარების მნიშვნელობა—ქართულ ენაზე.

რა სთქვა მე-15 პარტყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ—ქართულ ენაზე.

წითელი არმია სამოქალაქო ომის ფრონტზე: ომი პოლონეთთან—რუსულ ენაზე.

ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის—რუსულ ენაზე.

გაზეთი „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის ბაზრის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში—სომხურ და თურქულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

რადიო-გადაცემის ერთი კვირის პროგრამის გადაცემა.

რადიო-სტუდია გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკის ქ. № 8.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტ. ს. უ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა. გარდა ბიუროს წევრებისა სხდომაზე საჭიროა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: კაჭარავა ლეონტი, წულაია სტეფანე, ცხადაძე ნიკოლოზ დარახველიძე ტიმოთე; ბუბუტეიშვილი ვარლამი; გელაშვილი დანიელ, კობერიძე შალვა და მიქელაძე აკაკი.

სხდომა შესდგება პროფკომის ოთახში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საკონტროლო კომისიაში 28 იანვარს, დილის 10 საათზე, ამხ. ფირცხალავასთან (ოთახი № 13).

არაქელ ოქუაშვილი, პროკოფი ვირდელაძე, იოსებ ფხაკაძე, მიხეილ მაჩარაშვილი, დომენტი ნაჭყებია, იოსებ თავაძე; საბა ქართველიშვილი, ივანე შურდალიშვილი, ანდრო დონდუა; გრიგოლ კობიძე, ქ. უჯმაჯურიძე, ალექსანდრე ჩიგოგიძე და დიმიტრი ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება. რომ **დღეს, 28 იანვარს, საღამოს 5 ნახ. საათზე შესდგება არსრაიონის** ძველ დელეგატ-ქალთა კრება.

ყველა ძველ დელეგატ-ქალთა დასწრება აუცილებელია.

კვირას. 29 იანვარს. საღამოს 5 საათზე **ამ.-კავკასიის ბესარაბიელთა საზოგადოება** იწვევს თავის წევრთა საერთო კრებას რემედასისა და თავდაცვა-ავიაქიმის წევრებთან ერთად.

კრება მოწვეულია პლეხანოვის სახ. კლუბში (ნაძალადევი) და მუშათა ცენტრ. კლუბში (პლეხანოვის პროსპ.), სადაც გაკეთებულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: — ბესარაბიის ოკუპაციის ათი წლის თავი.

კვირას. 29 იანვარს. დილის 10 ნახ. საათზე ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპ-მუშაკის ცენტრ. კაბინეტში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება სვერდლოვის სახელობის კომ-უნივერსიტეტში გამოყოფილ ამხანაგების თათბირი.

თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგ ამხანაგები:

დ. ფანცულაია, ვ. მზარეულაშვილი, ლ. მორჩილაძე, ლ. გეგეშიძე, მიხაილოვი; ქოჩოლაშვილი, ბურეში; ბოგდანოვი, ხაჩიკიანი, პირიაშვილი, ბუჯიაშვილი; აფ. რუხაძე, მლებრიშვილი, ვოლკოვი, ალიხანოვი და გორდელაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ა. ზახარჩენკოს და მარიამ ჯანჯღავას გამოცხადდენ საქ კ. პ. (ბ) საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24. მესამე სართული, ოთახი № 12).

საზ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ბენია კვირიკაძეს, კირილე ჯანაშვილს, და ამ. ქობულოვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ახ. ლ. კ. კ. ცკას საკონფლიქტო კომისიაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ თბილ. კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 11):

სერგო ივანეს ძე ამაღლობელი (ამ.-კავ. კომ-უნივერსიტეტის ლექტორი), იაკობ მათეს ძე კრიჩუნი, ვასილ ანტონის ძე ველიკოვოდნი, თედორე ივანეს ძე მატარიცკი, პავლე ივანეს ძე შკინინი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე აგრისაკოვი, ნიკოლოზ ვასილის ძე ფლოდოროვი. გიორგი ივანეს ძე კუზნეცოვი, მიხეილ გრიგოლის ძე ჩერვაშენკო, ალექსანდრე მაქსიმეს ძე ტოლმაჩევი, სერგო მიხეილის ძე ზალეგასოვი, ივანე ივანეს ძე ფილატოვი, კონსტანტინე ანიკის ძე სტეპანცოვი, ილია დანიელის ძე ჩერდაკოვი, დიმიტრი ცურკოვის ძე ხერსონსკი, დიმიტრი მიხ. პოხოლკოვი, თედორე სტეფანეს ძე ბარტაევი, ვასილი იაკობის ძე ბოჩაროვი, კასიანე სტეფანეს ძე კოლესნიკოვი, ივანე მოსეს ძე გნიდიუკი, სერგო იაგორის ძე ძოხნაჩევი, ვლადიმერ ისიდორეს ძე ვასიუკი, სერგო ნიკიტის ძე ხოდკოვი, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ზოლოტუხინი, პეტრე ნიკიტის ძე პოლოვოი, დიმიტრი ივანეს ძე ლინევი, სიმონ ივანეს ძე ლეტუჩი, პავლე გრიგორის ძე მიროშნიკოვი; პეტრე სიმონის ძე სერგეევი, კალისტრატე ივანეს ძე იუსტინოვი, ნიკოლოზ ტიხონის ძე საროკინი, ივანე სტეფანეს ძე ლაპტიევი, პავლე ნიკოლოზის ძე კრილოვი, ალექსანდრე თედორეს ძე ვოლკოვი, ივანე ვასილის ძე ლაზუტკინი, გრიგოლ ზაქარიას ძე კარაპეტიანი, ტიმოთე სტეფანეს ძე ბერეზინი. ბორის არტემის ძე მაქსიმოვი. ვასილ ანდრიას ძე ივანსკი, ივანე იაგორის ძე სკოროვი. თედორე მარკოზის ძე პუზანოვი მიხეილ ივანეს ძე მიხაილოვი, გიორგი ივანეს ძე კოშოვი, ივანე ანდრიას ძე ნოვიკოვი, თედორე პავლეს ძე ოსიპოვი. მიხეილ ემელიანეს ძე სელეზნევი მიხეილ ილარიონის ძე კრასნოშეკოვი, გიორგი ათანასის ძე ანდრიევსკი. სტეფანე მიხეილის ძე კოსენკო, ალექსი ნიკოლოზის ძე ხლიაბოვი. ვასილ სტეფანეს ძე ვასილიევი, თედორე ივანეს ძე კუზმინი, არსენ პავლეს ძე ტორშინი, პეტრე მიხეილის ძე სტრელცევი, პავლე ივანეს ძე საპუნოვი, ალექსანდრე ისიდორეს ძე შუგაევი, სტეფანე ივანეს ძე პონომარევი, ივანე ივანეს ძე ხვოსტენკო, ალექსანდრე ფილიპეს ძე შერსტიუკოვი და კუზმა ივანეს ძე იურჩენკო.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, შაბათს 28 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: გიორგი ლომინაძე, აკოფ სომუჯიანცი, იოსებ შიუკაშვილი, ლევან ქუბაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მათე ხუხუნაიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ივანე დათუნაიშვილი, დავით კორინთელი, რაჟდენ გოგოხია, ავაქ ავაქოვი, პავლე ბასიშვილი, თომას ოგანეზოვი, არუთინ არუთინოვი.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მიღებულია დამატებითი მოთხოვნილება საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საშუამავლო ბიუროდან მედპერსონალზე. ამიტომ სხვა ქალაქებში გამგზავრების მსურველი უნდა გამოცხადდეს თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. **გოგეშვილთან.** აგრეთვე მიღებულია მოთხოვნილება მცხეთის საბავშო ახალშენიდან, სადაც საჭიროა ერთი ექიმის თანაშემწე ქალი, ქართული ენის მცოდნე, ჯამაგირი—37 მან. 50 კ. (ბინა; განათება-გათბობით).

თბ. შრომის ბირჟის კომიტეტმა დავალებათა კოლექტივს დახმარების სახით მისცა ხუთასი მანეთი (500 მან.). იმავე კომიტეტმა საჭიროდ სცნო სთხოვოს ს.ს.მ.უ.ს. წარმოება-დაწესებულებებს, რათა ყოველგვარი საექსპედიციო სამუშაოები გადაეცეს შრომის ბირჟის დავალებათა კოლექტივს შესასრულებლად.

გულდათუთქული მეუღლე ტერეზია ქალიშვილით გოგუცათი, სიდედრი ელისაბედ, სიმამრი ესე, ცოლის ძმები თეოფილე, ერმილე და ალფეი ბურჭულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა | წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან საბჭოთა (ყ. ჩერქეზოვის) ქ. № 22 დღის 12 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე.

ნ. 531 4—4

დედა ოლინკა, დობია და ლიდა, სიძეები—ივანე სიხარულიძე და ესტატე ოკუჯავა, რძლები—მარიამ, თამარა და ქენია თავიანთ შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა. წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დღის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე.

ნ. 531 4—4

ძმები ანდრო, თედორე და ვალოდია დოლიძეები აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა | წ. 24 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძმა, ძველი ბოლშევიკი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა ა | წ. 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან—საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დღის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე.

ნ. 531 4—4

გრიგოლ მგალობლიშვილი, კოლია ბარამიძე. ოწია გურგენიძე, ერასტო ჩიგოგიძე, სანდრო ორაგველიძე, ვასო რონინიშვილი, პროკოფი ქლენტი, ალექსანდრე მგელაძე, გერმანე ჯიბლაძე, ნეოფიტე ქეიშვილი, ციხაკო მკურნალი. მიტო სიმულიძე, ლავრენტი სოსელია, კირილე გოგუაძე, დათიკო ნიკოლაიშვილი, ხრისტეფორე ვასაძე, გრიშა ქლენტი, ბესარიონ რუსიძე, ივანე გაგუა, პიმენ თალაკვაძე, აპოლონ იმნაიშვილი, ნატაშა ჯიბუტი, ხარიტონ შინჯარაძე. ფილიპე მგალობლიშვილი და აფრასიონ ჯიბუტი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ძველი ბოლშევიკის და კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლის, საყვარელი ამხანაგის

სოლომონ გიგოს ძე დოლიძის

დაკარგვის გამო.

ნ. 546

მეუღლე ნიკოლოზ ანტონისძე საბაევი და შვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 29 იანვარს დილის 11 საათზე რომის კათოლიკეთა ეკლესიაში, ნიკოლოზის ქუჩ № 55, გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალების წლის თავზე დაუვიწყარ

ფეფრონე იოსების ასული საბაევისა

იმავე დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ბათომში 1220

კვირას, 29 იანვარს, $12\frac{1}{2}$ ს. წმ. ნინოს სასაფლაოზე გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მე-4 შრომის სკოლის მე-9 ჯგუფის მოწაფის

ვახტანგ დავითის ძე გრატიაშვილის

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს მამა დავითი, ძმები ნიკოლოზი და ირაკლი, დები; თამარა და ნინა, დიდედა მარიამ გუნდიევისა ბიძა იასონი, ბიცოლა მართა, ბიძაშვილები: ალექსანდრე, ვასილი და ანნა, რძლები ოლღა და ქეთო გრატიაშვილები. 1217

მწუხარებაში მყოფი: მეუღლე სირმა, შვილი ალფესი და რძალი ილენე ხელაძეები, ქალიშვილები ივდითი და ათინო თავისი ქმრით პლატონ კვიჟიძე და შვილებით, შვილის შვილები დათიკო ხელაძე და თამარა ფრანგულაშვილისა მეუღლითურთ და მაზლები იოსებ და ფილიპე ხელაძეები ოჯახობით აუწყებენ საზოგადოებასა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 24 იანვარს ქ. ბათომში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მზა ივანეს ასული ხელაძისა

რომლის გამოსვენება ქ. ბათომიდან სადგურ ლანჩხუთში და შემდეგ სოფ. მამათში (გურია) მოხდება კვირას 29 იანვარს. ნ. 545

თბილისის მუშკოოპის გამგეობა და მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ფართო კოოპერატიულ მუშაკთა საზოგადოებას, რომ ა | წ 22 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობით გარდაიცვალა ჩ | თანამშრომელი და აგრეთვე მუშკოოპის ადგილკომის სარევიზიო კომისიის აქტიური წევრი

ამხ. სოფიო იაგორის ასული გარხუდაროვა

რომლის დაკრძალვის დღით დანიშნულია ა | წ. 29 იანვარი, დღისით 1-ლ საათზე გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან, აკოპჯანიანის ქ ჩა № 2. (ხოჯივანქის სასაფლაოზე) 1221

გულდათუთქული მეუღლე ელისაბედი სილოვანის ასული, შვილებით და შვილიშვილებით, ძმები სერაფიონი და სარდიონი ოჯახობით, ძმის შვილები ილა იმერი და ნინა თავის დედით, სიძე სევერიანი მუჯირი და რძალი მაშიკო ცაგარეიშვილისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ

გერასიმე მათეს ძე ცაგარეიშვილის

გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საფიჩხიის სასაფლაოზე ქ. ქუთაისში შუადღისას 12 საათზე 29 იანვარს კვირას. 1233

ღრმად დამწუხრებულნი იოსები (სოსო) დავითი ძე, მართა გიორგის ასული, მარო დავითის ასული კოქლამაზაშვილები აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ იანვრის 25-ს ღამის 11 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე—მეგობარი, დანარჩენთათვის ყოველთვის დაუვიწყარი რძალი

თამარ კონსტანტინე გამრეკელის ასული

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 იანვარს, ნაშუადღევის $3\frac{1}{2}$ საათზე ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, გრიბოედოვის ქუჩა № 24 1225

კვირას, 29 იანვარს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ქალაქ ქუთაისში (საფიჩხიის სასაფლაო) გადახდილ იქნება პანაშვიდი

ავლოთი მეძმარიაშვილის

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს პეტრე ლუარსაბის-ძე მეძმარიაშვილი, მელანია გველესიანისა შვილებით, ანა ქავთარაძისა ვაჟით და ელისაბედ გეგეჭკორისა მეუღლით. 1222

პატარა ობლები ნინა და ქეთო ციციშვილები. გაუბედურებული დედა კესარია ტატიშვილისა, დამწუხრებული [illegible] მართლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 29 იანვარს, პირველ საათზე გადახდილი იქნება [illegible] წლის პანაშვიდი პირველთა ტკბილ დედიკოსი, მეორეს გამამწარებელი შვილის და [illegible] დაუვიწყარ საყვარელი დის

სოფიო იოსების ასული (პუპუნა) ციციშვილის

ვერის ახალ სასაფლაოზე. 1234

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს კოლეგია ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებიან, რომ ა | წ. 25 იანვარს ღამის 11 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამმართველოს თანამშრომელი და თანამშრომელთა საუკეთესო მეგობარი

თამარ კონსტანტინეს ასული გავრილოვა-ჭიამაზაშვილისა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 იანვარს. ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან გრიბოედოვის ქუჩა № 24

გულდათუთქული შვილები: ელენე ფრანგის ასული ბეთანელი-ჩიკაშვილისა, პეტრე ბეთანელი, ნინა, ვახტანგი, ქეთო და თამარა ჩიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 29 იანვარს დღის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი, პირველის დედის და ქმრის, მეორეს დედის და სიძის, დანარჩენის დიდედის და მამის

მარიამ ივანეს ასული ბეთანელისა

და

გიორგი ონისიმეს ძე ჩიკაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად (შ)

ღრმად დამწუხრებულნი და თამარა ბეთანელი-ცინცაძისა, სიძე რაჟდენ ცინცაძე, ნათესავები: პანტელეიმონ ცინცაძე მეუღლით ქეთოთი. სონია ცინცაძე, ანია ცინცაძე-მესხისა და ნიკა მესხი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 29 იანვარს დღის 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

კოლია იოსების ძე ბეთანელის

(შ)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე (კოტია) ქიქინაძე. მაზლები: ევგენი და თეოფილე ქიქინაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 29 იანვარს, დღის 12 საათზე, წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი უძვირფასეს და დაუვიწყარ

ანიჩკა (ანიჩო) რაჟდენ მოგრონიძის ასული ქიქინაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. 1219

ღრმად დამწუხრებული ქმარი იასონ სამარაგდონის-ძე ტატიშვილი და შვილები სანდრო, დავითი, იაკოფი და ნიკა იასონის-ძე ტატიშვილები, რძლები ვერა, მარიამი, ნინა და თამარა ტატიშვილებისა და აგრეთვე მეზობლები გიორგი ქებაძე, მიხეილ ზენუკი და ოლღა დიდლაშერიძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საუკეთესო და გულკეთილი მოხუცი

ელისაბედ სტეფანეს ასული (ოგანეზოვისა) ტატიშვილისა

გამოსვენება საკუთარი ბინიდან, ტემრუკის ქ. № 14. დაკრძალვა კვირას, 29 იანვარს, 3 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1226

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

ი. ჭავჭანიძე—ბიოლოგია. სახელმძღვანელო მეორე საფეხურის სკოლებისათვის. გვ. 436, ფასი—2 მან. 60 კაპ.

გ. ეხნატაშვილი — ტანვარჯიშობა. სახელ. პირველი საფეხურის შრომის სკოლისათვის გვ. 100 7 სურ. ფასი—1 მ. 25 კ.

გ. ჭუმბურიძე და გ. ბურჭულაძე—„ჩვენი სოფელი“ (შრომის სკოლის მესამე ჯგუფის სამუშაო წიგნი) გვ. 324, ფასი—1 მან. 50 კაპ.

ნ. 429
25—19

სახელმწიფო ოპერა

დღეს, შაბათს, 28 იანვარს **აიდა**

მონაწ.: გილბერტი, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი, ქარცივაძე, შარაშიძე. დირიჟორობს სახ. არტისტი ი. პ. ფალიაშვილი.

კვირას, 29 იანვარს დილით **ჩექმებიანი კატა** და საბალეტო დივერტისმენტი

საღამოს **ტოსკა**

ნ. 547 1—1

აპოლო	არფასტო	სოლეი	ყარაბაღი
ამერიკის საყვარელი მსახიობი ლეტრის ჯოი მხატვრულ შედევრში მუდამ უცხონი	ნიკოლოზ რიმსკი და სიუზანა ბიანკეტი 1927 წ. ორიგინალურ სურათში „ბედნიერი სიკვდილი“	მონოპოლიურად ტრიუკებიანი კინო-რომანი 27 წლ. გამოშვება „სასიკვდილო ნახტომი“	ჰარი პილ ტრიუკებიან კინო რომანში უთავო მხედარი 1 და 2 სერია

ანონსი მალე ორი საუკეთესო სურათი „მოჯადოებული კუნძული“ და „50.000 ფრანკი“.

ცირკი კოლოსი ტელ. 8—64

შაბათს 28 და კვირას 29 იანვ.

ევროპაში სახელგანთქმულ ილიუზიონისტ ჰიპნოტიზიორის **კასფიკის** გასტროლები

გარდა ამისა მთელი დასი და ახალი ატრაქციონები! წაიკითხეთ აფიშები!

კვირას სანახაობანი დღისით. ბავშვები უფასოდ, დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

[illegible]

ნ. 535

50.000 ფრანკი

1927 წელში გამოშვებული მხატვრული ფილმი

გიუბეტა დიუფლოს და **სესიუ ხაიაკავას** მონაწილეობით

ორშაბათიდან, 30 იანვრიდან

ერთსადაიმავე დროს

კინო-თეატრებში

სოლეიში და არფასტოში

ნ. 550 2—1

იყიდება

თბილისის ქალაქის ბანკის საკუთარი სახლი,

მდებარე ევანგულოვის ქ. № 8-ზე. პირობების გაგება ხსენებულ ბანკში.

ნ. 549. გამგეობა.

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 31 იანვარს დღის 1 საათზე კობის ქუჩაზე № 11, სახლის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომლითაც გაიყიდება ალექსანდრე მასხარაშვილის მოძრავი ქონება. ქონება შეიცავს პარიზში გაკეთებულ რბილი ავეჯეულობის გარნიტურს 14 ნაჭრად; სასადილო მაგიდას, ბუფეტს და ორ დიდ იაპონურ ვაზას. ქონება გასასყიდად შეფასებულია 510 მანეთად აფხაზეთის სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის პირველ რაიონის სახალხო სასამართლოს 1926 წლის 11 ოქტომბრის სასამართლო ბრძანებით № 4526. 1228

გაზ. **„ზარია ვოსტოკა“-ს** გამომცემლობა

საჩივრების წიგნები

გამოცემულია ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს ა. წ. 14 იანვრის № 11-ში, და საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დავალებით.

წიგნების მიღება შეიძლება თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში

ლადო დუმბაძის ქუჩა № 7, ოთახი № 2 (ყოფ. ველიამინოვის)

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის დანარჩენ მაზრებისა და ადგილებისათვის კი—ყველა ადგილობრივ აღმასკომების ადმინისტრატიულ განყოფილებებში. ნ. 548

შაბათს, იანვრის 28, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3)

გაიხსნება საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველი კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ს. ს. რ. კ. შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. მეცნიერ. მუშაკ. სექციის ცენტრალ. საბჭოს წარმომადგენლის მოხსენება.
3. საქართველოს მეცნიერ. მუშაკ. სექციის ბიუროს საანგარიშო მოხსენება.
4. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება.
5. მეცნიერ. მუშაკ. სექციის ბიუროს არჩევნები.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობა.

ნ. 542 2—1

საჭიროა

ინჟინერები, აგრონომები და ტეხნიკოსები

სამინდვრო ჰიდრომოდულურ სამუშაოთათვის

მიმართეთ ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს („ზაკვოდხოზ“)—სამეცნიერო გამოკვლევების განყოფილებაში. 3—1 ნ. 537

მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. მიღება 10—2, 4—6 ს. 1227 2—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად **კუჭის** და **ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—03

25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის.

ნ. 25—11

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი [illegible]

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექ. ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის ახლოს. ტელეფონი 10—80.

მედიც. დოქტორი გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგი დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5 8 ს.

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს**, და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის** (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფებს მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე. 25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და აღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

კბილის ტექნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტექნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით. რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტექნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

13—1 გ. მ. მუხაძე

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა. № 3. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღ. 7—8 საათ მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 ს.

კბილის ექიმი

დავით სავვატის ძე რუქინაშვილი

კბილები და პირის სნეულება, პლომბები და ყოველი ჯვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის ოდუხის კუთხე. 25—1

1162

დაკარგა: ცეკავშირის საწყობის წიგნაკი № 26615, თამარ დანიელოვას სახელზე ჩ. გ. 1229

დაკარგა წითელ არმიის წიგნაკი ვალიკო ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 1224

დაკარგა: მოწმობა სასოფლო სამეურნეო გადასახადის არშეწერის № 1934 გაცემული ქუთაისის მაზრის [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1218

დაკარგა: პირადობის მოწმობა, პარტბილეთი № 0850392, კავშირის წიგნაკი № 703—ერემია მიხეილის ძე კვაჭანტირაძეს სახელზე, ჩ. გ. 1215

დაკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკებს საკავშირის [illegible] წიგნაკი № 10807 და სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 342 | 196, სევერიან არსენიძის სახელზე, ჩ. გ. 1216

დაკარგა ქ. თბილისის ლომბარდის [illegible] № 72936 ჩ. გ. 1221

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 1684—მარიამ ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 1230

დაკარგა პირადობის მოწმობა მარია ლუკას ასული კიკვაძე, სახელზე, ჩ. გ. 1231

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 19 | 16 გაცემული გორის სამხედრო კომისარიატი მიერ გრიგოლ გრიგოლის-ძე ზუმბულიძის სახელზე, ჩ. გ. 1237

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 472 თომას ნერსეზოვის სახელზე, ჩ. გ. 1227

დაკარგა ლომბარდის სალარო წიგნაკი № 7422, ვერა კობალაძის სახელზე ჩ. გ. 1235

დაკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, გიორგი სარალიძის სახელზე ჩ. გ. 1232

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა